საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№217 (12 592) | 16 სექტემბერი სამშაბათი 2008 | ფასი 50 თეთრი




# მიდი, თემურ!

## ქეცბაია შაფზე რევანშისთვის ემზადება



UEFA CHAMPIONS LEAGUE

დღეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი იწყება. შეიძლება, გადაჭარბებულად მოგეჩვენოთ, მაგრამ 16 სექტემბერი ჩვენთვისაც რალაცით გამორჩეული დღეა: ქართველი მწვრთნელი პირველად გაიყვანს გუნდს ზეპრესტიჟული საკლუბო ტურნირის ჯგუფური ეტაპის მატჩში. ერთი ეგ არის, რომ ეს გუნდი კვიპროსულია და არა ქართული...

მოკლედ, თემურ ქეცბაიას „ანორთოსისი“, რომელმაც ლიგაში მოხვედრით ისტორია შექმნა, ტურნირის ნაცად მებრძოლ „ვერდერს“ სტუმრობს. თავად ქეცბაიასთვის ეს მატჩი სხვა მხრივაც მნიშვნელოვანია. ბრემენის „ვეზერშტადიონზე“ მას 1987 წლის 25 ნოემბერს, „ვერდერისა“ და თბილისის „დინამოს“ საუეფასთასო დაპირისპირებაში უთამაშია. ის მატჩი გერმანელებმა 2:1 მოიგეს (საპასუხო 1:1). ამას გარდა, „ვერდერის“ დღევანდელი მწვრთნელი თომას შააფი მაშინ ამ გუნდის მარჯვენა მცველი იყო (თბილისში გოლი სწორედ მან გაგვიტანა). ასე რომ, ქეცბაიას სამოტივაციოდ პირადად შააფზე რევანშიც ეყოფა...

დღეს კიდევ შვიდი მატჩი გაიმართება. წინასამატჩო ამბებს მეექვსე გვერდზე გაეცნობით...



*დღეს, 22:45*

| A ჯგუფი | C ჯგუფი |
|---|---|
| რომა-კლუჟი | ბარსელონა-სპორტინგი |
| ჩელსი-ბორდო | ბაზელი-შახტარი |
| **B ჯგუფი** | **D ჯგუფი** |
| პანათინაიკოსი-ინტერი | მარსელი-ლივერპული |
| ვერდერი-ანორთოსისი | ეინდჰოვენი-ატლეტიკო |

# კუპერის კრედო: საქმე ბევრი, ლაპარაკი ცოტა

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან »»» 2



## მეკარეს შევცვლით

ინტერვიუ მამუკა აბუსერიძესთან »»» 2

## ლატვიაში ქართველი მწვრთნელი სკანდალში გაეხვია

»»» 4



## შვედეთი სლოვაკეთზე ძლიერია

თვითმხილველთა ნაამბობი »»» 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი



ნოდარ ახალკაცი

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან

# კუპერის კრედო: საქმე ლაპარაკის ნაცვლად

## შეგრტს ჯერ უნდა დაველაპარაკოთო...

ექტორ კუპერის ახალი ინიციატივა - სელექცია ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს შორის, ყოველკვირეული ვარჯიშები, ახალგაზრდული ნაკრების ფიასკო, პეტარ შეგრტის საკითხი... ამ საკითხებზე სასაუბროდ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს მივმართეთ...

**- როგორც გავიგეთ, ექტორ კუპერი სელექციას იწყებს. ნაკრების თავკაცი საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბებიდან ფეხბურთელებს შეარჩევს. რას იტყვით ამ იდეაზე?**

- ასეთი ჩანაფიქრი მართლაც არსებობს. ამ საკითხთან დაკავშირებით მოკლე ხანში სპეციალურ გეგმას წარვადგენთ და უფრო კონკრეტულად ყველაფერს თავად გაგაცნობთ. ეს იქნება დამატებითი სასელექციო სამუშაო. ეს იმიტომ კეთდება, რომ ფეხბურთელი, რომელიც ნაკრებში მიდის, უფრო კარგად იყოს მომზადებული. ამ პროექტის რეალიზება ბევრადაა დამოკიდებული თავად კლუბებსა და მათ კეთილ ნებაზე. იმედია, ამ იდეის განხორციელებაში კუპერს კლუბები ხელს შეუწყობენ და ფეხბურთელებს, რომლებსაც ის მოითხოვს, ერთი დღით გაათავისუფლებენ.

**- რამდენადაც ვიცით, კუპერმა ერთობლივი ვარჯიშისთვის სამშაბათი შეარჩია. როდის დაიწყება ეს ვარჯიშები?**

- მომდევნო კვირაში.

**- ერთდღიანი ვარჯიში ცოტა ხომ არ არის?**

- ჯერჯერობით ასე იქნება და მერე ვნახოთ. ეროვნული ჩემპიონატის კალენდარი ძალიან გადატვირთულია, ფანჯარა ცოტაა და თავისუფალი დროის გამონახვა რთული იქნება.

**- თავის დროზე ეროვნულ ნაკრებში მსგავსი რამ იოჰან ბოსკამპმაც გააკეთა. მან კლუბებიდან შეკრებილი ფეხბურთელები დასავლეთისა და აღმოსავლეთის გუნდებად დაყო და საჩვენებელი მატჩი ჩაატარა. კუპერისეული იდეის ფინალიც ეს ხომ არ არის?**

- შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ერთი რამ გაითვალისწინეთ: შუა კვირაში სათასო მატჩებია და ეს ეგრეთ წოდებული საჩვენებელი მატჩები როგორ უნდა ჩავატაროთ, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, იდეა საინტერესოა და შევხედავთ, მოხერხდება თუ არა მისი განხორციელება. თქვენ იცით, კუპერი პირველი ტურის მატჩებს დაესწრო, სათასო შეხვედრებსაც ნახავს და ამის მერე შეადგენს იმ ფეხბურთელთა სიას, რომელთაც სასელექციო ვარჯიშზე უხმობს. ამ მოთამაშეებს კუპერი ინდივიდუალურ მითითებს მისცემს. ვინც ეროვნულ ნაკრებში ვერ მოხვდება, გული არ უნდა გაიტეხოს. ამ ბიჭებმა საკუთარ თავზე მუშაობა უნდა გააგრძელონ. მნიშვნელოვანია, რომ ეს ფეხბურთელები თავიანთ კლუბებს მეტი ცოდნით დაუბრუნდებიან.

**- ამ სიას კუპერი თავად შეადგენს, კლუბები მიაწვდიან თავიანთ კანდიდატურებს თუ შეჯერებული ვარიანტი იქნება?**

- სიის შედგენა ნაკრების მწვრთნელის საქმეა.

**- ახლა, 21-წლამდელთა ნაკრებზე ვისაუბროთ. როგორ შეაფასებდით ახალგაზრდული ნაკრების გამოსვლასა და მისი მწვრთნელის მუშაობას?**

- როგორ უნდა შევაფასო? რა თქმა უნდა, შედეგი დამაკმაყოფილებელი ვერ იქნება. ჩვენ ჩავატარებთ დეტალურ ანალიზს და გავარკვევთ, რა იყო ამ ფიასკოს მიზეზი. შესაძლოა, ობიექტური მიზეზებიც ყოფილიყო, მაგრამ საბოლოო ჯამში ასეთ შედეგს მაინც ვერ გავამართლებთ.

**- შეგრტი ამტკიცებს, რომ ჩვენს ნაკრებს მინსკში ცუდი საყოფაცხოვრებო და მოსამზადებელი პირობები ჰქონდა...**

- სანამ პირადად არ შევხვდები, მანამდე ვერაფერს გეტყვით. თუ ფედერაციის მხრიდან ვინმემ თავისი მოვალეობა ვერ შეასრულა, აუცილებლად პასუხი მოეთხოვება.

**- ვისი კომპეტენცია იყო ნაკრებისთვის ნორმალური პირობების შექმნა?**

- მინდა, მადლობა გადავუხადო ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციას. მძიმე მომენტში გვერდით დაგვიდგნენ და ამის დაუნახაობა არ შეიძლება. პოლონეთთან მატჩში მასპინძლები ჩვენ ვიყავით, 5 სექტემბერს კი - რუსეთი. როგორც ჩვენ დავახვედრეთ ირლანდიელებს გერმანიაში სავარჯიშო მოედნები, სასმელი წყალი, ხილი და ასე შემდეგ, მათაც იგივე უნდა გაეკეთებინათ. სხვათა შორის, შარშან ნოემბერში რუსეთს თბილისში ვუმასპინძლეთ და ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო მოგვარებული. ეს თავადაც აღნიშნეს. რამდენადაც ვიცი, რუსული მხარის დახვედრა მინსკში, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო იყო. თუმცა წელანაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: ეს კატასტროფული მარცხის გასამართლებლად არ გამოდგება. ახლა შეგრტი 17-წლამდელებთან ერთად ავსტრიაშია, ის ხომ ფედერაციის ტექნიკური დირექტორიცაა. ჩამოვა, დაველაპარაკებით და როგორმე გადავწყვეტთ ამ საკითხს.

**- გოგი ქავთარაძემ პრესასთან საუბარში აღნიშნა, ვიცი ალმასკომის წევრთა პოზიცია, შეგრტი უნდა გადადგესო...**

- სანამ ბატონ პეტარს არ დაველაპარაკებით, გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ქართული ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ.

**- ბოლოს ისევ კუპერთან დაკავშირებით გკითხავთ. რას იტყოდით მის საწვრთნელ მეთოდებზე?**

- კუპერი რომ მაღალი დონის სპეციალისტი და პროფესიონალია, ვფიქრობ, ეს სადავო არ უნდა იყოს. ორივე ხელით მივესალმები მისი მუშაობის სტილს. უაღრესად შრომისმოყვარე ადამიანია. შესაძლოა, ზოგს არ მოსწონდეს კიდეც, მაგრამ მისი კრედოა - ნაკლები ლაპარაკი და მეტი საქმე. მე, მაგალითად, მომწონს კუპერის ურთიერთობა ფეხბურთელებთან. ის საფეხბურთო ავტორიტეტებს არ ცნობს, მოედანზე მისთვის ყველა ერთია. ამას გარდა, არ შემიძლია, ხაზი არ გავუსვა მის სათამაშო სტილსაც - შეტევაზე აქცენტირებული თამაში, პრესინგი, კონტროლირებადი კონტრშეტევა... მთელი მატჩის განმავლობაში კუპერი გვერდით ხაზთან დგას და ფეხბურთელებს მითითებებს აძლევს, რაც ქართველი მწვრთნელისთვის უცხო რამაა. კიდევ ერთი: კუპერს ფეხბურთელთა ხასიათსა და ზოგადად ქართული მენტალიტეტის თავისებურებებზე ვესაუბრეთ. ის უმალ მიხვდა, თუ რაზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება. უმალ აუღო ალღო დადებით და უარყოფით თვისებებს, თავისი დასკვნები გააკეთა და ვფიქრობ, ეს უკვე წაადგა კიდეც საქმეში. ჩვენ მისი დიდად გვეიმედება. მართალია, პირველი ორი მატჩი წავაგეთ, მაგრამ იტალიასთან მატჩი ირლანდიაზე უკეთესი იყო. ოქტომბერში თბილისში ვითამაშებთ და ქულებსაც ავიღებთ. მჯერა, პროგრესი გაგრძელდება და მალე თვალშისაცემიც გახდება.

**დავით ცაბაძე**

U 17. ამხანაგური მატჩი

### შეყილაძემ შეყილაძით მოიგო

**შპიტალი 2-საქართველო 2:3**

საქართველო: მაქაცარია, ამაშუკელი (65. ჯიმშელეიშვილი), ფუტკარაძე, კვეკვესკირი, აფაქიძე, ელიზბარაშვილი (68. კობახიძე), ანანიძე, ძალამიძე, გაბაშვილი (55. ჯიშკარიანი), ჩაფიძე (70. ჭანტურია), შეყილაძე (70. ხოჭოლავა).

ქართველთა კრებული 1992 წელს დაბადებული ჭაბუკებითაა დაკომპლექტებული. აღსანიშნავია, რომ გელა შეყილაძის გუნდმა „ემპოლის" მეორე გუნდში მოასპარეზე ფორვარდ ირაკლი შეყილაძის ჰეთ-თრიკით მოიგო. ის ზუგდიდიდანაა, მწვრთნელ შეყილაძის კი მხოლოდ მოგვარეა. მან 70 წუთი დაყო მოედანზე. მომდევნო ამხანაგურ მატჩს ჩვენი 17-წლამდელები ხვალ, ადგილობრივ ქვედალიგოსან „კლაგენფურტთან" გამართავენ.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ საქართველოს ნაკრების მეკარეთა მწვრთნელ მამუკა აბუსერიძესთან

# ვინ დაიცავს დარიალის კარს?

## ნაკრებში გამოვიძახებთ იმას, ვინც ამას დაიმსახურებს

**საქართველოს ნაკრების მეკარეთა მწვრთნელი მამუკა აბუსერიძე შეფიქრიანებულია. მან იცის, რომ ეროვნული გუნდის გოლკიპერთა ბოლოდროინდელი ჩავარდნის გამო ზეწოლა მასზეც იქნება და არ სურს, არსებულ ვითარებას შეეგუოს. მაშ ასე, ვინ დაიცავს საქართველოს ნაკრების კარს, ანუ, როგორც ბორის პაიჭაძე იტყოდა, არა „დინამოს", არამედ, დარიალის კარს? ამის თაობაზე აბუსერიძე თავის მოსაზრებებს გვიზიარებს...**

**- ბატონო მამუკა, როგორც ბოლო დროს ხუმრობენ, საქართველოს ნაკრების კარი, ფაქტობრივად, ცარიელია. თუმცა გვრჩება შთაბეჭდილება, რომ მეკარეების პრობლემა არა იმდენად დაბალი სპორტული მომზადების შედეგია, რამდენადაც მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა. თითქოს, შეშინებულები არიან...**

- ვერ ვიტყვი, რომ შეშინებულები არიან. ლომაიას შიშის არაფერი ეტყობოდა და არც ეტყობა. შეიძლება, ეს გამოუცდელ ბიჭებს დაემართოთ, შორი მანძილიდან ისეთი ბურთების გაშვება, როგორიც ირლანდიასა და უელსთან ვნახეთ, მხოლოდ ფსიქოლოგიური ფაქტორით თუ აიხსნება. ყველა მატჩის შემდეგ ფეხბურთელების, და განსაკუთრებით, მეკარეთა კრიტიკა რომ იწყება, არხეინად ვერ იქნებიან. რა თქმა უნდა, ისინი ამას განიცდიან. რაც არ უნდა იყოს, პატარა ბიჭები არიან. ფეხბურთში უმთავრესი დატვირთვა მეკარეზე მოდის და ნაკრები რომ აგებს, ყველაზე მეტად მეკარის შეცდომა ჩანს. მესმის, რომ კრიტიკა საფუძვლიანია, არის შეცდომები, რომელიც გუნდის თამაშზე დიდ გავლენას ახდენს, მაგრამ ყველაფრის მეკარეზე გადაბრალება გაუმართლებელია. არ მინდა, ბიჭებს ისე ეტკინოთ გული, რომ მომავლის იმედი დაკარგონ. უშეცდომო არავინაა. თავიდან, რინატ დასაევიც უხეშ შეცდომებს უშვებდა. თუმცა დრო მისცეს და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეც გახდა. შოვკოვსკის ამბავი არ გახსოვთ? ხშირად უშვებდა ბავშვურ შეცდომას, მაგრამ მეკარეების ხშირ ცვლაზე უკეთესია, მათი გაზრდა და დაოსტატება. მეკარეს ნდობა და მეტი თანადგომა სჭირდება. ეს ძალიან რთული პოზიციაა. თუ კარში მყარი ფსიქიკით არ დგახარ, შეცდომას აუცილებლად დაუშვებ.

**- ეს გვესმის და ამიტომაც იყო მიუღებელი იტალიასთან შეცდომის გამო ნაკრებიდან გიორგი ლომაიას გაგდება. სხვა საქმეა კურიოზული გოლები, რაც ბოლო პერიოდში წესად იქცა. მგონი, ასეთი რამ არც ერთ ნაკრებში არ ხდება.**

- პირველი მიზეზი მათი უთამაშებლობაა, მეორე კი საქართველოს ჩემპიონატის დაბალი დონე, რაც მათ ზრდას ხელს უშლის.

**- მთავარ საკითხსაც მივადექით. სათამაშო პრაქტიკის არმქონე მეკარე ნაკრებში - ეს ხუმრობაა, დაცინვა თუ... რა ვიცი, რა დავარქვათ ამას?**

- გეთანხმებით, უთამაშებელი მეკარე ნაკრებში არ უნდა მივიწვიოთ. თქვენ ვის გულისხმობთ?

**- მაგალითად, გიორგი მაკარიძეს. ნიჭიერი რომ არის, სწორედ ამიტომ უნდა გაფრთხილება და თავისი ასაკის შესაფერის ნაკრებში თამაში. „დინამო 2-შიც" კი არ აყენებენ კარში და ამ დროს, სისტემატურად იძახებენ ეროვნულ გუნდში. ნუთუ, გამოცდილი ლომაია ნაკრებს მასზე მეტად არ სჭირდება?!**

- კიდევ ერთხელ უნდა დაგეთანხმოთ და აქვე ვთქვა, რომ ნაკრების მეკარეთა სიაში ცვლილებები აუცილებლად მოხდება. ამას საკუთარ თავზე ავიღებ. არ მსურს დაკონკრეტება, მაგრამ პირდაპირ გეუბნებით - ნაკრებში მოხვდება მხოლოდ ის მეკარე, რომელიც გამოძახებას იმსახურებს. მაგრამ ახლა ისე არავინ გაიგოს, თითქოს, ახალგაზრდებს ხაზი გადავუსვი. პირიქით, მათი იმედი გვაქვს. მჯერა, ისინი ბევრს იშრომებენ და მათი სახით საქართველოს კარგი მეკარეები გაეზრდება.

**- საერთოდ, ქართულ ფეხბურთს სერიოზული კრიზისი აქვს და რა გასაკვირია, რომ ეს უშუალოდ მეკარეებსაც შეეხოთ. გოლკიპერთა სკოლა აღარ არსებობს...**

- გარედან მართლა ასე ჩანს, თუმცა მეკარეთა ჩავარდნას ლოგიკური ახსნა გააჩნია. მეკარეების მწვრთნელი ბავშვთა ბევრ სკოლაში არ ჰყავთ, ანუ, თავიდანვე ვერ უყრიან საფუძველს ამ საქმეს და მერე დიდების გუნდებში გვიწევს მათი გადამზადება. ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს ვინ ჩივის, მეკარეთა მწვრთნელი უმაღლესი ლიგის ზოგიერთ კლუბსაც არ ჰყავს. პლუს ამას, თაობაც უნდა წამოვიდეს. სოლომონ ბრძენის ბეჭედზე ეწერა - „ესეც გაივლის". ასეც იქნება: ცუდი ჩაივლის და იმედია, კარგი თაობაც გაიზრდება.

**- კონკრეტულად, მირზა მერლანსა და გიორგი ლომაიაზე გკითხავთ. ბევრ სპეციალისტსა თუ ფეხბურთელს საგანგებოდ ვკითხე და მათი უმრავლესობა ამბობს - სადღეისოდ ისინი საუკეთესოები არიანო. ლომაია დაწუნებულია, მერლანს კი ერთხელ ეღირსა გამოძახება...**

- მირზა რომ ნიჭიერი ბიჭია, ეჭვი არ მეპარება. მთავარია, „ოლიმპში" საქმეს კვლავ სერიოზულად მიუდგეს. ლომაიასთან დაკავშირებით კი შემიძლია გითხრათ, რომ ის ჩვენი მხედველობის არეშია. მისი იმედი გვაქვს. საერთოდ, მიწვევას ვინც დაიმსახურებს, მათ არ დავჩაგრავთ.



მამუკა აბუსერიძე

**- როგორც ჩანს, რომელიმე მეკარის ნატურალიზაციის შანსი მაშინ გავუშვით ხელიდან, ვიდრე ფიფა საქმეს გაართულებდა.**

- დიახ, ასეა. ფიფამ მართლა ძალიან გაართულა საქმე. მინიმუმ ორი წელი უნდა ითამაშოს მეკარემ საქართველოში, რომ ჩვენი მოქალაქეობა მივანიჭოთ და ნაკრებში ვათამაშოთ. ასე რომ, ეს საკითხი უკვე მოხსნილია დღის წესრიგიდან.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; რედაქტორები: დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი შალვა ბიბილაშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XX ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა

# უმაყურებლოდ და... კუპერთან ერთად



...ვეელირსა - შაბათსა და კვირას ჩატარებული მატჩებით საქართველოს საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატი დაიწყო. თავიდანვე ვთქვათ უმთავრესი მოვლენა - საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ექტორ რაულ კუპერი** ჯერ ვაკეში დაესწრო „ლოკომოტივისა" და „მესხეთის" შეხვედრას, მეორე დღეს კი უკვე რუსთავში გულმოდგინედ ადევნებდა თვალს პირველი ტურის ცენტრალურ მატჩს („ოლიმპი" - „ზესტაფონი"). ამას გარდა, მისი თანაშემწე „გაგრა" - „დინამოს" შეხვედრაზე იყო და კუპერის მსგავსად **ხოსე ფანტაგუციმაც** უამრავი ვინმე თუ რამე ჩაინიშნა. კარგი კი არა, მისასალმებელი ფაქტია, როცა ეროვნული ნაკრების ახალი თავკაცი ასეთ ყურადღებას აქცევს ჩვენს ჩემპიონატს. აქედან გამომდინარე, არავის გაუკვირდეს, 11 და 15 ოქტომბერს კვიპროსისა და ბულგარეთის ნაკრებების წინააღმდეგ საქართველოს ნაკრებში რამდენიმე ახალწვეულიც რომ გამოჩნდეს. რატომღაც გვგონია, რომ კუპერის არჩევანი ბევრისთვის, შესაძლოა მოულოდნელზე მეტიც იყოს. ანუ, ზოგისთვის ნაკლებად დაფასებული ფეხბურთელი... კუპერისთვის შეუცვლელ მოთამაშედ იქცეს; მოკლედ, ჩვენს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს ჩინებული სტიმულიც გაუჩნდათ - თითოეულ მატჩში მაქსიმალური კონცენტრაციით ისასპარეზებენ, ნაკრების მთავარ მწვრთნელსა თუ მის თანაშემწეს თავი რომ მოაწონონ.

ახლა კი, დროა პირველ ტურზე დაწვრილებით ვისაუბროთ, მით უმეტეს, რომ მეოცე ჩემპიონატი ხმაურიანი სენსაციით დაიწყო. მოქმედი ჩემპიონის, „დინამოს" ნებისმიერი წარუმატებლობა მოულოდნელობად ფასდება ხოლმე, მაგრამ პირველსავე ტურში, თანაც დებიუტანტისგან მარცხს, ალბათ, სენსაციაზე მეტი ჰქვია. ჰო, ამას ვერავინ წარმოიდგენდა: უმაღლესი ლიგის ყველაზე ახალგაზრდულმა გუნდმა „გაგრამ" ჩვენს ყველაზე ტიტულოვან კლუბს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია; უფრო მეტიც - დებიუტანტმა სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვა! ქების ღირსია „გაგრის" მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ხაჩიძე,** ვინც ამ პოსტზე ერთი თვის წინ დაინიშნა. გამოცდილმა სპეციალისტმა მრისხანე მეტოქესთან მატჩში ისეთი ტაქტიკა აირჩია, წარმატების საწინდარი რომ უნდა გამხდარიყო და ასეც მოხდა. „გაგრაში" რამდენიმე ერთობ საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობს და ვიმედოვნებთ, რომ „დინამოსთან" ალმაფრენით ჩატარებულ შეხვედრას „ტემპის დაგდება" აღარ მოჰყვება.

„დინამოზე" რა უნდა ვთქვათ - სამწუხაროდ, **რაინერ ცობელს** მარცხიანი დებიუტი გამოუვიდა საქართველოს ჩემპიონატში. ბევრი მიზეზის მოძებნა შეიძლება: ფეხბურთელების უმრავლესობა სანაკრებო მატჩებიდან გადაღლილი ჩამოვიდა, ზოგმა ტრავმა ახლახან მოიშუშა, **დიდიე ოვონო** და **ჯორჯ აკირემიც** არ იყვნენ; თუმცა მოქმედი ჩემპიონისგან ასეთ შედეგს მაინც არავინ ელოდა და ცობელსაც ისღა დარჩენია, ამ დაუგეგმავი ნაგებიდან სწორი დასკვნები გამოიტანოს.

ცნობისათვის: განვლილი ცხრამეტი ჩემპიონატის განმავლობაში მეოთხედ მოხდა, რომ თბილისის „დინამომ" პირველ ტურში ვერ გაიმარჯვა. პირველ ჩემპიონატში, 1990 წელს „დინამო" (მაშინდელი - „იბერია") საკუთარ მოედანზე დამარცხდა ფოთის „კოლხეთთან"; 1995 წელს სტუმრად ფრედ ითამაშა „კოლხეთთან" და 1999 წელს ასევე სტუმრად დამარცხდა ბათუმის „დინამოსთან"...

პირველ ტურს რაც ყველაზე ძალიან აკლდა, გულშემატკივარი - თითქმის ყველა სტადიონი სანახევროდ ცარიელი იყო. შედარებით მეტი ქომაგი „ოლიმპისა" და „ზესტაფონის" შეხვედრას დაესწრო; არც იყო გასაკვირი - ორივე გუნდი ამ ჩემპიონატში მაღალ ადგილებს უმიზნებს და მედლების კანდიდატებადაც ლოგიკურად შევრაცხეთ. სამწუხაროდ, მატჩის სანახაობრივი მხარე დიდი ვერაფერი გამოდგა და საბოლოო ანგარიშიც, ალბათ, კანონზომიერი იყო. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდის მწვრთნელმა ფრთხილი და იდენტური ტაქტიკური განლაგება (4-5-1) აირჩია და ამიტომაც იყო, თითზე ჩამოსათვლელი სახიფათო მომენტები. ისიც მასპინძლებმა შექმნეს: პირველი ტაიმის მიწურულს **გიორგი გაბიდაურის** შორეული დარტყმა და მეორე ტაიმში **გიორგი ფეიქრიშვილის** ხარიხას გარტყმული ბურთი - აი, ეს იყო სულ. სხვათა შორის, ამ მატჩშიც გაგრძელდა პირველი ტურის ერთი უცნაურობაც: პირველსავე ტაიმში გაკეთებული სამი შეცვლა. მოკლედ, თანაბარი ძალის მეტოქეები ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდნენ, მატჩის მერე პრესკონფერენციაზე მწვრთნელებმა კომპლიმენტებიც გაცვალეს და უკეთესი თამაშის იმედად მომდევნო ტურს დაელოდებიან. ისე, „ოლიმპისა" და „ზესტაფონის" დაპირისპირებათა ისტორიაში ეს მეშვიდე შეხვედრა (სათასო მატჩების ჩათვლით) იყო და რუსთაველებმა კვლავაც ვერ შეძლეს თავისთვის უხერხულ მეტოქესთან პირველი გამარჯვება.

გამარჯვებით დაიწყო მეოცე ჩემპიონატი მედლების ერთ-ერთმა ფავორიტმა „ვიტ ჯორჯიამ". თუმცა ამ შემთხვევაში მოულოდნელობა ნამდვილად არ ყოფილა - ვეტერინარებმა კლასისა და გამოცდილების ხარჯზე შეძლეს სტუმრად „ბორჯომის" დამარცხება. **ნესტორ მუმლაძე** ისევ იმ ფეხბურთელებს დაეყრდნო, წინა ჩემპიონატში „ვიტ ჯორჯიას" ძირითად ბირთვად რომ მოიაზრებოდა. ისიც ნიშანდობლივია, რომ გამარჯვების მომტანი ერთადერთი გოლი წინა სეზონის ერთ-ერთმა საუკეთესო დებიუტანტმა **ჯაბა ლიპარტიამ** გაიტანა. სამწუხაროდ, „ბორჯომს" ერთობ მძიმე სეზონი ელოდება და ახალბედა მწვრთნელ **გიორგი სუხიაშვილსაც** დიდი ძალისხმევა დასჭირდება, გუნდს უმაღლეს ლიგაში ადგილი რომ შეუნარჩუნოს. ისე, „ბორჯომის" მეკარემ **ბექა შეყრილაძემ** რომ კვლავაც ასეთ დონეზე გააგრძელოს ასპარეზობა, თვითონაც წაადგება და კლუბსაც.

ჯერ პირველი ტური ჩატარდა, მაგრამ ზოგიერთი გუნდის პროგრამა-მაქსიმუმიცა და მინიმუმიც მკაფიოდ გამოხატულია. „ბორჯომის" მსგავსი პრობლემები აქვს ზუგდიდის „მგლებსაც" - ამ გუნდის მთავარ მწვრთნელს **ბესიკ შეროზიას** ახალი სეზონის დაწყების წინ შემადგენლობის მთლიანად გადახალისებამ მოუწია. თანაც, პირველსავე ტურში მეტოქედ ერთობ გაძლიერებული „სიონი" ჰყავდა; „მგლებმა" ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია სტუმრებს, ახალწვეულმა მეკარემ **ზურაბ მამალაძემაც** რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია, მაგრამ ბოლოს კლასში სხვაობამ მაინც იმძლავრა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „სიონის" შეტევები მას მერე გაძლიერდა, როდესაც **ოთარ კორღალიძემ** მეორე ტაიმში ზედიზედ სამი შეცვლა განახორციელა. ანუ, მწვრთნელის კორექტივებმა შედეგი გამოიღო და ამის დაუნახაობა არ იქნება.

უფერული პირველი ტაიმის მერე ჩინებული სანახაობა ვიხილეთ ვაკეში, სადაც ჩემპიონობის ერთ-ერთმა ფავორიტმა „ლოკომოტივმა" უშანსოდ დატოვა „მესხეთი". გუშინაც აღვნიშნეთ, რომ მასპინძლების წარმატების მთავარი შემოქმედნი გამოცდილი ფეხბურთელები - **ვიტალი დარასელია** და **რატი ალექსიძე** იყვნენ; ვიტალიმ დიდოსტატური პასებიც არიგა და სტანდარტულებიც სახიფათოდ შეასრულა; რატიმ კი დუბლის გარდა ერთხელ **ლევან ცქიტიშვილს** გაუწია ჩინებული ასისტენტობა, მეორედ კი - **ირაკლი ჩირიკაშვილს;** ამას გარდა ორჯერ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ორივეჯერ მიზანს სულ ოდნავ ააცილა. ცალკე უნდა აღვნიშნოთ ჩირიკაშვილის აქტიური თამაშიც - ამ ახალგაზრდა ნახევარმცველმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არც თუ ურიგო მონაცემები აქვს; თანაც, ისეთ გუნდსაც მიაგნო, საკუთარ შესაძლებლობებს რომ წარმოაჩენს. რაც შეეხება „მესხეთს", პირველ ტაიმში კი უძალიანდებოდა ფავორიტ მეტოქეს, მაგრამ მერე, ახალციხელთა ფეხბურთელები დაიღალნენ და მასპინძელთა შეტევებთან ველარაფერი გააწყვეს.

დაბოლოს, პირველი ტურის კიდევ ერთ მოვლენაზე: - ეროვნულ ჩემპიონატს ხანგრძლივი განშორების მერე სამი ფეხბურთელი დაუბრუნდა - **ვალტერ გუჩუა, აქვსენტი გილაური და ლადო ახალაია...**



ექტორ კუპერი




## ტურის მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძე

საკამათო, ალბათ, არავისთვის იქნება, თუ ტურის მწვრთნელად ვლადიმერ ხაჩიძეს დავასახელებთ. ახალ გუნდში, ფაქტობრივად, სადებიუტო შეხვედრაში ამ გამოცდილი მწვრთნელის დამოძღვრილმა „გაგრამ" მოქმედი ჩემპიონი დაამარცხა! ხაჩიძეს სხვა გუნდებში მუშაობის დროსაც არაერთხელ გაუმწარებია ფავორიტები და აი, „გაგრაშიც" იგივე გაგრძელდა...

## ტურის ფეხბურთელი რატი ალექსიძე

ალექსიძე ერთადერთი ფეხბურთელია, ვინც ტურში ორი გოლი გაიტანა და საერთოდაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა; საქართველოს ნაკრების ცენტრფორვარდმა გაუთავებელი მანევრებით მეტოქის მცველებს უამრავი თავსატეხი გაუჩინა, ორ ეპიზოდში ჩინებული ასისტენტობაც გასწია; მოკლედ, ისე ითამაშა, გუნდის ერთ-ერთ ლიდერს რომ შეეფერება.

**გია ტუხაშვილი**

| საქართველოს თასი |
| --- |
| 16-17-18 სექტემბერი, 1/8 საპასუხო მატჩები |
| II ტური |
| 20 სექტემბერი, შაბათი |
| მგლები-ბორჯომი |
| ვიტ ჯორჯია-გაგრა |
| 21 სექტემბერი, კვირა |
| მესხეთი-ოლიმპი |
| სიონი-ზესტაფონი |
| დინამო-სპარტაკი |

*ლოკომოტივი ისვენებს*

ეროვნული ბიბლიოთეკა



სელექცია

# სტიმული და შანსი

## კუპერის იდეამ აქაურები და ლეგიონერები გამოაცოცხლა

**ექტორ კუპერი** ეროვნული ნაკრებისთვის ახალი მოთამაშეების ძიებას შეუდგა. „ლელოს" მკითხველმა იცის მისი სურვილი, რომ ჩვენი ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელები სამშაბათობით თავად ავარჯიშოს, დაესწროს რუსეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში, ბელარუსსა და აზერბაიჯანში იმ გუნდების შეხვედრებს, სადაც ქართველები გამოდიან. არგენტინელი სპეციალისტის სასელექციო პოლიტიკა მივიწყებულ და „დაჩაგრულ" ფეხბურთელებს აიმედებს.

**გია კვარაცხელიას** საქართველოს ნაკრებში **ალან ჟირესის** დროს იწვევდნენ, მაგრამ „ახალი დროების" შემდეგ ჩრდილში მოექცა: *„გავიგე, რომ კუპერი ბალტიისპირეთსა და სხვა ქვეყნებში აპირებს ჩამოსვლასა და ქართველ ლეგიონერებზე დაკვირვებას. ალბათ, მათ შორის, იქნება ბელარუსიც. ეს ჩემთვის უდიდესი სტიმულია. არასდროს მითქვამს და არც ახლა ვიტყვი, ეროვნულ ნაკრებში მიმიწვიონ და მთებს გადავდგამ-მეთქი. შეიძლება, ისე ცუდად ვითამაშო, გასახდელიდან გამომაგდონ. არც იმას გამოვრიცხავ, სხვა უთამაშებლების გამოძახებითაც ბევრი არაფერი შეიცვალოს, მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრები ვერ გავიდეს და ასეთებიდან მხოლოდ რამდენიმე კაცი დარჩეს. ის მაინც გვეცოდინება, რომ შანსი მოგვეცა, მაგრამ თავად ვერ ვივარგეთ. ყველა დავიწყებული ფეხბურთელისთვის კუპერის იდეა სერიოზული მოტივაციაა. მეტი მონდომებით ვივარჯიშებთ და ვითამაშებთ. დამიჯერეთ, მარტო კლუბისთვის თამაში ამგვარ სტიმულს ვერავის მოგვცემს. ბოლო ორი წელია, ფეხბურთში ასე არაფერი გამხარებია. ბოლოს და ბოლოს, მე თუ არ მიმიწვევს, საინტერესო ფეხბურთელს საქართველოშიც მოძებნის და პოსტსაბჭოეთშიც. საქართველოს ჩემპიონატიც გამოცოცხლდება. აბა, როგორია ითამაშო ისეთ პირველობაზე, სადაც ნაკრების მწვრთნელისთვის უინტერესო მოთამაშეები არიან? მოკლედ, ყველანაირად კარგი და სასარგებლო გადაწყვეტილებაა".*

**დავით გიგაურის** გვარი „გაგრა"-„დინამოს" მატჩის დროს კუპერის თანაშემწე **ხოსე ფანტაგუციმ** ჩაინიშნა. აი, რას ამბობს „გაგრის" მცველი: *„თბილისის „დინამოში" თამაშის დროს ახალგაზრდულ ნაკრებში მიწვევდნენ, მაგრამ მას შემდეგ სამი წელი გავიდა. ასაკი ხელს კი მიწყობდა, მაგრამ ახალგაზრდულში ჩემით აღარ დაინტერესებულან. ამის შემდეგ ძალიან გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ თურმე კუპერის თანაშემწეს მოვეწონე. მესმის, რომ ეს პირველი შთაბეჭდილებაა და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სანაკრებო სიაში აუცილებლად მოვხვდები. მაგრამ თავისთავად, ეს უკვე დიდი სტიმულია. ახლაღა ვაცნობიერებ, რომ შეიძლება, კვირაში ერთხელ გავარჯიშოს მწვრთნელმა, რომელსაც თავის დროზე „ვალენსიასა" და „ინტერში" უმუშავია. კარგია, რომ კუპერი ჩემპიონატის თამაშებზე დადის. შეუძლებელია, ჩვენს პირველობაზე ვინმე არ მოეწონოს. ამის შემდეგ უფრო მეტად როგორ არ მოვინდომებ, როცა ნაკრებში თამაშის იმედი გამიჩნდა? ოღონდ ეს მელირსოს და მოედნიდან აღარ გამოვალ".*

### დავით გამეზარდაშვილი:
### ტოპმიოლერმა ვარჯიშის შემდეგ შუბლზე მაკოცა

**დავით გამეზარდაშვილი კუპერის წინამორბედმა ურუგვაისთან სათამაშოდ გამოიძახა, თუმცა მერე დაივიწყა:**

- თუ კუპერი ბალტიისპირეთში მართლა ჩამოვა, ძალიან გამიხარდება. კიდევ კარგი, დანიშნეს და მოიფიქრა, რომ ნაკრებისთვის საინტერესო სხვა ფეხბურთელებიც შეიძლება იყვნენ. სიმართლე გითხრათ, აქამდე მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ლატვიაში მოთამაშეების ერთ ნაწილს ფეხბურთელებად არ გვთვლიდნენ. მიხარია, ელიავასა და მენთეშაშვილს მაინც რომ არ ივიწყებდნენ. თუმცა პირადად მე რას მერჩოდნენ, წარმოდგენა არ მაქვს. თუ არგენტინელი საქმეში მნახავს, ის მაინც მეცოდინება, მოვეწონე თუ არა.

**- ტოპმიოლერმა ურუგვაიმდე განახა და იქნებ არ მოეწონე?**

- არ მოვეწონე? რა ვიცი, ვარჯიშის შემდეგ მოვიდა და შუბლზე მაკოცა. დაწუნებულ ფეხბურთელებს თუ ასე ექცევიან, პირველად გავიგე. მერე რატომ აღარ გამომიძახა, წარმოდგენა არ მაქვს.

**- გულახდილად მიპასუხებ?**

- კი, რატომაც არა?!

**- იქნებ, ტოპმიოლერის სატრანსფერო ინტერესებში არ ჯდებოდი?**

- მას ვერაფერს დავაბრალებ. პირადად ჩემთვის, ტოპმიოლერს არაფერი უთქვამს, არც სადმე გადასვლა შემოუთავაზებია... თუმცა იმასაც არ დავმალავ, რომ მის სატრანსფერო ინტერესებზე ბევრი მსმენია. ეტყობა, რაკი კონტრაქტი არ მიმთავრდებოდა და თავისუფალი აგენტი არ ვიყავი, არ დაინტერესდა ჩემით. ის ბალტიისპირეთში ჩამოსვლას არათუ არ აპირებდა, საქართველოშიც არ კადრულობდა დარჩენას. კუპერის გადაწყვეტილებამ კი დამაიმედა. ეტყობა, კაცი სამუშაოდ ჩამოვიდა, საქმეს აკეთებს და ნაკრებს გულით ეკიდება. ნაკრებში დარჩება თუ არა, არა აქვს მნიშვნელობა, ასეთი დამოკიდებულების გამო ყოველთვის მისი გულშემატკივარი ვიქნები.

**მერაბ მამულაშვილი**



გია კვარაცხელია

ლეგიონერები

# სკანდალი, ბრმა მსაჯი და მძიმე ტრავმა

### არჩათვლილი გოლი

იმ ქვეყანაში, სადაც ახლახან ორჯერ შერცხვა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, ჩემპიონის გამოსავლენად ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ტიტულის ერთ-ერთი კანდიდატი „მტზ-რიპო" გროდნოში „ნემანს" დაუზავდა (1:1) და მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგა. არადა, რომ არა მსაჯების შეცდომა, მინსკელები შინ 3 ქულით დაბრუნდებოდნენ. მეორე ტაიმის დასაწყისში, როცა „მტზ-რიპო" 1:0-ს იგებდა, **გივი კვარაცხელიას** ძლიერი დარტყმული ხარიხას მოხვდა, ბურთი მიწაზე დაეცა და მოედანზე დაბრუნდა. თითქმის ყველამ, თანამსაჯის გარდა, დაინახა, რომ ბურთი კარის ხაზის შიგნით დაეცა...

შემდეგ მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს. 69-ე წუთზე კვარაცხელია საკმაოდ ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგრამ ქართველმა ნახევარმცველმა ამჯერად კარგად ველარ დაარტყა. კვარაცხელიამ შეუცვლელად ითამაშა.

მინსკელთა ფრით უმალ ისარგებლა ბორისოვის ბატე-მ, რომელმაც სტუმრად „ნაფტანი" დაამარცხა - 2:1. ბატე 47 ქულით ლიდერია, „მტზ-რიპოს" ქულით უსწრებს და ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. მოკლედ, ჩემპიონობის უკეთესი შანსი აქვს, თუმცა ჩვენთვის არც ეს ვარიანტია ურიგო, რადგან ბატე-ს ღირსებას **ლაშა დეკანოსიძე** იცავს. ნოვოპოლოცკში ქართველს ოთხგზის ჩემპიონის რიგებში არ უთამაშია.

პირველობის შანსი კიდევ ერთ გუნდს, სოლიგორსკის „შახტიორს" აქვს. ქართველი აქაც ირიცხება - ბრესტის „დინამოდან" ზაფხულის მიწურულს ფორვარდი **რომან გოგინაშვილი** გადმოვიდა. „შახტიორმა" „გომელი" „სტუმრად" 6:2 გაანადგურა. ქართველმა წინა დღით დუბლების მატჩში ითამაშა. „შახტიორი" 42 ქულით მესამე ადგილზეა. **დიმიტრი გერგიშვილის** „სავიტი" სტუმრად „სმორგონს" დაუზავდა (0:0). „სავიტი" 18 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა. **გიორგი ჭედიას** „ჟოდინო" შინ 0:1 დამარცხდა მინსკის „დინამოსთან". ქართველს არ უთამაშია.

### პერტია სკანდალში

ქართველი მწვრთნელი **თამაზ პერტია** სკანდალში გაეხვია: ლატვიის ჩემპიონატში მისი „დინაბურგი" ფრედ (0:0) ეთამაშა ჩემპიონ „ვენტსპილსს", მაგრამ რად გინდა - პერტიას, თურმე, განაცხადში არმყოფი ფეხბურთელი უთამაშია...



მიხეილ აშვეთია

...ლიც 18 კაცში ვერ მოხვდა, თუმცა... მოედანზე 90 წუთი დაყო. მისმა თანაგუნდელმა **პავლე დათუნაიშვილმა** 63 წუთი ითამაშა. სტუმართა რიგებში არ უთამაშია **ზურაბ მენთეშაშვილს.**

*„გამაოგნებელი შეცდომა დავუშვით. ბიჭებისთვის თვალებში შეხედვის მრცხვენია. მათ ხომ თავი დადეს და 90 წუთი იბრძოლეს ჩემპიონის წინააღმდეგ... ახლა ამ მოპოვებულ ქულასაც დავკარგავთ"* - თქვა პერტიამ ნამატჩევს.

ცხადია, „ვენტსპილსმა" შედეგი გაასაჩივრა და „დინაბურგს" 0:3-ს ჩაუთვ...

...45 ქულაზე ორიც დაემატება. **ვლადიმერ დვალიშვილის** გოლის წყალობით „სკონტომ" ჩემპიონატს ინტრიგა შეუნარჩუნა. რიგელებს 40 ქულა აქვთ. დვალიშვილმა „დინაბურგს" 56-ე წუთზე გაუტანა. ის ბოლო წუთზე შეცვალეს, ხოლო **დავით გამეზარდაშვილმა** სრულად ითამაშა.

**ირაკლი ქორთუას** „ბლაზმა" ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის. მორიგ ტურში მან „იურმალას" 2:1 მოუგო. ქართველმა მცველმა სრულად ითამაშა. „ბლაზმა" 14 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა. ეტყობა, გუნდი დასარჩენ...

...მალას", მოგების მიუხედავად, 9 ქულით ჩამორჩება.

ლიტვის A ლიგაში ჩემპიონი „კაუნასი" „ეკრანასს" კვალში უდგას. მორიგ ტურში ორივემ იმარჯვა, შესაბამისად, მათ შორის ერთქულიანი სხვაობა შენარჩუნებულია. „კაუნასმა" შინ 1:0 დაამარცხა „შიაულიაი". **ნუკრი მანჩხავამ** 90 წუთი ითამაშა.

### ჯაბამ ფეხი მოიტეხა

მოლდოვის ნაციონალურ დივიზიონში ფავორიტებმა მოიგეს. მე-12 ტურში იმარჯვეს „ზიმბრუმ", „დაჩიამ"...

...სტუმრად **ჯაბა დვალის** გარეშე სძლია - 1:0. კიშინიოველთა საუკეთესო ბომბარდირმა მატჩისთვის მზადებისას მარცხენა ფეხი მოიტეხა. ის გუნდს წლის ბოლომდე დააკლდება...

**ლევან კორლალიძემ** შეუცვლელად ითამაშა, ხოლო **სერგი ორბელაძე** სათადარიგო იყო. **ვაჟა თარხნიშვილმა** 90 წუთი დაყო მოედანზე კიშინიოვში „აკადემიასთან" მატჩში - 1:0. „ზიმბრუმ" „ტილიგულის" წინააღმდეგ გაინავარდა - 4:0. **მამუკა ლომიძემ** ჩვეულებრივ მარჯვენა მცველის პოზიციაზე ითამაშა და საქმეს კარგადაც გაართვა თავი. „ზიმბრუ" 23 ქულით ლიდერობს, თუმცა მას 11 მატჩი აქვს გამართული, „დაჩიას" და „შერიფს" 21-21 ქულა აქვთ, პირველს 9 შეხვედრა აქვს ჩატარებული, ჩემპიონს კი სულაც - 8.

### ომარი დარჩა, მაგრამ...

მართალია, **ომარ თეთრაძე** სეზონის ბოლომდე დაიყოლიეს „ანჟის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე სამუშაოდ, მაგრამ დაღესტნური კლუბის რეგრესი ამან მაინც ვერ შეაჩერა. გუშინ „ანჟიმ" შინ 0:0 ითამაშა „ნოსტასთან". მასპინძელთა სასტარტოში ხუთი ქართველი იყო: **ვლადიმერ აბრამიძე, გიორგი ნავალოვსკი, გოჩა ხოჯავა, ზურაბ არზიანი** და **მიხეილ აშვეთია,** პირველი ტაიმის შემდეგ გამოჩნდა **რევაზ ჯიქიაც.** მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი ხოჯავა იყო, თუმცა მისი პასები თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს. „ანჟი" 57 ქულით მეოთხე ადგილზეა.

### ლიდერებთან ახლოს

ყაზახური პრემიერლიგის დასრულებამდე 7 ტურიღა დარჩა. ჩემპიონობისთვის 3 გუნდი იბრძვის, თუმცა მათში არც ერთი არ არის „ქართული". ყველაზე უკეთ თამაშობს **ლაშა ჭელიძის** „კაისარი", რომელიც 39 ქულით მეოთხე ადგილზეა. 23-ე ტურში ის „ოკჟეტპესს" ეწვია და ფრეს დასჯერდა - 1:1. ჭელიძემ 90 წუთი ითამაშა და ერთ ეპიზოდში, რომ არა მასპინძელთა გოლკიპერის თავდადება, გოლსაც გაიტანდა.

კარგად თამაშობს ძმები **ჯელაძეების** „ვოსტოკი", რომელიც მე-5 ადგილზეა (35 ქულა). მან 8:2 გაანადგურა „ესილ-ბოგატირი". **ზვიადმა** და **გიზომ** შეუცვლელად ითამაშეს. ყარაღანდის „შახტიორი", სადაც **ლაშა ნოზაძე** ირიცხება, 34 ქულით მე-6 ადგილზეა. „შახტიორმა" სტუმრად „ასტანა" დაამარცხა - 3:2. ქართველს არ უთამაშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიზისი

**ეს არის მთავარი მახასიათებელი იმ მოვლენებისა, რაც დღესდღეობით „მილანსა" და „ბარსელონაში" ხდება. ახლა ყველაზე მეტს სწორედ ამ გრანდებში შექმნილ სიტუაციაზე ბჭობს ევროპული პრესა. ჩვენც გადავწყვიტეთ, ამ თემებს საგანგებოდ გამოვხმაურებოდით...**

მილანი

## რა ხდება?

### ანჩელოტის ჯერჯერობით ენდობიან, თუმცა...

„მილანი" კრიზისშია და ამაზე იტალიაში უკვე ღიად ბჭობენ. რბილად რომ ვთქვათ, გუნდი ვერც სეზონისწინა მატჩებში ბრწყინავდა და უკეთესი ვერც სერია A-ს სტარტი გამოუვიდა. ლომბარდიულმა გრანდმა პირველ ორ ტურში ორი მარცხი იწვნია და „კალიარისთან" ერთად სატურნირო ცხრილის ფსკერზეა გამაგრებული. როდის დაემართა უკანასკნელად ასეთი რამ „მილანს"? შორეულ 1986 წელს, 22 წლის წინ, მაშინ, როცა **სილვიო ბერლუსკონის** ერა ის-ის იყო, იწყებოდა. მაშინ „როსონერიმ" ჯერ „ასკოლისთან" წააგო, მერე „ვერონასთან". თუმცა წარსულში ქექვას, სჯობს ისევ დღევანდელობას დავუბრუნდეთ, რადგან „მილანის" წარუმატებელ სტარტზე მოსაყოლი ისედაც ბევრია.

გავიხსენოთ მოსამზადებელი ეტაპი და ამხანაგური მატჩები. მათი აბსოლუტური უმრავლესობა „მილანმა" წააგო. გახსოვთ, ალბათ, მოსკოვის ოთხთა ტურნირი: ნახევარფინალში „როსონერი" ჯერ „სევილიასთან" დამარცხდა (0:1), შემდეგ კი მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „ჩელსისთან" 0:5 განადგურდა. მერე იყო ყოვლად გაუგონარი ნაგებები ფრანგულ „დიჟონთან" და შვეიცარიულ „ლუგანოსთან". „მილანი" დამარცხდა „მანჩესტერ სიტისთანაც". რაც შეეხება სერია A-ს, **კარლო ანჩელოტის** გუნდი ჯერ შინ შერცხვა „ბოლონიასთან" - 1:2, შაბათს კი გასვლაზე „ჯენოასთან" წააგო - 0:2. ის, რომ ამგვარი კოშმარის შემდეგ ანჩელოტი კრიტიკის ქარცეცხლშია გახვეული და არნახული ზეწოლის ქვეშაა, ისედაც გასაგებია. მაგრამ ახლა მთავარი ეს არ არის, უნდა გავიგოთ, რატომ თამაშობს ვარსკვლავებით გაჭედილი გუნდი ასეთ უსუსურ ფეხბურთს, და საერთოდ, რაშია გამოსავალი?

იტალიელი ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ „მილანის" ჩავარდნა ლოგიკური, მაგრამ დროებითია. მათი არგუმენტები კლუბის მიერ გაწეულ აქტიურ სატრანსფერო პოლიტიკას უკავშირდება - გუნდში ახალი ფეხბურთელები მივიდნენ და მათ შესათამაშებლად დროა საჭირო. აი, რას წერს „კორიერეს" ექსპერტი:

*„ნუ დაგვავიწყდება, რომ ბოლო რამდენიმე წელიწადია, „მილანში" პირველად მოხდა შემადგენლობის მკვეთრი გადახალისება. დღევანდელ „მილანს", ფაქტობრივად, სეზონისწინა შეკრებაც არ გაუვლია. რონალდინიო და პატო ოლიმპიადაზე იყვნენ, კაკამ ოპერაცია გაიკეთა და დიდხანს მკურნალობდა, შევჩენკო კი ზედ პირველი ტურის წინ დაბრუნდა „ჩელსიდან" და დებიუტი პირდაპირ ოფიციალურ შეხვედრაში ჰქონდა. დასკვნა მარტივია: ამ ფორმაციის „მილანს" უნდა ვაცალოთ და დრო გვიჩვენებს, რამდენად მოახერხებს ანჩელოტი ახალი სუპერგუნდის ჩამოყალიბებას".*

ბევრი სწორედ ამ პოზიციას იზიარებს, თუმცა იქვე შიშობენ, რომ ეს ყბადაღებული ჩამოყალიბების პროცესი „მილანის" საამსეზონო ამბიციებს შეიწირავს. ჩემპიონატი უკვე დაიწყო, კონკურენტებიც ასე თუ ისე ქულებს აგროვებენ... ასე რომ, ოცნების მსხვრევის საფრთხე მართლაც არსებობს.

ექსპერტების, ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ანჩელოტის ერა უკვე დასრულდა და დროა, დატოვოს პოსტი. მათი არგუმენტები შარშანდელ სეზონს უკავშირდება - წლევანდელი „მილანი" წინა სეზონის ანალოგიურია. ფაქტია, რომ შარშან „როსონერის" ახალი ფეხბურთელები არ ჰყავდა და, შესაბამისად, არც შეთამაშების პრობლემა ედგა. მათი აზრით, გუნდს ახალი ტაქტიკა-სტრატეგია სჭირდება, არადა, ანჩელოტიმ ამოწურა თავისი შესაძლებლობები. ეს კი, შესაძლოა, მოტივაციის ნაკლებობითაც იყოს განპირობებული. კარლეტო უკვე 7 წელია, სათავეში უდგას ლომბარდიულ გრანდს და ლოგიკურიც იქნება, თუკი ხსენებული პრობლემა შეექმნა. ყველა სერ **ალექს ფერგიუსონი** ვერ იქნება.

მოტივაციის ნაკლებობის თემა „მილანთან" დაკავშირებით დიდი ხანია ისმის. ბევრი მიიჩნევს, რომ ამ მხრივ, სახარბიელოდ საქმე არც ფეხბურთელებს აქვთ - ძირითადმა ბირთვმა გუნდთან ერთად ყველაფერი მოიგო და მათ ახალი თავგადასავლები, ახალი იდეები სჭირდებათ. ასეთ მოთამაშეთა რიცხვში არიან **ანდრეა პირლო, კლარენს ზეედორფი, მასიმო ამბროზინი** და **ჯენარო გატუზო**.

ძნელი სათქმელია, რომელი ვერსიაა რეალობასთან უფრო ახლოს, მაგრამ ფაქტია, რომ ვითარება როგორმე უნდა გამოსწორდეს. „მილანისგან" ხომ წელს ძალიან ბევრს ელიან. თავად განსაჯეთ, ამ სეზონში კლუბის წლიური აბონენტების სარეკორდო რაოდენობა (40 000) გაიყიდა.

იქვე, იტალიელი ექსპერტები „მილანის" რგოლების ანალიზს გვთავაზობენ.

#### მეკარე

ერთი შეხედვით, „მილანს" ამ მხრივ არ უნდა გაუჭირდეს, რადგან განაცხადში სამი მაღალი კლასის მეკარე ჰყავს: **ნელსონ დიდა, კრისტიან აბიატი** და **ჟელკო კალაჩი**. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, ბოლომდე საიმედოდ ამ დროისთვის არც ერთი არ გამოიყურება. ბრაზილიელმა კარგა ხანია, ფორმა დაკარგა და, მასთან ერთად, შეელია სასტარტო შემადგენლობასაც. აბიატი ჯერ ვერ აჩვენებს ისეთ დამაჯერებელ თამაშს, როგორიც „მილანში" დასამკვიდრებლადაა საჭირო, ხოლო რაც შეეხება კალაჩს, ის არასდროს ითვლებოდა ექსტრაკლასის მეკარედ. ერთი სიტყვით, „მილანის" პრობლემა ამ რგოლშიც იკვეთება.

#### დაცვა

„ჯენოასთან" შეხვედრაში დაცვის ცენტრალური დუეტი **დანიელე ბონერამ** და **პაოლო მალდინიმ** დააკომპლექტეს. მანამდე კი **კახა კალაძე** და **ფილიპ სენდეროსი** გაისარჯნენ. ფაქტია, რომ არც ერთმა წყვილმა არ გაამართლა. მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგანან განაპირა მცველებიც - **მარეკ იანკულოვსკი, ჯუზეპე ფავალი** და **ჯანლუკა ძამბროტა** ოპტიმალური ფორმისგან შორს არიან. ესეც კიდევ ერთი მიზეზი დასაფიქრებლად.

#### ნახევარდაცვა

აქ კი საქმე ძალზე ჩახლართულია. ყველასთვის მოულოდნელად, სასტარტოში სტაბილურად ხვდება **მატიო ფლამინი**, სამაგიეროდ, ანჩელოტი ნაკლებ ნდობას უცხადებს **კლარენს ზეედორფს**. ძირითადში მოსახვედრად ნახევარდაცვაში მართლაც დიდი კონკურენციაა და ამ რგოლში კარლეტოს ბალანსის მოსაძებნად დიდი ძალისხმევა დასჭირდება. ფეხბურთელთა სიმრავლე განაპირობებს ტაქტიკას (4-5-1), მაგრამ ამ ტაქტიკას შედეგი ჯერ არ მოაქვს. რონალდინიო „დუმს", მას „ჯენოასთან" კატასტროფული შეფასება (4) დაუწერეს, მის მხარდამხარ ვერ ივარგა კაკამაც. ფაქტობრივად, უფუნქციოდ იყო შეტევაში ეულად მყოფი **ანდრეი შევჩენკოც**. შესაძლოა, 4-4-2-მა უფრო გაჭრას, მაგრამ ამ შემთხვევაში სასტარტოდან ან „გაუჩო" უნდა ამოვარდეს, ან კაკა. ერთი სიტყვით, ანჩელოტის საქმე რთულად აქვს და ვნახოთ, რას მოიფიქრებს და მოიმოქმედებს.



#### თავდასხმა

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ჯერჯერობით, გუნდს არც ამ რგოლში ულხინს. ზედ ჩემპიონატის წინ დაშავდა **ფილპო ინძაგი**. კარლეტოს განკარგულებაში დარჩნენ: შევჩენკო, პატო და **მარკო ბორიელო**. ფაქტია, რომ არც ერთი სასურველ ფორმაში არ არის. უკრაინელი ჯერ ისევ „ჩელსის" ფეხბურთელს ჰგავს, პატომ ვერც ოლიმპიადაზე გაიბრწყინა და ვერც სეზონის სტარტი გამოუვიდა, მარკოს კი ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი.

■ ■ ■

იტალიელი ჟურნალისტების ნააზრევიდანაც ჩანს, რომ „მილანის" კრიზისი ლოგიკურია. გუნდს ყველა რგოლში პრობლემა აქვს და ამას არც ანჩელოტი უარყოფს: *„ჩემი ფეხბურთელები ჯერ კიდევ არ არიან სასურველ ფორმაში. შედეგად, არც ერთი რგოლი კარგად არ ფუნქციონირებს. შეტევა გვიჭირს, დაცვა კი შეცდომებს უშვებს... თუმცა, ამისგან კატასტროფა არ უნდა შევქმნათ. წინ დიდი დროა, საკუთარ თავზე უნდა ვიმუშაოთ ბევრი და შედეგიც აუცილებლად მოვა".*

...და რა პოზიციაზე არიან „მილანის" ხელმძღვანელები? რა თქმა უნდა, ისინი განბილებას არ მალავენ, მაგრამ ანჩელოტის მაინც ნდობას უცხადებენ. აი, ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის** სიტყვებიც:

*„გუნდი ვერ თამაშობს კარგ ფეხბურთს და ამით ძალიან დამწუხრებულები ვართ. მაგრამ მარტო კარგ ფეხბურთშიც არ არის საქმე. რაც მთავარია, არ არის შედეგი. დროულად უნდა ვუშველოთ საქმეს და სატურნირო ცხრილში ის პოზიცია დავიკავოთ, რაც გვეკადრება. ვფიქრობთ თუ არა ანჩელოტის გათავისუფლებას? კიდევ ერთხელ ვამბობ და მეტჯერ აღარ გავიმეორებ: არც მე და არც ბერლუსკონის მისი შეცვლა აზრადაც არ მოგვსვლია".*

ერთი სიტყვით, ანჩელოტისადმი ნდობა ჯერ კიდევ არის, ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. მაგრამ მაინც ეტყობა, რომ ახალი „მილანი" ისევ მისი ხელით აშენდება, ჩვენ კი დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, სერია A კიდევ ბევრ საინტერესო თავგადასავალს გვპირდება.

**ლაშა ნიკლაური**

---

ბარსელონა

## გადარჩენის 10 გზა

**პეპ გვარდიოლამ** რეალობას თვალი უნდა გაუსწოროს. მშობლიურ „ბარსელონაში" მისი სამწვრთნელო კარიერა ია-ვარდებით არ იქნება მოფენილი. ვინ იცის, იქნებ, იმაზე ხანმოკლეც კი აღმოჩნდეს, ვიდრე თავად წარმოუდგენია. არ გვეგულება მწვრთნელი, რომელსაც იმის ილუზია აქვს, რომ წარმატებას ჯადოსნური ჯოხის ერთი მოქნევით მიაღწევს, მით უმეტეს, როცა ლაპარაკია ახალგაზრდა, დამწყებ სპეციალისტზე (გვარდიოლასადმი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, ამ ტერმინს მხოლოდ პირობითი მნიშვნელობით ვხმარობთ), რომელსაც სერიოზული პრაქტიკა არ გაუვლია. პრაქტიკა კი მთავარი რამაა. როცა გამოუცდელ კაცს „ბარსელონას" მწვრთნელად ნიშნავ, ვგონებთ, ამას რისკიც აღარ ჰქვია. რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავთ, რომ ხვალ-ზეგ გვარდიოლა დიდ მწვრთნელად მოგვევლინოს, მაგრამ ის ჯერ არ არის ის ღვინო, რომელიც დღეს უნდა დალიო...



პრიმერა დივიზიონის პირველ ორ ტურში კატალონიურმა გრანდმა მხოლოდ ერთი ქულა აიღო - ჯერ სტუმრად წააგო (0:1) უმაღლესში დაბრუნებულ „ნუმანსიასთან", ხოლო გასულ შაბათს „კამპ ნოუზე" ვერაფერი მოუხერხა „რასინგს" - 1:1. ასეთი ცუდი სტარტი „ბარსას" 1973/74 წლების სეზონის შემდეგ არ ჰქონია. არადა, **სამუელ ეტო'მ** წინასასეზონო ამხანაგურ მატჩებში 6 გოლი გაიტანა, თუმცა ბოლო სამ ოფიციალურ შეხვედრაში ერთხელაც ვერ შეარხია მეტოქეთა კარის ბადე. დავანებოთ თავი ეტო'ს. ბოლოს და ბოლოს, „ბარსას" თავდასხმის ტვირთი მარტო მასზე არ არის ჩამოკიდებული. პოლონურ „ვისლასთან" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე წაგების შემდეგ გვარდიოლას გუნდმა ვერ გაუტანა „ნუმანსიასაც", ხოლო „რასინგთან" მხოლოდ 11-მეტრიანით შეძლო მეტოქის კარის დალაშქვრა. აქედან გამომდინარე, პრობლემა გაცილებით სერიოზულია. მატჩის შემდეგ გვარდიოლამ სიტუაციას საინტერესო ახსნა მისცა:

*„გოლის გატანა არის ყველაზე რთული რამ, რაც ფეხბურთელს უნდა ასწავლო. სხვათა შორის, ფეხბურთი სპორტის ერთადერთი სახეობაა, რომელშიც შეიძლება გაიმარჯვო ისე, რომ კარში ერთხელაც არ დაარტყა".*

ეტყობა, პეპს მხედველობაში ჰქონდა მეტოქის მაგალითი, როცა „რასინგს" მთელი 90 წუთის განმავლობაში ერთხელაც არ დაურტყამს „ბარსას" კარისკენ, თუმცა გოლის გატანაც მოახერხა და ქულაც წაიღო. მაგრამ ეს ვერ ამართლებს გვარდიოლას კრებულს, რომელმაც უამრავი შანსი გაუშვა ხელიდან და თან იცოდა, რომ მეტოქე 10 კაცით დაიცავდა თავს. „ბარსელონა" ანალოგიური სისტემის წინააღმდეგ წლების განმავლობაში თამაშობდა, მაგრამ როგორღაც იგებდა...

როგორც კი „რასინგთან" მატჩის საფინალო სასტვენი გაისმა, ესპანელმა რეჟისორებმა უმალ დაიჭირეს ტრადიციული კადრი - გვერდიგვერდ მჯდომი ორი პრეზიდენტი, რომელთაგან დამარცხებული ნაძალადევი ღიმილით ულოცავს გამარჯვებას კოლეგას. ამჯერად, **ჟოან ლაპორტა** არ დამარცხებულა, თუმც იმ საღამოს მას ადამიანის სახე არ ჰქონდა. როგორც ჩანს, ლაპორტასთვის ეს ფრე მარცხის ტოლფასი იყო.

პრესამ კატალონიური გრანდი მწვავედ გააკრიტიკა. მაგრამ ამჯერად ტრადიციას დავარღვევთ და ბარსელონაში გამომავალ გაზეთ „სპორტის" ოპტიმისტურ განსჯას შემოგთავაზებთ. გამოცემა ასახელებს **ათ მიზეზს** იმისა, თუ რა გზით შეძლებს „ბარსელონა" ამ კრიზისის გადატანას და ძველი თამაშის დაბრუნებას.

**პირველი** ისაა, რომ გვარდიოლა შეძლებს, დაარწმუნოს მოთამაშეები საკუთარ ძალებში და მისცეს ახალი მოტივაცია. **მეორე**: კატალონიელებს ჰყავთ მსოფლიოს საუკეთესო (არაოფიციალურად) ფეხბურთელი **ლიონელ მესის** სახით, რომელიც აუცილებლად დაიბრუნებს ფორმას, თამაშს საკუთარ თავზე აიღებს და ყველაფერი შეიცვლება. **მესამე**: „ბარსაში" თამაშობს ევროპის ჩემპიონატის ნომერი პირველი ფეხბურთელი **ჩავი ერნანდესი**. მეოთხე მიზეზი უკავშირდება იმ იმედს, რომ განაპირა მცველი **დანი ალვეში** თავის შემტევ პოტენციალს მალე სრულად აამუშავებს, რაც მეტი გოლის გარანტია იქნება.

**მეხუთე** ფაქტორად უნდა იქცეს გუნდის ერთიანობა, რასაც გვარდიოლა, სპეციალისტების აზრით, აუცილებლად მიაღწევს. **მეექვსე** მიზეზი იქნება ახალი გენერაციის მომენტი. გვარდიოლა ცდილობს, შემადგენლობაში იმ მოთამაშეების ინტეგრირებას, რომელთაც ახალგაზრდულ გუნდში ავარჯიშებდა. ერთი-ერთი მათგანია **სერხი ბუსკეტსი**, რომელსაც შაბათს დებიუტი ჰქონდა. **მეშვიდე**: ეტო'მ უნდა დაიწყოს გოლების გატანა. ახალ სისტემას ამუშავებისთვის ცოტა მეტი დრო სჭირდება, ვიდრე გულშემატკივრებს ჰგონიათ. ესეც თქვენი **მერვე** მიზეზი. ცოტა არ იყოს, პროზაულია **მეცხრე** და **მეათე** მიზეზები: ქომაგთა მოთმინების უნარი უნდა დაეხმაროს გუნდს, რომ მშვიდ ვითარებაში გამოვიდეს კრიზისიდან. და იქნებ, ბედიც უფრო მოწყალე გახდეს, ვიდრე გასულ სეზონში იყო. ვნახოთ, რას მოიტანს ამ მიზეზების ერთობლიობა.

**გიორგი გელაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა. I ტურის წინ

# ტოტი ბრუნდება

## გერეტსმა იცის, როგორც დაამარცხოს ლივერპული

### A ჯგუფი

### ჩელსი-ბორდო

**მიხაელ ბალაკი** მინდორზე დასაბრუნებლად ემზადება. მან, შეიძლება, "ბორდოსთან" ითამაშოს. ეს ინფორმაცია "არისტოკრატების" თავკაცმა **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** გაავრცელა. ლონდონელებს **დიდიე დროგბა** ვერ დაეხმარება. ის მოსკოვური ფინალისას გააძევეს. თავდამსხმელმა ერთმატჩიანი სასჯელი უნდა მოიხადოს. დაშავებულია **მიკაელ ესიენი**. სანაკრებო შეკრებისას, განელმა ნახევარმცველმა მუხლი დაიზიანა და ექვსი თვით გამოეთიშა ფეხბურთს. ესიენის ადგილს **ჯონ ობი მიკელი** დაიჭერს. "ჩელსის" სხვა საკადრო პრობლემები არ გააჩნია.

"ბორდო" აუტსაიდერია. მიმომხილველები "ჩელსისა" და "ბორდოს" პაექრობას დავითისა და გოლიათის ბრძოლას ადარებენ. ფრანგების თავკაცი **ლორან ბლანი** ფარხმლის დაყრას არ აპირებს. ლონდონში შოპინგისათვის არ ჩამოვსულვართ, შევეცდებით, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთო. ბლანის აზრით, მარტო იმიტომ, რომ ლონდონელებს ბევრი ფული აქვთ, ისინი ჩემპიონთა ლიგას ვერ მოიგებენ. მოსიე ლორანმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *"მეტოქის თამაში დაწვრილებით შევისწავლეთ. "ჩელსის" სისუსტეზე ბევრი არ გვიმსჯელია. ლონდონელებს სუსტი რგოლი თითქმის არ გააჩნიათ. რაც შეეხება მათ ძლიერ მხარეებს, მსჯელობა ნაადრევად შევწყვიტეთ, რომ ლამე თეთრად არ გაგვეთენებინა."*

"ბორდოს" ორი წამყვანი მცველი, **მატიო შალმი** და **ბენუა ტრემულინასი** ვერ დაეხმარება. ისინი სასჯელებს იხდიან. მათ არყოფნაში ძირითადში ვიხილავთ **ფრანკ ჟურიეტისა** და **დიეგო პლასენტეს**. დისკვალიფიკაციის შემდეგ ბრაზილიელი ნახევარმცველი **ფერნანდო** ბრუნდება.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ჩელსი:** ჩეხი, ბოსინგვა, კარვალიო, ტერი, ეშლი კოული, ობი მიკელი, ჯო კოული (ან ბელეტი), დეკუ, ლემპარდი, მალუდა, ანელკა.

**ბორდო:** რამე, ჟურიეტი, პლანუსი, სო, დიავარა, პლასენტე, დუკასი, ალუ დიარა, ფერნანდო, კავენაგი, ბელიონი.

**მსაჯი:** პიეტერ ვინკი (ჰოლანდია)

### რომა-კლუჟი

"რომამ" იტალიის პირველობა უსახურად დაიწყო. ორი ტურის შემდეგ "ჯალოროსის" ერთი ქულა აქვს. გასულ უქმეებზე **ლუჩანო სპალეტის** შეგირდებმა "პალერმოსთან" წააგეს (1:3). სადაა გუნდი, რომელიც ერთი წლით წინ "ინტერს" სკუდეტოს ეცილებოდა? *"ის, რაც ერთი წლის წინ იყო, აღარ არის. მას მერე ბევრი რამ მოხდა, ზოგი პოზიტიური, ზოგიც ნეგატიური,"* - თქვა სპალეტიმ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

რომაელებს **ფრანჩესკო ტოტი** გამოუჯანმრთელდათ. აგვისტოში კაპიტანმა იტალიის სუპერთასზე ითამაშა. შემდეგ ისევ დაშავდა და ჩემპიონატის ორი მატჩი გამოტოვა. გასულ უქმეებზე სპალეტიმ ძირითადი მეკარე **ალეშანდრე დონი** დაასვენა. დღეს ბრაზილიელი მცველი **ჟუანი** ვერ ითამაშებს. **ფილიპ მექსეს** მუხლი აწუხებს და მისი ასპარეზობაც საეჭვოა.

რუმინელებს იტალიელი მწვრთნელი ჰყავთ. **მაურიციო ტრომბეტას** გამოცდილება ფრიად მოკრძალებულია. რუმინეთში გამგზავრებამდე, ის იტალიის სამოყვარულო კლუბ "სეველიანოში" მოღვაწეობდა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**რომა:** დონი, კასეტი, მექსე, პანუჩი, რიისე, პისარო, დე როსი, ტადეი, ბაპტიშტა, ვუჩინიჩი, ტოტი.

**კლუჟი:** სტანჩოიუ, კადუ, დე სოუზა, ტონი, პანინი, დანი, პერალტა, კულიო, დეაჩი, დუბარბიერი, დიდი.

**მსაჯი:** იური ბასკაკოვი (რუსეთი)

### B ჯგუფი

### პანათინაიკოსი-ინტერი

**ჟოზე მოურინიო** გულშემატკივარს შემტევ ფეხბურთს ჰპირდება. მწვრთნელმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ იტალიაში გადასვლის მიუხედავად, მისი ფილოსოფია არ შეცვლილა: *"ჩემი გუნდები ყოველთვის უტევენ. იმისათვის, რომ შედეგს მივაღწიო, მეკარის წინ ცხრა და ათი ფეხბურთელის დაყენებას არ ვაპირებ."* "ნერაძურის" წამყვანი მცველი **ივან კორდობა** გამოუჯანმრთელდა. ის **ნიკოლას ბურდისოს** შეცვლის. ამ უკანასკნელმა ერთმატჩიანი სასჯელი უნდა მოიხადოს.

მოურინიომ მიმომხილველებს ისიც აუწყა, რომ "პანათინაიკოსთან" მატჩში თავის გუნდს ფავორიტად მიიჩნევს, მაგრამ მეტოქეს მაინც დიდი პატივისცემით ეკიდება: *"ამ ტურნირში 50-ზე მეტი თამაში ჩავატარე. საკმარისი გამოცდილება დამიგროვდა. კარგად ვიცი, რომ ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ ინგლისური, იტალიური და გერმანული გრანდები არ იმარჯვებენ. ათენში თამაში ძნელია, მაგრამ ჩვენ ჩემპიონთა თასის მოგება გვინდა."*

"პანათინაიკოსს" ჩემპიონთა ლიგაში ორი წელია, არ უთამაშია. გუნდმა ევროპულ ელიტაში დაბრუნება ჰოლანდიელი მწვრთნელის, **ჰენკ თენ კეიტის** ხელმძღვანელობით მოახერხა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, მატოსი, ნინისი, გუმასი, სოუზა, სალპიგიდისი, ჟილბერტო სილვა, მენდოსა, კარაგუნისი, სპიროპულოსი.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, მატერაცი, კორდობა, მაქსველი, ძანეტი, კამბიასო, მუნტარი, მანსინი, კვარეშმა, იბრაჰიმოვიჩი.

**მსაჯი:** მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

### ვერდერი-ანორთოსისი

**თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისი" პირველი კვიპროსული კლუბია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში გააღწია. კუნძულელებმა საბერძნეთის ერთ-ერთი გრანდი, "ოლიმპიაკოსი" გამოთიშეს. "ანორთოსისი" სადებიუტო მატჩს ბრემენში ჩაატარებს. "ვერდერის" ნახევარმცველი **ტორსტენ ფრინგსი** თანაგუნდელებს სიფრთხილისაკენ მოუწოდებს.

გასულ უქმეებზე "მუსიკოსებმა" "კოტბუსს" სამი უპასუხო გოლი გაუტანეს, თუმცა 75-ე წუთამდე ანგარიში 0:0 იყო. "ვერდერმა" ბუსდესლიგის ოთხ ტურში კინაღამ მესამე ფრე ითამაშა. "კოტბუსთან" მატჩში მინდორს დაუბრუნდა წამყვანი მცველი **პერ მერტეზაკერი**. ის დღესაც ძირითადში ითამაშებს. ძირითადში იქნება ფრინგსიც, რომელმაც ცხვირი გაიტეხა.

ბრემენელები ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მეხუთედ ითამაშებენ. "ვერდერს" ჯგუფის პირველი შეხვედრა ჯერ არ მოუგია. "ანორთოსისმა" ამ მატჩამდე სამი საკვალიფიკაციო ეტაპი გაიარა - ორი მატჩის ჯამში 3:0 დაამარცხა ერევნის "პიუნიკი", 4:3 მოუგო ვენის "რაპიდს" და 3:1 სძლია პირეოსის "ოლიმპიაკოსს".

კვიპროსელებს **იანის სკოპელიტისი** და **სტეფანოს ვოსკარიდისი** დააკლდებათ. მათ ნაცვლად ძირითადში **ტრაიანოს დელასი** და **სავიო** ითამაშებენ. სასჯელს იხდის **სინიშა დობრასინოვიჩიც**.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ვერდერი:** ვიზე, ფრიცი, მერტეზაკერი, ნალდო, ბიონიში, ბაუმანი, ფრინგსი, იენსენი, დიეგო, როზენბერგი, პისარო.

**ანორთოსისი:** ბეკაჯი, თეოდოტუ, კაცავაკისი, კონსტანტინუ, ლევაკაბესი, პაულუ კოშტა, დელასი, ლაბანი, ბარდონი, სავიო, სოსინი.

**მსაჯი:** კრეიგ ტომპსონი (შოტლანდია)

### C ჯგუფი

### ბარსელონა-სპორტინგი

"ბარსელონას" პრობლემები აქვს. კატალონიელებმა პრიმერა დივიზიონის ორ ტურში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვეს და ერთი გოლი შეაგდეს. გუნდს ასე ცუდი სტარტი 35 წელია, არ ჰქონია.

"ბარსამ" ტრანსფერებში 90 მილიონი ევრო დახარჯა. **პეპ გუარდიოლამ დანიელ ალვეში, სეიდუ კეიტა, ხერარდ პიკე, მარტინ კასერესი** და **ალექსანდრ გლები** შეიძინა. კატალონიელებს ორი წელია, არაფერი მოუგიათ. გულშემატკივარი საყვარელი გუნდისაგან გამარჯვებებს ელის.

გუარდიოლა ლისაბონის "სპორტინგთან" იმავე სქემით ითამაშებს, რითაც "რასინგს" დაუპირისპირდა (1:1). მიმომხილველები შემადგენლობაში ცვლილებებს ელიან. **ლეო მესის** ძირითადში ვიხილავთ. ძირითადში იქნებიან **ტიერი ანრი** და **სამუელ ეტოოც**. გასულ უქმეებზე **ალექსანდრ გლებმა** კოჭი იტკინა და რამდენიმე კვირით ჩამოშორდა მინდორს.

"სპორტინგი" ბარსელონას წამყვანი თავდამსხმელის, **ლიდსონის** გარეშე ეწვევა. ის მუხლის ტრავმას იშუშებს. დაშავებულია სერბი ნახევარმცველი **სიმონ ვუკჩევიჩიც**. მისი ტრავმა იმდენად სერიოზულია, რომ გუნდის ხელმძღვანელებმა ის ჩემპიონთა ლიგის განაცხადშიც კი არ შეიყვანეს. საკადრო პრობლემების მიუხედავად, "სპორტინგის" თავკაცი **პაულუ ბენტო** ესპანეთში გამარჯვებისათვის მიემგზავრება.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა:** ვალდესი, დანიელ ალვეში, პუიოლი, მარკესი, აბიდალი, იაია ტურე, ინიესტა, ჩავი ერნანდესი, ანრი, მესი, ეტოო.

**სპორტინგი:** პატრისიო, აბელი, ტონელი, პოლგა, კანეირა, მოუტინიო, როშემბაკი, რომანიოლი, იზმაილოვი, დერლეი, იანიკი.

**მსაჯი:** ლორან დუამელი (საფრანგეთი)



რომას ტოტი ახლა ძალიან სჭირდება

### ბაზელი-შახტარი

"ბაზელმა" შვეიცარიის პირველობა შთამბეჭდავად დაიწყო. **კრისტიან გროსის** შეგირდებმა ცხრა მატჩიდან რვა მოიგეს და უახლოეს მდევარ "ციურიხს" ხუთი ქულით გაუსწრეს. 54 წლის გროსი "ბაზელის" სიმბოლოა. ის გუნდს მეცხრე სეზონია, ხელმძღვანელობს.

მასპინძლებს სერბი ნახევარმცველი **სივან ერგიჩი** ვერ დაეხმარება. მას **მარკოს გელაბერტი** ან **ჯონ გასულა** შეცვლის. საეჭვოა შვეიცარიის ნაკრების თავდამსხმელის, **მარკო შტრელერის** ასპარეზობა. მას ზურგის ტრავმა აწუხებს. სასჯელს იხდის ნახევარმცველი **ბერანგ საფარი**. ბარძაყის კუნთს იშუშებს კიდევ ერთი ნახევარმცველი **ერენ დერდიოკი**.

**მირჩა ლუჩესკუს** "შახტარი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ზედიზედ მესამედ ითამაშებს, თუმცა გუნდი ფლეი ოფში არასოდეს გასულა. აგვისტოში, საკვალიფიკაციო რაუნდში, უკრაინელებმა ზაგრების "დინამო" 5:1 (ორი მატჩის ჯამში) გაანადგურეს. ლუჩესკუ ნავსის გატეხვას და მომდევნო ეტაპზე თამაში გეგმავს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბაზელი:** კოსტანსო, ფერატი, აბრაჰამი, მარკი, ზანი, ჰუგელი, შტოკერი, ედუარდო, გასულა, კარლიტოსი, მუსტაფი.

**შახტარი:** ხუჯამოვი, იეზერსკი, ჩიგრინსკი, კუჩერი, შევჩუკი, ლევანდოვსკი, გაი, ფერნანდინიო, ვილიანი, სელეზნიოვი, ადრიანო.

**მსაჯი:** ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

### D ჯგუფი

### მარსელი-ლივერპული

გასულ უქმეებზე "ლივერპულმა" ევროპის ჩემპიონი დაამარცხა (2:1). "მარსელის" თავკაცმა **ერიკ გერეტსმა** მერსისაიდელების თამაშით აღფრთოვანება ვერ დამალა. დღეს "ლივერპული" ფავორიტია, თუმცა ეს სტატუსი მინდორზე უნდა დაამტკიცოს. ფრანგები ქულების დათმობას არ აპირებენ.

**რაფა ბენიტესს** პრობლემები აქვს. **ფაბიო აურელიომ** კოჭი იტკინა და საფრანგეთში ვერ გაემგზავრა. განაცხადში არიან **სტივ ჯერარდი** და **ფერნანდო ტორესი**. ჯერარდმა "მანჩესტერთან" შეცვლაზე ითამაშა. ტორესი თადარიგშიც კი არ ყოფილა. მწვრთნელმა ის "ველოდრომისათვის" შემოინახა.

გერეტსს "ლივერპული" ორჯერ ჰყავს დამარცხებული - ჯერ "გალათასარაიში" ყოფნისას, მეორედ კი გასულ სეზონში, როდესაც ეს გუნდები ჯგუფურ ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს. შეგახსენებთ, მაშინ ფრანგებმა "ენფილდ როუდზე" გაიმარჯვეს.

"ოლიმპიკს" კაპიტანი **ლორიკ კანია** უბრუნდება. მან "ბორდოსთან" ბოლო ტურის მატჩი გამოტოვა. კანია **ქარიმ ზიანის** ადგილს დაიკავებს. მუხლის იტკიებს **ჰატემ ბენ არფა**. მისი ასპარეზობა საეჭვოა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**მარსელი:** მანდანდა, ბონარტი, ზუბარი, ჰილტონი, ტაივო, ბენ არფა, მბამი, შეირუ, კონე, ვალბუენა, ნიანგი.

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, შკრტელი, კარაგერი, აურელიო, ჯერარდი, ალონსო, მასკერანო, ბაბელი (ან რიიერა), რობი კინი, ტორესი (ან კუიტი).

**მსაჯი:** კონრად პლაუტცი (ავსტრია)

### ეინდჰოვენი-ატლეტიკო

"ეინდჰოვენის" თავკაცი **ჰუუბ სტევენსი** "ატლეტიკოს" ესპანური გრანდების გვერდით აყენებს, მიუხედავად იმისა, რომ მადრიდელებს ჩემპიონთა ლიგაში 11 წელია, არ უთამაშიათ. "როხიბლანკომ" სეზონი შთამბეჭდავად დაიწყო, მაგრამ გასულ უქმეებზე ვალიადოლიდში მოულოდნელი მარცხი იწვნია (1:2).

ჰოლანდიის ჩემპიონებს წამყვანი მცველი **იან კრომკამპი** არ ეყოლებათ. მან მუხლის ტრავმა მოიშუშა, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა აკლია. სათადარიგო მეკარე **ბას როორდამ** თითი მოიტეხა. **ანდრეას ისაკსონის** დუბლიორად სარეზერვო გუნდის გოლკიპერი მოგვევლინება.

"ატლეტიკოს" ორი ფეხბურთელი ჰყავს დისკვალიფიცირებული - **მაქსიმილიანო როდრიგესი** და **მარიანო პერნია**. **ხავიერ აგირე** ძირითადში დააყენებს საუკეთესო თავდამსხმელს, **სერხიო აგუეროსა** და **დიეგო ფორლანს**. "ვალიადოლიდთან" მატჩისას, აგუერო თადარიგში იმყოფებოდა. ფორლანი კი ტრიბუნაზე იჯდა. "ლივერპულის" ყოფილი თავდამსხმელი **ფლორან სინამა პონგოლე** თადარიგს დაუბრუნდება.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ეინდჰოვენი:** ისაკსონი, სალსიდო, ბრეშეტი, პიეტერსი, მარსელისი, აფელეი, კოვერმანსი, სიმონსი, ამრაბატი, მენდესი, ვუიტერსი.

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, პერეა, ჰეიტინგა, უიფალუსი, ა.ლოპესი, გარსია, მანიშე, ასუნსაო, სიმაო, ფორლანი, აგუერო.

**მსაჯი:** რობერტო როზეტი (იტალია)

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მანჩესტერ სიტი

# აბუ დაბის დიდებისათვის

## ადრე ფანებს ლურჯ-ცისფერი ფეხბურთი სულ სხვანაირად უყვარდათ

ჯეიმს რიჩარდსონი
გარდიანი

ფეხბურთის გლობალური ბიზნესის ნაწილად გადაქცევის პროცესი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყო. დღეს შემდეგი რეალობა გვაქვს: საფეხბურთო სამყაროში უკვე დამკვიდრდა მილიარდერთა ერთი ნაწილი და მეორე ამას ახლა ესწრაფვის... ამბობენ, ფეხბურთში ფულის ჩადებას მსოფლიოს მე-6 უმდიდრესი ადამიანი ანიბალ ამბანი აპირებსო. მოკლედ, ზოგისთვის ფეხბურთი ბიზნესია, ზოგისთვის სათამაშო, ვიღაც კი შეიძლება ამას განსხვავებული მიზნით აკეთებდეს. დღეს ჩვენ ფეხბურთის სამყაროში შემოჭრილი ბოლო ოდიოზურ პერსონასა და მის მიზნებზე ვიმსჯელებთ - "მანჩესტერ სიტის" ახალი მესაკუთრე აბუ დაბის მკვიდრი, არაბეთის გაერთიანებული საემიროების მმართველი ალ ნიჰიანების ოჯახის წევრი სულაიმან ალ ფაჰიმია... რა უნდა მას ფეხბურთში? ვნახოთ, იქნებ მივაგნოთ კიდეც პასუხს. "სიტი" ჯერ ტაილანდის ექსპრემიერმა, მილიარდერმა ტაქსინ შინავატრამ შეიძინა, ხოლო სულ რაღაც 14-15 დღის წინ მისგან კლუბის აქციები არაბმა გადაიბარა. ეს უკანასკნელი "აბუ დაბი იუნაიტედ გრუპის" ერთ-ერთი მსხვილი მეწილეა, მისი ოჯახის ქონება ას მილიარდზე მეტად ფასობს, ხოლო თავად კომპანიის კაპიტალი, როგორც ამბობენ, ტრილიონ გირვანქამდე ადის. იმ მიზეზებზე, რამაც ალ ფაჰიმს ინგლისურ ფეხბურთში ფულის დაბანდება გადააწყვეტინა, "გარდიანის" ჟურნალისტი ჯეიმს რიჩარდსონი მსჯელობს.

"პირველი რამაც გაგვაოცა, **სულაიმან ალ ფაჰიმის** უცნაური გულწრფელობა იყო: ახალ მესაკუთრეს ხაზგასმით არ აღუნიშნავს, რომ "დიდ პატივს სცემს კლუბის ისტორიასა და ტრადიციებს, რომ პატარაობიდანვე ოცნებობდა სწორედ ამ კლუბის წევრობაზე, რომ აქაურ ფანებს საუკეთესოებად თვლის მსოფლიოში" და ასე შემდეგ... ახალი მფლობელები ხომ თითქმის ყოველთვის ასე იქცევიან ხოლმე. გეხსომებათ, რომ მსგავსი ნაბიჯებით დაიწყო კლუბთან ურთიერთობა **ტაქსინ შინავატრამაც**. "ენფილდზე" "ლივერპულის" შარფებით გამოვიდნენ გულშემატკივრებთან პირველსავე შეხვედრაზე **ტომ ჰიკსი** და **ჯორჯ ჯილეტი**. ტრადიციის უგულებელყოფის ფონზე ალ ფაჰიმმა მხოლოდ მომავალზე ისაუბრა. პირველი დაპირებები მარტივი იყო: ის მოაგვარებდა კლუბის პრობლემებს, გაისტუმრებდა დაგროვილ ვალებს (ამით მიანიშნა, რომ შინავატრას დროს "სიტი" უფრო მეტს ხარჯავდა, ვიდრე ამის საშუალებას ბიუჯეტი აძლევდა) და რაც მთავარია, "სიტი" ჯერ გახდებოდა პრემიერლიგის დიდი ოთხეულის რეალური კონკურენტი, ხოლო შემდეგ კიდევ უფრო ძლიერი. მან გულწრფელად განმარტა, თუ რაში დასჭირდა საფეხბურთო ბიზნესში ჩართვა: *"ჩვენს კომპანიას ძლიერ იზიდავს ინგლისური პრემიერლიგა და მასში თანხების დაბანდება ამიტომაც გადაწყდა. შეგვეძლო "არსენალის", "ლივერპულისა" და "ნიუკასლის" შეძენაც გვეცადა, მაგრამ საბოლოოდ "სიტი" შევიძინეთ. სპორტში დაბანდებული თანხების წყალობით "აბუ დაბი იუნაიტედ გრუპს" განზრახული აქვს, რომ ქვეყნის პოზიციები კიდევ უფრო გაამყაროს დასავლეთში, ხელი შეუწყოს სპორტის პოპულარიზაციას და მსოფლიო თანამეგობრობის ყურადღება მიაპყროს საამიროებს."* ალბათ, ამას კომენტარი არც სჭირდება. უცხო ქვეყანაში ფულის ჩადებით ეს ადამიანი, პირველ რიგში, საკუთარ ქვეყანაზე ზრუნავს... აი, ასეთ უცნაურ დროში ვცხოვრობთ. დასტურად იმისა, რომ არ ხუმრობდა, სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს ალ ფაჰიმმა **რომან აბრამოვიჩს** ცხვირწინ ააცალა ბრაზილიელი **რობინიო**, გადაიხადა რა მასში საბაზრო ფასზე აშკარად უფრო დიდი თანხა.

არაბი ბიზნესმენებისთვის პირველმა ექსტრაორდინარულმა შენაძენმა, როგორც ჩანს, პრემიერლიგისთვის სულ ახალ ფინანსურ ეპოქას დაუდო სათავე, ეპოქას, სადაც ინგლისური ტოპკლუბები შეიძლება ახლოაღმოსავლელმა თუ აზიელმა შეძლებულმა ადამიანებმა როგორც ბრენდი ისე იყიდონ. დიდი ხანია ცნობილია, რომ დუბაის შეიხი **მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქთუმი** და მისი კომპანია „დუბაი ინტერნეშენალ კეპიტალი" "ლივერპულის" შეძენას ცდილობს და ამ მიზნით უკვე არაერთი შეხვედრა შედგა **ტომ ჰიკსსა** და **ჯორჯ ჯილეტთან**. მსოფლიოში შექმნილი საკრედიტო კრიზისის პირობებში აზიური "თავისუფალი ფულადი სახსრები" სულ უფრო და უფრო ადვილად მკვიდრდება დასავლურ ბაზარზე.

ათწლეულების განმავლობაში ინგლისური პროფესიული კლუბები კონკრეტულ ბიზნესმენებს ეკუთვნოდათ, ვისთვისაც ამ კლუბების ქონა ისევე პრესტიჟულად ითვლებოდა, როგორი პრესტიჟულიც დღეს არაბებისთვის გახდა. იდილია გაგრძელდა იქამდე, ვიდრე პრემიერლიგურმა კლუბებმა უარი არ თქვეს ტელეკომპანია BSkyB-სთან (British Sky Broadcasting) სატელევიზიო კონტრაქტის გაგრძელებაზე. ამას მოჰყვა რიგი წარმატებული კლუბების მიერ საკუთარი აქციების ლონდონის საფონდო ბირჟაზე გატანა, რამაც მათ არნახული მოგება მოუტანა. ყველაზე წარმატებული მათ შორის "მანჩესტერ იუნაიტედი" აღმოჩნდა. ზოგიერთ კლუბში დაიწყეს საფეხბურთო კლუბის პირდაპირი დანიშნულება და შემოსავალს გამოდევნებულებმა მეორე პლანზე გადაიტანეს წმინდა სპორტული წარმატებებისთვის ბრძოლა. კლუბები ფინანსურად წელში გაიმართნენ, რადგან მსოფლიოში დღითი დღე პოპულარული ხდებოდა პრემიერლიგა და სატელევიზიო კონტრაქტებსაც სულ უფრო და უფრო მეტი შემოსავალი მოჰქონდა.

ის ბიზნესმენები, რომლებმაც ათეული და ასეული მილიონები ჩადეს ბრიტანულ ფეხბურთში, განსხვავებული მოტივაციით მოქმედებდნენ. რომან აბრამოვიჩმა "ჩელსი" გასართობად შეიძინა და ელემენტარული გათვლებია საჭირო, რომ დავასკვნათ: კლუბიდან მოგებას ის კიდევ დიდხანს ვერ მიიღებს. ბრიტანულ პრესაში დაიწერა ისიც, რომ რომან არკადიჩი ფულის დასავლეთში გატანით დაპატიმრებას გადაურჩა, რადგან, მოგეხსენებათ, სწორედ ამ პერიოდში გამოცხადდა რუსეთში "ალქაჯებზე ნადირობა", რასაც უმსხვილესი რუსული კომპანიები და უმდიდრესი რუსი ბიზნესმენები შეეწირნენ. რაც შეეხება ჯილეტისა და ჰიკსის, ასევე **გლეიზერების** ოჯახის მოტივაციას, ისინი ბიზნესგათვლებით მოქმედებდნენ, რადგან გლობალურად განვითარებად საფეხბურთო სამყაროში რამდენიმე წელიწადში მათ კოლოსალური მოგების მიღება შეეძლებათ.

ტაქსინ შინავატრას მიერ "მანჩესტერ სიტის" შეძენაც თავის დროზე სწორედ ტაილანდის ექსპრემიერის იმიჯის გამოსწორებას ემსახურებოდა სამშობლოში. სამხედრო ხუნტის მიერ მისი ხელისუფლების დამხობის შემდეგ მასზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა - შინავატრას ბრალი დასდეს კორუფციასა და ფულის გათეთრებაში. გასაგები იყო, რომ დადგებოდა დრო და ის კლუბს აუცილებლად გაყიდდა, მაგრამ ეს დღე იმაზე ადრე დადგა, ვიდრე ელოდა. ხუნტამ მისი საბანკო ანგარიშები მთლიანად გაყინა, სხვა გზა გარდა კლუბთან დამშვიდობებისა მას აღარც რჩებოდა. შინავატრას მეგობარმა ბიზნესმენებმა **პაიროხ პიემპონგსანტმა** (ბიზნესწრეებში მისი სახელი ფართოდაა ცნობილი 80-იანი წლების ტაილანდური ეკონომიკური ბუმის დროიდან. 1990-91 წლებში ტაილანდის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო, მუშაობდა ეროვნული ნაკრების მენეჯერადაც) და **ჯეკ სრისუმრიდმა** (იელისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების კურსდამთავრებული ფინანსისტი) მოლაპარაკებები დაიწყეს თუ არა, ალ ფაჰიმის მომხიბლავმა წინადადებამაც აღარ დააყოვნა. ტაილანდელი დიდ მოგებაში დარჩა.




ეს ნუთია, ტაილანდელთა ნდობით აღჭურვილმა პირმა პაიროხ პიემპონგსანტმა (მარცხნივ) სულაიმან ალ ფაჰიმს მანჩესტერული კლუბი გადაუფორმა

საინტერესოა გარიგების დეტალები: პაიროხმა მოახერხა იმდენი, რომ შინავატრამ კლუბის აქციების 25 პროცენტი მაინც შეინარჩუნა. ალ ფაჰიმმა პირობა მისცა ექსპრემიერს, რომ ის კლუბის საპატიო პრეზიდენტის პოსტს შეინარჩუნებს. ამასთან, მას არ ექნება კლუბთან დაკავშირებული კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების უფლება. კარგი იურიდიული გათვლაა შემდეგიც: პრემიერლიგის ხელმძღვანელობა კლუბის მსხვილი აქციონერების იმიჯით ყოველთვის დაინტერესებულია ხოლმე და 30-ზე მეტი პროცენტის მფლობელი ვალდებულია, მას ანგარიში წარუდგინოს მასთან დაკავშირებული საგამოძიებო თუ სასამართლო პროცესების ირგვლივ.

დუბაის მმართველი ალ ნიჰიანების ოჯახი დიდი ფულის მათ ქვეყანაში დაბანდებით დასავლეთთან კარგ დამოკიდებულებასაც ყიდულობს... ყოველ შემთხვევაში ცდილობს მაინც ამის გაკეთებას. არაბებს ევროპის თვალში რენომეს არათუ შენარჩუნება, ამაღლებაც სჭირდებათ, რადგან დასავლურ პრესასა თუ არასამთავრობო ორგანიზაციათა ვებგვერდებზე ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად ჩნდება კრიტიკული სტატიები ამ ქვეყნის მმართველ კლანთან და მათ მიერ დამყარებულ რეჟიმთან დაკავშირებით. ამბობენ, რომ ხშირია გაუთხოვარი გოგონების დასჯის მაგალითები "უნებართვო სექსის" გამო, ფიქსირდება კრიმინალისთვის დაკავებულთა ცემისა და წამების ფაქტები, ხანდახან ასეთებს ლინჩის წესით ასამართლებენ - მათ უბრალოდ ქვებით ქოლავენ. ამის ფონზე ასეული მილიონების ევროპაში ჩადება დასავლეთში ამ სახელმწიფოთა "მრისხანებას" ცივ წყალს გადაასხამს და ალ ნიჰიანების იმიჯიც ისევე გამოსწორდება, როგორც ეს ერთ დროს ტერორისტად აღიარებული და დევნილი **მოამარ ალ კადაფის** შემთხვევაში მოხდა. მით უფრო, რომ რეჟიმი მისი არადემოკრატიულობის გათვალისწინებითაც, ძალიან შორს დგას ლიბიელი დიქტატორის მმართველობის წესისგან. შესაბამისად, მათ მიერ ინდულგენციის ყიდვა უფრო იაფი დაჯდება.

"მანჩესტერ სიტის" გულშემატკივართა შორის შეიძლება უკვე დღეს ვიღაცას მომავალი წარმატებების იმედად თავბრუ დაესხას, მაგრამ ხანდაზმულ ფანებს აუცილებლად ეხსომებათ ის დრო, როცა მათ ლურჯ-ცისფერი ფეხბურთი შეუყვარდათ. იმ დროს მართლა არავის აინტერესებდა კლუბის მესაკუთრის ფინანსური შესაძლებლობები და მით უფრო მოტივი იმისა, თუ რატომ და რამდენს ხარჯავდა მისი "შვილობილისთვის"...

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

### მდიდრები ფეხბურთში

რადგან ფეხბურთში მოღვაწე მილიარდერებზე ვსაუბრობთ, აქვე მათ არასრულ (ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო) ჩამონათვალს შემოგთავაზებთ: **ლაქშმი მიტალი** ("ქუინზ პარკ რეინჯერსის" თანამფლობელი, ლონდონი) - 51 მილიარდი; **რინატ ახმეტოვი** ("შახტარი" დონეცკი) - 31 მილიარდი; **ამანსიო ორტეგა** ("დეპორტივო", ლაკორუნია) - 24 მილიარდი დოლარი; **რომან აბრამოვიჩი** ("ჩელსი", ლონდონი) - 18.9 მილიარდი; **პოლ ალენი** (ამერიკული მეიჯორ ლიგის მომავალი მონაწილე კლუბის თანადამფუძნებელი ქალაქ სიეტლში) **ფრანსუა პინო** ("რენი") - 14.5 მილიარდი; **ოლეგ დერიპასკა** ("ყუბანი", კრასნოდარი) - 13.3 მილიარდი; **სუნილ მიტალი** (აქტიურად თანამშრომლობს ინდოეთის ფეხბურთის ფედერაციასთან, საფეხბურთო კლუბს არ ფლობს); **სილვიო ბერლუსკონი** ("მილანი"); **ფილიპ ანშუტცი** ("ლოს ანჯელეს გალაქსი", "დინამო" ჰიუსტონი, "ჰამარბი", სტოკჰოლმი) - 7.6 მილიარდი; **ჯონ ფრედრიკსენი** ("ვალერენგა", ოსლო) - 7.0 მილიარდი.

სამწვრთნელო ტრანსფერი

# ჩელსი კლარკში კომპენსაციას ითხოვს

მოგეხსენებათ, მას შემდეგ, რაც "ვესტ ჰემში" **ჯანფრანკო ძოლა** დაინიშნა, მან ასისტენტად "ჩელსის" ყოფილი პირველი მწვრთნელი, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** თანაშემწე **სტივ კლარკი** მოისურვა. ამ უკანასკნელს დიდხანს არ უფიქრია და იტალიელ მეგობართან სამუშაოდ გადავიდა. ფელიპაომ ასისტენტის ნაბიჯს დაუფიქრებელი უწოდა. "არისტოკრატების" ხელმძღვანელობამ მასთან კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტის სანაცვლოდ, 5 მილიონი გირვანქა მოითხოვა. "გარდიანის" მტკიცებით, მხარეებმა უთანხმოება მოაგვარეს. მხოლოდ ამის შედეგად გახდა შესაძლებელი კლარკის "აპტონ პარკზე" გადაბარგება.

ამასობაში, სკოლარიმ კლუბის მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი** გააკრიტიკა. ბრაზილიელი მწვრთნელის აზრით, **რობინიოს** ტრანსფერისას "ჩელსის" ბოსები უკბილოდ მოქმედებდნენ: *"რობინიო ფანტასტიკური ფეხბურთელია და მისი ხილვა ჩემს გუნდში ძალიან მინდოდა. ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ მისი ფასი ძალიან გაბერილი იყო და ამიტომ თანხის გამოყოფაზე უარი განაცხადა. ამით ისარგებლა "მანჩესტერ სიტიმ" და ფეხბურთელი ხელში ჩაიგდო. სამწუხაროდ, მე აბრამოვიჩსა და კლუბის სხვა ხელმძღვანელებზე ზემოქმედების საშუალებებს არ ვფლობ,"* - განაცხადა "დეილი მირორთან" საუბრისას სკოლარიმ.

ბრაზილიისა და პორტუგალიის ნაკრებების ყოფილ დამრიგებელს გაზეთმა სხვა საინტერესო შეკითხვებზეც სთხოვა პასუხი. მაგალითად კლუბის გეგმებზე. მისი განცხადებით, მისთვის ყველა ტურნირი თანაბრად მნიშვნელოვანია. *"ზეწოლის ქვეშ ჩვენ მარტო ჩემპიონთა ლიგის თამაშებისას არ ვექცევით* - განაცხადა მან - *ვალდებულნი ვართ ინგლისის თასის, ასოციაციის თასისა და პრემიერლიგის გათამაშების დროსაც მაქსიმალურად კონცენტრირებულნი ვიყოთ. ჩვენ ყველა ტურნირის მოგებას ვგეგმავთ, სადაც კი გამოვდივართ. თუკი რომელიმე შეჯიბრებაზე აქცენტს გავაკეთებთ, მაშინ სხვა ტურნირზე ფეხბურთელი იფიქრებს, რომ ამ შეხვედრაში ძალების დაზოგვა შეიძლება. მსგავსი ფიქრით მოედანზე გასვლა კი დაუშვებელია."*

"მანჩესტერ სიტი"-"ჩელსის" შეხვედრის 77-ე წუთზე შეხვედრის მთავარმა არბიტრმა **მარკ ჰელსიმ ჯონ ტერი** წითელი ბარათით დასაჯა. მოტივი "ბოლო იმედის ჯარიმა" გახლდათ, მაგრამ თუკი მსაჯი ეპიზოდს თვალს ახლა შეავლებს, აღმოაჩენს მის მიერვე დაშვებულ უსუსურ შეცდომას - ტერის გარდა, "სიტის" ფორვარდ **ჟოს** ფეხდაფეხ მისდევდა "ჩელსის" ორი მცველი. აქედან გამომდინარე, ბოლო იმედის ჯარიმა არ იყო. "არისტოკრატების" ხელმძღვანელობა მსაჯის გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს, რათა წამყვან მცველსა და კაპიტანს დისკვალიფიკაცია აარიდოს. თუ სადისციპლინო კომიტეტი ლონდონელთა საჩივარს არ დააკმაყოფილებს, მაშინ ფეხბურთელს სამი მატჩის ("მანჩესტერ იუნაიტედთან", "სტოკ სიტისა" და "ასტონ ვილასთან") გამოტოვება მოუხდება. ცუდი ისაა, რომ ამ სამიდან ყველაზე პრინციპულ დაპირისპირებაში, "წითელი ეშმაკების" წინააღმდეგ მისი თამაში უკვე გამორიცხულია. ეს მაშინ, როცა გუნდს მეორე ლიდერი **მიკაელ ესიენიც** აკლია.

სწორედ ვანელის უმძიმესი ტრავმის გამო კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **პიტერ კენიონმა** შემადგენლობის გაძლიერება გადაწყვიტა. ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას კლუბი ყველაფერს ილონებს, რათა ინგლისის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი **გარეთ ბერი** "არისტოკრატების" რიგებში გადმოვიდეს. შეგახსენებთ, რომ ამ ფეხბურთელით დაინტერესებას მთელი ზაფხული "ლივერპული" და "არსენალი" გამოხატავდნენ. ბერიმ "ენფილდზე" თამაშის სურვილი საჯაროდაც დააფიქსირა, რის გამოც ის ბირმინგემელებმა სოლიდური თანხით დააჯარიმეს. ვნახოთ, რამდენად მოახერხებენ მერსისაიდელებზე შეყვარებული ფეხბურთელისთვის თავის მოწონებას ლონდონელები. გარეთის სავარაუდო ღირებულება 18 მილიონი გირვანქა გახლავთ.



გმირი, რომელიც ახალი თავგადასავლებისთვის ემზადება

ინტერვიუ ფაბიო გროსოსთან

# მადლობა ლიპის იმისთვის, რაც... მომავალში გველოდება

**კვიპროსული ლარნაკადან დაიწყო იტალიის ნაკრების თავგადასავალი 2010 წლის მუნდიალისკენ მიმავალ გზაზე. VIII ჯგუფში მის სტატუსს, როგორც უძლიერესი გუნდისა, ხაზი გაუსვა თვით ფიფამ, რომლის თხოვნითაც, ამიერიდან, იტალიის ნაკრების მაისურაზე გამოსახული იქნება ამ საფეხბურთო ორგანიზაციის საჩემპიონო ვარსკვლავი.**

**ფაბიო გროსო ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო მარჩელო ლიპის იმ გუნდისა, რომელმაც 2006 წელს მსოფლიოს უძლიერესი გუნდის ტიტული მოიპოვა. გროსომ ძალიან ბევრი გააკეთა „სკუადრა აძურას" ჩემპიონობისთვის. მარტო გერმანიასთან ნახევარფინალში გატანილი გოლი რად ღირს. იტალიელმა მარცხენა მცველმა, რომელიც დღეს „ლიონის" ღირსებას იცავს, მონახა დრო და ფიფას ოფიციალური ვებგვერდის კორესპონდენტს გაესაუბრა...**

**- ფაბიო, როცა იხსენებ ორი წლის წინანდელ ამბებს, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს გერმანიაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელი იყო ყველაზე სასიამოვნო, გამორჩეული ეპიზოდი?**

- მთელი ეს პერიოდი განსაკუთრებული იყო, რადგან კარიერა დავიწყე ძალიან დაბალი დონიდან და ავედი იმ სიმაღლეზე, რომელზეც ყველა ოცნებობს. ეს იყო ზღაპრული თავგადასავალი, რომელიც ჩემს თანაგუნდელებთან ერთად გადამხდა. შემიძლია გავიხსენო იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრში, კოვერჩანოში გატარებული პირველი დღე, დებიუტი ეროვნულ ნაკრებში, მეორე და მესამე თამაში, პირველი გოლი და ფინალისთვის მზადება.

**- იტალიის ნაკრების შემადგენლობაში გატანილი პირველი გოლით ბევრი რამ დაიწყო?**

- შოტლანდიას გავუტანე 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეხვედრაში. მძიმე თამაში იყო, ჩვენ ვაგებდით. მეორე ტაიმში გამიყვანეს მოედანზე იმიტომ, რომ ანგარიში გამეთანაბრებინა. დიახ, სწორედ ეს მისია დამეკისრა და ამას ჩემთვის ცხოვრებისეული მნიშვნელობა ჰქონდა. ის დღე არასოდეს დამავიწყდება.

**- მიუხედავად ამისა, საბოლოო სამუნდიალო შემადგენლობაში შენი ადგილი დიდხანს გაურკვეველი იყო...**

- მხოლოდ ის ვიცოდი, რომ 23 ფეხბურთელს შორის უნდა ვყოფილიყავი. უნდა ვაღიარო, რომ არ ვიცოდი, მენდობოდა თუ არა მარჩელო ლიპი. მისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, მადლობა მსოფლიოს თასისთვის, იმ ორი წლისთვის და... იმისთვისაც, რაც ლიპისთან ერთად იტალიას მომავალში ელოდება.

**- გერმანიაში, განასთან იტალიის ნაკრების სასტარტო მატჩი ითამაშე, აშშ-თან შეხვედრას კი სათადარიგო სკამიდან ადევნებდი თვალყურს. რას გრძნობდი მაშინ?**

- აურზაური არ ამიტეხავს იმის გამო, რომ მეორე მატჩის ძირითად შემადგენლობაში არ ვიყავი, არც იმ დროს, როცა გვერდით ხაზთან მოთელვას გავდიოდი... მაშინდელი გუნდის უდიდესი სიძლიერე მდგომარეობდა თითოეული ჩვენგანის ადამიანურ სიძლიერეში, პოზიტიურ ქცევაში. რა თქმა უნდა, ყველას სურდა ყურადღების ცენტრში ყოფნა, მაგრამ მაშინაც კი, როცა არ თამაშობ, მთელი ენთუზიაზმით გულშემატკივრობ იმ მომენტში მოედანზე მყოფ თანაგუნდელებს.

**- ავსტრალიასთან მატჩამდე უნდა დაგეცადა, შენთვის განსაკუთრებული მომენტი რომ გენახა?**

- ეს იყო ჩემთვის პირველი დიდი გამოცდა იმ მსოფლიოს ჩემპიონატზე. მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე, ფრანჩესკო ტოტიმ მარცხენა ფრთაზე საუცხოო გადაცემა გამიკეთა. ინსტინქტურად, დაღლილობის მიუხედავად, შევედი მოწინააღმდეგის საჯარიმოში და... გეფიცებით, რაც მოხდა, სიმართლეა, თუმცა ხალხს დღემდე არ სჯერა - ავსტრალიელმა ფეხბურთელმა მხარი დამარტყა და წამაქცია. ნამდვილი 11-მეტრიანი იყო. ტოტიმ კი ზუსტად შეასრულა...

**- შენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი მეორე მომენტი იყო ნახევარფინალში, გერმანიასთან. ბუნებით მემარცხენემ, როგორ მოახერხე, რომ მარჯვენა ფრთაზე აღმოჩნდი?**

- ოჰ, რა მატჩი იყო! ჩვენ გერმანელები დავამარცხეთ, არადა, ისინი მატჩამდე საკუთარ თავში დარწმუნებულები იყვნენ და დორტმუნდის სტადიონზე ფავორიტებად მიიჩნევდნენ თავს. თუ გავიხსენებთ მატჩის მიმდინარეობას, მარჯვენა ფრთაზე იმიტომ აღმოვჩნდი, რომ სწორედ იმ მხრიდან ჩამოაწოდეს კუთხური. როცა გერმანელთა დაცვამ მოქმედება დაიწყო, ვიფიქრე, სხვა მხარეს უნდა გადავიდე-მეთქი. ბურთი ანდრეა პირლოსთან აღმოჩნდა... მას კი, რომ იცოდეთ, კეფაზეც აქვს თვალები და სწორედ მისგან მივიღე შესანიშნავი პასი, დავარტყი, ბურთი გაძვრა მეკარესა და ძელს შორის დარჩენილ პატარა სივრცეში. გოლი! ღმერთო, რა საოცრება იყო! ამან საერთოდ გამაგიჟა, ემოციებს ვერ ვთოკავდი. შეუძლებელია ამ განცდის გადმოცემა. ნახეთ იმ მომენტის ვიდეოგამეორება და დარწმუნდებით, რა დღეშიც ვიყავი.

**- იმ დროს შენს ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ხდებოდა...**

- დიახ მე და ჩემი მეუღლე ბავშვს ველოდებოდით. ჩვენი ბიჭუნა რამდენიმე თვის შემდეგ დაიბადა. ახლა ის თითქმის ორი წლისაა, ძლიერი და ჯანმრთელი იზრდება, ფილიპო ჰქვია... მაშინ ბევრ რამეს მივხვდი ცხოვრებაში, როგორც ადამიანი და როგორც ფეხბურთელი.

**- ფინალში გამარჯვების პენალტი სწორედ შენ გაიტანე. დაუვიწყარი იყო, არა?**

- ეს იყო მეხუთე პენალტი მსოფლიო თასის ფინალში. ჩვენ ერთი გოლით წინ ვიყავით. ამ 11-მეტრიანზე ბავშვებივით ვოცნებობდით. ყველას ვუსურვებ, არ გაუშვას შანსი, განიცადოს ამგვარი მომენტი. ვიცი, რომ პრივილეგირებული ვარ ამ მხრივ.

**- მოდი, აწმყოში გადმოვიდეთ. ევრო 2008-ზე თამაშით დაამტკიცე, რომ გერმანიაში ტყუილად არ გაღიარეს გმირად. მიგაჩნია თუ არა, რომ ამგვარი ხერხით შეიძლება შენი გამორჩევა და იმის მტკიცება, რომ საქმეს საუკეთესოდ აკეთებ?**

- გმადლობთ ასეთი თბილი სიტყვებისთვის და მიხარია, რომ ასე ფასდება ჩემი შრომა. რა საქმესაც უნდა ვაკეთებდე, ყოველთვის ზუსტად ვიცი, სად ვარ ძლიერი და სად სუსტი. გერმანიაში, ერთი თვის განმავლობაში, უდიდესი გამოცდილება მივიღე და კაცად ვიქეცი. არასდროს დავფიქრებულვარ იმაზე, ზედმეტად ვიხარჯები თუ არა.

**- როგორ წარმოგიდგენია იტალიის გზა 2010 წლის მუნდიალის ფინალური ეტაპისკენ? ჯგუფში რომელი მეტოქის უფრო გეშინია?**

- ყველასი და არავისი. გუნდმა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონის ვარსკვლავს ატარებს, პატივი უნდა სცეს ყველა მეტოქეს და, რა თქმა უნდა, დარწმუნებული უნდა იყოს თავის სიძლიერეშიც.

**- მოდი, საკლუბო ფეხბურთზე ვისაუბროთ. „ინტერში" ყოფნისას მძიმე პერიოდი გაიარე. როგორც ჩანს, „ლიონში" საქმე კარგად მიდის...**

- მართალია, „ინტერში" ჩემთვის იდეალური ატმოსფერო არ ყოფილა, საერთო ჯამში, ეს უაღრესად სასარგებლო გამოცდილება იყო. შედეგითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ. ამის შემდეგ გადავწყვიტე, „ლიონში" გადავსულიყავი. მიხარია იქ ყოფნა, ფანტასტიკური თანაგუნდელებიც მყავს... ისინი ამბობენ, რომ აქ უფრო ნაკლები ზეწოლაა, ვიდრე იტალიაში, მაგრამ როცა სპორტსმენი ხარ, ზეწოლა ყველა მხრიდანაა და ამას უნდა შეეგუო, სხვა გზა არ არის. ჩვენ ჩემპიონატიც მოვიგეთ და თასიც. საუცხოო დუბლია, რომელიც, ზედიზედ ექვსი საჩემპიონო ტიტულის შემდეგ, „ლიონის" სიძლიერეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

**- მომავალში რა მიზნებს ისახავ? გეგმავ მსოფლიოს ჩემპიონობას საკლუბო დონეზე?**

- ჩემპიონთა ლიგაში ბოლომდე ვიბრძოლებთ, ისე, როგორც ყველა სხვა ტურნირში, მაგრამ ვიცით, რომ იქ ბევრი ისეთი კლუბია, რომელიც ჩვენზე მეტად გაძლიერდა. ვპირდები გულშემატკივრებს, რომ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რათა მათზე უკეთესად ვითამაშოთ და შედეგიც უკეთესი გვქონდეს.

მოამზადა
**დავით ჩუბინიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესლიგა. დიდი დერბის გამოხმაურება

შალკე

# ბორდონმა მსაჯს მექავი უწოდა!

## რატომ დაჩაგრა ლუტც ვაგნერმა შალკე ასე ძალიან?

რურის დიდი დერბი, რომელიც შაბათს გაიმართა და ფრედ 3:3 დასრულდა, უემოციოდ რომ არ ჩაივლიდა, ყველამ წინასწარ ვიცოდით. მაგრამ გუშინდელ მიმოხილვაშიც ვწერდით, რომ უშუალოდ ეს მატჩი აუცილებლად შევა ისტორიაში, როგორც მოსისხლე მტრების, დორტმუნდის „ბორუსიისა" და „შალკეს" ერთ-ერთი ყველაზე დრამატული და საინტერესო დაპირისპირება. ამ შეხვედრაში ყველაფერი იყო, რაც ასეთ მატჩებს ახასიათებს ხოლმე: 6 გოლი, ორი გაძევება, აყალმაყალი და ინციდენტი საფინალო სასტვენის შემდეგ.

როდესაც ფეხბურთელებმა გასახდელებს მიაშურეს, „შალკეს" კაპიტანმა **მარსელო ბორდონმა** ნერვები ველარ მოთოკა. 32 წლის ბრაზილიელმა მცველმა მსაჯს დაუწყო გინება. ამ მატჩის არბიტრი 45 წლის **ლუტც ვაგნერი** გახლდათ, რომელიც გერმანიაში საკმაოდ დაფასებული მსაჯია და მას შაბათს ბორდონისგან ცუდი სიტყვების მოსმენა მოუხდა. „შალკეს" კაპიტანი უყვიროდა, ბოზი ხარო. მიუხედავად ამისა, ვაგნერი ამბობს, არაფერი გამიგონიაო. მართალია, პორტუგალიური არ იცის, მაგრამ სიტყვა „პუტას" მნიშვნელობის გაგება არც ისე რთულია.

ვაგნერზე მარტო ბორდონი კი არა, მთელი „შალკე" და მთელი გელზენკირხენი განრისხებული გახლდათ. რატომ? რომ არა მისი შეცდომები, „შალკე" ამ მატჩს აუცილებლად მოიგებდა. ვაგნერმა, ჯერ იყო და **ალექსანდერ ფრაის** თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი გოლი ჩაუთვალა, მერე კი გელზენკირხენული კლუბის კარში დანიშნა პენალტი, რომელიც არ უნდა დაენიშნა - გამეორებაზე ნათლად გამოჩნდა, რომ **მლადენ კრსტაიჩს** საკუთარ საჯარიმოში ხელით არ უთამაშია.

*„დიახ, მსაჯს ვაგინე. ისე ვიყავი გაბრაზებული და წყობიდან გამოსული, რომ ველარ მოვითმინე. ვაღიარებ, რომ ვაგინე. ასეთ დროს თავის შეკავება ძალიან ძნელია. რაც მან გააკეთა, ეს აბსოლუტური საგიჟეთია,"* - ამბობდა ბორდონი ინციდენტის შემდეგ.

ახლა მას გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიისგან სასჯელი ემუქრება ზუსტად ისე, როგორც კრსტაიჩს. ეს უკანასკნელი იმის გამო დაისჯება, რაც საფინალო სასტვენის შემდეგ თქვა: *„გერმანიაში მსაჯები ყოველ კვირაში უამრავ შეცდომას უშვებენ. უყურეთ მატჩის მეორე ტაიმს და ნახავთ, რომ ბოლოს 9-ნი 14 კაცის წინააღმდეგ ვთამაშობდით."* აღსანიშნავია, რომ მატჩის შემდეგ „შალკეს" მთავარ მწვრთნელ **ფრედ რუტენს** მსაჯზე არაფერი უთქვამს, მან მხოლოდ თავისი შეგირდები დატუქსა, მეორე ტაიმში ცხვირები აზზიკეს და ამიტომაც დაისაჯნენო. ისე, ვაგნერმა ერთხელ „შალკეს" სასარგებლოდაც დაუშვა შეცდომა: მაშინ, როცა **რაფინია** მოედნიდან უნდა გაეძევებინა, ბრაზილიელს, რომელმაც **ნელსონ ვალდესი** უკნიდან მოცელა, მხოლოდ გაფრთხილება აკმარა.

ამ ყველაფერს ემატება კიდევ ერთი ფაქტი: ვაგნერმა მატჩი ძალიან ადრე დაამთავრა. მანამდე თამაში რამდენჯერმე შეწყდა და მინიმუმ 4 წუთი მაინც უნდა დაემატებინა. არბიტრს კი, ფაქტობრივად, არაფერი დაუმატებია - სულ რალაც ერთი წუთი.

იყო თუ არა მართებული ის, რომ გერმანიის საფეხბურთო ლიგამ ვაგნერს ასეთი სერიოზული მატჩის განსჯა დაავალა? მართალია, ლუტცი ბუნდესლიგაში ყველაზე გამოცდილი არბიტრია (1994 წლიდან მსაჯობს), მაგრამ გერმანელ მსაჯთა რეიტინგში საუკეთესო ხუთეულშიც კი არ შედის. მსაჯთა კომისიის თავმჯდომარე **ვოლფგანგ ამარელი**: *„ვაგნერს ბუნდესლიგაში 150-ზე მეტი შეხვედრა უმსაჯია. შესაბამისად, მის შესაძლებლობებში ეჭვის შეტანა დაუშვებელია."* თვითონ ვაგნერმა კი მხოლოდ ეს აღიარა: „ძალიან რთულად განსასჯელი მატჩი გამოვიდაო."

აბა რა ეგონა? როდის იყო რურის დიდი დერბი ერთი ჩვეულებრივი თამაში?



### დორტმუნდი

## ფრაი, დერბის გმირი

რატომ უყვართ დორტმუნდის „ბორუსიის" ქომაგებს **ალექსანდერ ფრაი** სიგიჟემდე? იმიტომ, რომ ის არა მარტო გუნდის ლიდერია, არამედ „არდასანდობი მტრის", „შალკეს" რისხვა გახლავთ! ფრაი ის კაცია, ვინც ყოველთვის ახერხებს რურის დიდ დერბიში გოლების, თანაც გადამწყვეტი და უაღრესად მნიშვნელოვანი გოლების გატანას. ახლაც ასე მოხდა: მიმდინარე სეზონში 28 წლის შვეიცარიელმა პირველად იასპარეზა, რადგან ევროპის ჩემპიონატიდან მოყოლებული, ტრავმირებული გახლდათ. და 45 წუთში მან „შალკეს" ორი გოლი გაუტანა! სწორედ მისი მოედანზე შესვლის შემდეგ აღმოფხვრა „დორტმუნდმა" სამბურთიანი ჩამორჩენა: გარდა დუბლისა, ფრაიმ ერთი საგოლე პასიც გააკეთა და ფაქტობრივად, მარტომ გადაარჩინა თამაში. შესაბამისად, ის კიდევ ერთხელ გახდა რურის დიდი დერბის გმირი.

*„დარწმუნებული გახლდით, რომ ალექსის მოედანზე შესვლით ბევრი რამ შეიცვლებოდა. ის მართლაც დიდი ფეხბურთელია, რომელიც „ბორუსიის" ფანთა მრავალრიცხოვან არმიას ამ გუნდში მოსვლის დღიდან აღაფრთოვანებს,"* - ეს „ბორუსიის" მთავარი მწვრთნელის, **იურგენ კლოპის** სიტყვებია.

ფრაი არა მარტო იმით გახლდათ გაბრაზებული და აღტკინებული, რომ „ბორუსია" „შალკესთან" 0:3-ს აგებდა. მას სანაკრებო პაუზიდან გამოჰყვა სიბრაზე, რადგან შვეიცარიის ნაკრებმა ლუქსემბურგთან სამარცხვინო მარცხი განიცადა (1:2) და ფრაიმ „შალკესთან" ის ბოლმაც ამოანთხია. *„წაგებას ვერ ვიტან, როცა ვაგებთ, სისხლი მიდუღს ხოლმე!"* - ამბობს ალექსი.

კლოპმა ფრაი მოედანზე მეორე ტაიმში, ვალდესის ნაცვლად შეიყვანა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ შვეიცარიელი მოედანზე ყველაზე ეფექტური ფეხბურთელი გახლდათ. შესაბამისად, ეფექტური გამოვიდა მისი პირველი გოლიც, რომლითაც ანგარიში 2:3 გახადა - „შალკეს" ახალგაზრდა მეკარე **რალფ ფერმანს** 25 მეტრიდან მარცხენა მაღალ კუთხეში გაუტანა.

ფრაი: *„ბოლო დროს ტრავმიანობა დამჩემდა და ფაქტობრივად ორი წელია, რაც ფეხბურთი ხეირიანად აღარ მითამაშია. ევროპის ჩემპიონატის პირველივე შეხვედრაში მიღებულმა ტრავმამ დაღი დამასვა. სწორედ ამიტომ, დღეს მოედანზე გატარებული თითოეული წუთი უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს."*

თუკი ფრაი გმირი გახდა, **მოჰამედ ზიდანს** შეგვიძლია, ანტიგმირი ვუწოდოთ. „ჰამბურგიდან" **მლადენ პეტრიჩის** „ხურდაში" გამოყოლილმა ეგვიპტელმა თავდამსხმელმა არათუ მხოლოდ ამ შაბათს ვერ გამოიჩინა თავი, არამედ საერთოდ, ამ სეზონის ვერც ერთ მატჩში ვერ ივარგა. ზიდანს, რომელზეც კლოპი დიდ იმედებს ამყარებდა ,და ამყარებს, შაბათს „ვესტფალენშტადიონის" პუბლიკამ უსტვინა.

*„პუბლიკის აბსოლუტურად მესმის, ვერ ვიტყვი, რომ ზიდანმა კარგად ითამაშა და ისიც ფაქტია, რომ მას ყველასგან, მათ შორის ჩემგანაც, გაცილებით მეტი მოეთხოვება. თუმცა მოთმინება გვმართებს. მოჰამედი დიდი ტალანტია. მართალია, კარგად არ უთამაშია, მაგრამ მონდომება ნამდვილად ეტყობოდა. როცა ფეხბურთელი მონდომებულია, ადრე თუ გვიან, თავის შესაძლებლობებს აუცილებლად გამოავლენს,"* - ასეთია კლოპის კომენტარი.

უეფას თასზე „დორტმუნდი" „უდინეზეს" უნდა დაუპირისპირდეს. ამ მატჩში ზიდანი კიდევ ერთ შანსს მიიღებს.

გოტფრიდ ლენცი



ეროვნული ბიბლიოთეკა




ინტერი

# ხმა ჩაიკმინდე, ჟოზე!

## პორტუგალიელი თავის სტიქიაში. როგორი იქნება მოურინიოს ინტერი?

მიუხედავად იმისა, რომ „მილანისგან" განსხვავებით, „იუვემ" და „ინტერმა" პირველი თამაშები ამ უიქენდზე მოიგეს, მათი ასპარეზობით არავინ აღფრთოვანებულა. უფრო მეტი კრიტიკა „ინტერს" ხვდა წილად - **ჟოზე მოურინიოს** გუნდი ვერ აჩვენებს ისეთ მძლავრ ფეხბურთს, როგორსაც ელოდნენ და შედეგი მეტწილად მოთამაშეთა ინდივიდუალური ქმედებების დამსახურებაა.

შაბათს, ლომბარდიულმა კლუბმა საკუთარ მოედანზე „კატანია" მიიღო და 2:1-ზე დაამარცხა. ჟურნალისტების აზრით, „ინტერმა" არაორგანიზებული, არაგუნდური ფეხბურთი გვაჩვენა. არადა, გუნდის პოტენციალი განუსაზღვრელია და ეს შაბათსაც გამოჩნდა. **პატრიკ ვიეირა-ესტებან კამბიასოს** ცენტრალურმა დუეტმა ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა, შემტევებმა კი მაღალი კლასი აჩვენეს.

იმპროვიზირებდნენ **ზლატან იბრაჰიმოვიჩი, რიკარდო კვარეშმა** და შეცვლაზე შესული **ამანტინო მანსინი**. მათ არც მცველი **დუგლას მაიკონი** ჩამორჩა, რომელმაც რამდენიმე რეიდი გამოაცხო. თუმცა, თავშივე აღვნიშნეთ, რომ ეს რესურსი გუნდურ ჩარჩოებში მოურინიომ ჯერ ვერ მოაქცია.

თავად პორტუგალიელი ამას არ ეთანხმება და აცხადებს, რომ მისი გუნდი ამ ეტაპისთვის მისაღებ ფეხბურთს აჩვენებს: *„ჩვენი გუნდის თამაშში ბევრი ნუნია, მაგრამ იმ აზრისგან შორს ვარ, რომ გუნდურ ფეხბურთს ვერ ვაჩვენებთ. შედეგის მიღება გუნდური თამაშის გარეშე წარმოუდგენელია".*

ჟოზე მოურინიოს განცხადებებიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა ამ ფრაზას: *„კატანიასთან" კარგად ვითამაშეთ და თავისუფლად შეგვეძლო მატჩი გამანადგურებელი ანგარიშით დაგვესრულებინა, მაგალითად 5:1".*

ამ განცხადებას სიცილიური კლუბის წარმომადგენლების უკმაყოფილება მოჰყვა. პორტუგალიელი „კატანიის" მთავარმა მწვრთნელმა **ვალტერ ძენგამ** ცრუ ადამიანად შერაცხა, კლუბის სპორტულმა დირექტორმა **პიეტრო ლო მონაკომ** კი მოუწოდა, ხმა ჩაეკმინდა. ერთი სიტყვით, მოურინიო თავის სტიქიაშია და ალბათ არც მომავალში გააჩერებს ენას.

იქამდე კი იტალიელი ჟურნალისტები მომავლის „ინტერზე" საუბრობენ და იმ ტაქტიკურ მონახაზებს არჩევენ, რომლითაც ნერაძურიმ უნდა იასპარეზოს. უპირატესობა 4-3-3-ს ეძლევა, რაც გარემარბების სიმრავლითაც აიხსნება. დღევანდელი გადასახედიდან იდეალური „ინტერი" ასეთად მოჩანს: კარში **ჟულიო სეზარი**, დაცვის ცენტრში **ივან კორდობა** და **მარკო მატერაცი**, მარჯვენა ფლანგზე მაიკონი, მარცხენა ფრთაზე **მაქსველი** - ნახევარდაცვის ცენტრში კამბიასო, მარცხნივ **სულეიმან მუნტარი**, ხოლო მარჯვნივ **ხავიერ ძანეტი**. ცენტრფორვარდი - იბრაჰიმოვიჩი, ფლანგებზე კი კვარეშმა და მანსინი. ამ შემადგენლობით „ინტერი", შესაძლოა, უახლოეს, ტურშივე ვიხილოთ. მოურინიოს გუნდი 21 სექტემბერს „ტორინოს" სტუმრობს.

**ლაშა ნიკლაური**

გარიგების მოლოდინში

# ნიუკასლი იყიდება

პარასკევს ჯორდების ბოსებმა **კევინ კიგანთან** მოლაპარაკება სცადეს, რათა ეს უკანასკნელი კლუბს დაბრუნებოდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. შაბათ დღეს "ჰალ სიტისთან" დამარცხების შემდეგ კი "ნიუკასლის" გულშემატკივრებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს. ისინი კლუბის მესაკუთრე **მაიკ ეშლისა** და აღმასრულებელი დირექტორის **დენის უაიზის** საკლუბო პოლიტიკას აპროტესტებდნენ. მათ მხარი დაუჭირეს კევინ კიგანს. ჯორდების ფანებმა ჯერ კიდევ თამაშის მიმდინარეობისას ტრიბუნებზე წამოიწყეს ხმამაღალი შეძახილები: "გადადგეს ხელმძღვანელობა!", "ეშლი, წაეთრიე!" შეძახილები არც აქციაზე შეწყვეტილა. მათმა პროტესტმა შედეგი გამოიღო, რადგან "ნიუკასლის" ოფიციალურ საიტზე გამოჩნდა სინიორ ეშლის განცხადება, სადაც ის ადასტურებს, რომ მზადაა კლუბის აქციები გაყიდოს. წერილში გამოთქმულია იმედი, რომ ახალი მესაკუთრე უფრო მდიდარი (ეშლის ქონება "სულ რაღაც" 1.4 მილიარდი გირვანქაა და ამით ის 54-ე ადგილს იკავებს უმდიდრეს ბრიტანელებს შორის) და ხელგაშლილი აღმოჩნდება: *"იმედია, რომ გულშემატკივრები მიიღებენ იმას, რაც მათ ასე ძალიან სურთ - მდიდარ მეპატრონეს. დღეს "ნიუკასლი" წელში უფრო გამართულია, ვიდრე მაშინ, როცა აქ მე მოვედი. ასევე მსურს გაგრძელდეს ამის შემდეგაც. სულითა და გულით ვარ დაინტერესებული "ნიუკასლის" წარმატებებით. ამიტომ გულმოდგინედ გისმენდით თქვენ, ფანებს. გსურთ, რომ წავიდე? ვეცდები, ეს მალე მოხდეს. არ ვიცი, რამდენ ხანში გადაწყდება საკითხი, დღეს თუ ხვალ, შეიძლება, არც არასოდეს, რადგან მყიდველი არ გამოჩნდეს. არაა საჭირო ყოველდღიურად თქვენი უკმაყოფილების გამოხატვა, რადგან ამას დიდი ხანია, მივხვდი. თქვენი შემდგომი საპროტესტო აქციები ყველაზე ცუდად სწორედ მოთამაშეებზე იმოქმედებს. თქვენი ენერგიის წარმართვა ახლა ჩემ წინააღმდეგ კი არა, ფეხბურთელების მხარდასაჭერადაა აუცილებელი."*

წელიწად-ნახევრის წინ ბიზნესმენმა "კაჭკაჭების" აქციებში 134 მილიონი გირვანქა გადაიხადა, პლუს ამას, დაფარა ყველანაირი დავალიანება და, საერთო ჯამში, მისი დანახარჯი 400 მილიონ გირვანქას უკაკუნებს. დღეს მას ბევრად უფრო დიდი თანხის აღება შეუძლია. ჩვენმა ბრიტანელმა კოლეგებმა როგორლაც მოახერხეს მაიკ ეშლისთან გასაუბრება. ის ჟურნალისტებთან საუბრისას კიდევ უფრო დაწვრილებით ხსნის კლუბის გარშემო განვითარებულ მოვლენებს: *"ნიუკასლის" შესაძენად 134 მილიონი გადავიხადე. ამას გარდა 110 მილიონი დავხარჯე ვალების გადასახდელად. დაუმატეთ ფეხბურთელების შესაძენად დახარჯული თანხა და სახელფასო ბიუჯეტი, დააკვირდით, ჩვენ პრემიერლიგაში სახელფასო ჭერით მე-5 ადგილზე ვართ. თუკი ამ რიცხვებს შეკრებთ, ნახავთ, რომ მე არ ვარ ხელმომჭირნე, მაგრამ არც მულტიმილიარდერი ვარ და არც ჩვენი კლუბის შემოსავლები უტოლდება "მანჩესტერ იუნაიტედის" შემოსავლებს. წლის განმავლობაში კლუბს რომ 100 მილიონი დავახარჯო, გარწმუნებთ, მალე "ნიუკასლი" "ლიდსის" ბედს გაიზიარებს და გაკოტრდება. განა ეს ვინმეს აძლევს ხელს? ამიტომაცაა, რომ ჩაფიქრებული მქონდა "არსენალში" დანერგილი სისტემა გადმომეღო და ნელ-ნელა მემუშავა კლუბის გასაძლიერებლად. დამექირავებინა სკაუტები, ამით ნიჭიერი ფეხბურთელები მომეზიდა და მათი გასხვისებით შემოსავლის დამატებითი წყარო გამეჩინა.*

*რაც შეეხება კევინ კიგანს, არ მინდა პასუხისმგებლობის ტვირთი მთლიანად მას ავკიდო, რადგან ის ლეგენდაა კლუბის ისტორიაში. ერთს კი გეტყვით, რომ ჩვენ შორის გაუგებრობა მართლა არსებობდა. თუკი ყურადღებით გააანალიზებთ ჩემს არგუმენტებს, მაშინ აუცილებლად ჩემს მხარეს დადგებით. დიახ, მზად ვარ კლუბი გავასხვისო, მაგრამ ერთი პირობით: "ნიუკასლს" მხოლოდ ისეთ ადამიანს მივყიდი, ვინც ჩემ მიერ ჩამოყალიბებულ გეგმას ხორცს შეასხამს. სხვა შემთხვევაში გეგმას თავად განვახორციელებ."*

"ნიუკასლის" ყოფილი პრეზიდენტის **ფრედი შეპერდის** თქმით, მან პირადად ორი მსხვილი კომპანიის დაინტერესების შესახებ იცის, რომლებიც კლუბში უზარმაზარი თანხების ჩადებას არიან ყაბულს. მან ამ კომპანიების სახელები არ დააკონკრეტა, მაგრამ დიდი ხანია, დადის ჭორი იმაზე, რომ ეშლისთან მოლაპარაკებებს ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისში ინდური კომპანია "ანილ დირუბჰაი ამბანი გრუპის" (კომპანიას ინტერესები აქვს ენერგეტიკაში, ტელეკომუნიკაციებსა და მედიაში) ხელმძღვანელი **ანიბალ ამბანი** აწარმოებდა. მისი ქონება გავლენიან ჟურნალ "ფორბსის" მონაცემებით 42 მილიარდ დოლარს აღწევს.

**შალვა ბიბილაშვილი**

ინტერვიუ მიროსლავ კლოზესთან

# ვიცი, რაც შემიძლია!

## მირო: ფეხბურთელის ცოლობა ფეხბურთელობაზე უკეთესი პროფესიაა

**წინა კვირაში მიროსლავ კლოზემ ნავსი გატეხა და ფინეთის ნაკრებთან შეხვედრაში ჰეთ-თრიკი შეასრულა. ამით მან კრიტიკოსები დროებით მაინც გააჩუმა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მირო უკვე კარგ ფორმაშია. ყოველ შემთხვევაში, ეს იყო მინიმუმი, რისი გაკეთებაც კლოზეს შეეძლო. რას ფიქრობს კლოზე კრიტიკის იმ ქარ-ცეცხლის შესახებ, რაც ბოლო დროს თავს დაატყდა და რამდენად გრძნობს წნეხის შემსუბუქებას, ამას გამოცემა „სპოქსის" მიერ გამოქვეყნებული ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**- ჰერ კლოზე, გერმანიის ნაკრების მაისურით შესრულებულმა ჰეთ-თრიკმა რამდენად გაგათავისუფლათ იმ წნეხისგან, რომლის ქვეშაც ბოლო თვეების განმავლობაში მოექეცით?**

- ცხადია, ძალიან გამიხარდა, რომ სამი გოლის გატანა შევძელი. მით უმეტეს მას მერე, რაც კრიზისი მაქვს და თითქმის ყოველდღე მაკრიტიკებენ. ბედნიერი გახლდით, რომ ბოლოს და ბოლოს ნავსი გავტეხე და თანაც, ერთბაშად სამი გოლით. მაგრამ მე არ ვიტყოდი, რომ წნეხისგან გავთავისუფლდი.

**- ფიქრობთ თუ არა, რომ თქვენ მიმართ კრიტიკა გადაჭარბებული იყო?**

- ამ კრიტიკამ მართლაც დაღი დამასვა. ეს არცაა გასაკვირი, ასეთი რამ არც ერთი ნორმალური ადამიანისთვის არ ჩაივლის უკვალოდ. ვიცი, რომ მედია ყოველთვის ჩასაფრებულია და მით უმეტეს, ჩემნაირ ცნობილ ფეხბურთელს კრიზისის დროს არასდროს დაინდობს. მიუხედავად ამისა, არ ვფიქრობ, რომ კრიტიკა გადაჭარბებული იყო.

**- და ამ ყველაფერმა თქვენზე დიდი გავლენა იქონია?**

- სიმართლე გითხრათ, არა. მე კარგად ვიცი, რაც შემიძლია და ისიც ვიცი, როდის როგორ უნდა მოვიქცე. თავს არასდროს ვზოგავ და სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ამიტომაცაა, „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელებმა ნდობა მძიმე პერიოდშიც რომ გამომიცხადეს. ეს ჩემი მონდომებისა და თავდაუზოგაობის შედეგია.

**- თვეების განმავლობაში გოლები ვერ გაგქონდათ და უცებ ისე მოხდა, თითქოს კრიზისში არ იყავით: ერთ თამაშში სამი გოლი ისე გაიტანეთ, ვითომც არაფერი მომხდარა...**

- მოდით, მხოლოდ ერთი გოლი გავიხსენოთ: გატანა ჯერ მარიო გომესმა სცადა, მერე პიოტრ ტროხოვსკიმ, მერე ისევ გომესმა და ბოლოს მე გამიმართლა: ბურთი ფეხებთან მომიგორდა და ისღა დამრჩენოდა, რომ გამეტანა. იღბალიც ძალიან მნიშვნელოვანია.

**- ანუ, თქვენ გინდათ თქვათ, რომ აქამდე არ გიმართლებდათ?**

- შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ მე ამის ახსნა არ შემიძლია. ვინც კარგად მიცნობს, ისიც იცის, რომ ყოველდღე მაგრად ვშრომობ, საკუთარ თავზე მუშაობა არასდროს შემიწყვეტია. ვარჯიშებზეც ბოლომდე ვიხარჯები ხოლმე. ამ ყველაფერს იმისთვის ვაკეთებ, რომ მუდმივად ვპროგრესირებდე. და ვიცი, რომ როცა ადამიანი მუშაობს, მას ეს შრომა აუცილებლად დაუფასდება. ასეთ დროს კრიტიკა უბრალოდ უნდა დაივიწყო და ყურადღება არ მიაქციო. დიახ, მე ვამბობ, რომ კრიტიკა გადაჭარბებული არ იყო, რადგან მართლა ცუდ ფორმაში ვარ, მაგრამ ზოგიერთმა გამოცემამ მართლა გადააჭარბა.

**- ასეთი მძიმე ვითარების დროს როგორ იქცევით ხოლმე?**

- მძიმე პერიოდში მოქცევის წესები წლების განმავლობაში გამომიმუშავდა. პატარა აღარ ვარ, დიდი გამოცდილება მაქვს. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მოედანზე ოპტიმისტურად განწყობილი გავედი და თითქმის დარწმუნებული გახლდით, რომ მინიმუმ ერთ გოლს მაინც გავიტანდი. თუმცა ნამდვილად არ მეგონა, რომ ჰეთ-თრიკის შესრულებას შევძლებდი.

**- ე.ი. ისევ ფიქრობთ, რომ ფეხბურთელობა კარგი პროფესია?**

- ისე, ფეხბურთელის ცოლობა ნამდვილად ჯობია (იცინის), მაგრამ არც ფეხბურთელობაა ცუდი პროფესია.

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

სლოვაკეთთან მატჩის გამოძახილი

# ვიქტორის ვიქტორიები

## სანიკიძე ცინცაძესთან ერთად?




ვიქტორ სანიკიძის საკალათბურთო კარიერა სავსეა პარადოქსებით. ნიჭიერ ახალგაზრდას ხან საოცრად სწყალობს ბედი, ხანაც ძალიან უიღბლოა. საქართველოსა და საფრანგეთში ბურთაობის შემდეგ, მან ყველა კალათბურთელის საოცნებო ნბა-საც კი მიაშურა, მაგრამ ტრავმიანობამ გვარიანად დაალალატა. ასე რომ არ ყოფილიყო, გაცილებით მეტს მიაღწევდა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ასაკიდან და კლასიდან გამომდინარე, ჯერ ყველაფერი წინ აქვს. მთავარია, ტრავმიანობამ აღარ გაანწამოს...

შარშანდელი სეზონი ვიქტორმა თბილისის „დინამოში" ჩაამთავრა და მიუხედავად იმისა, რომ ოპტიმალურ ფორმაში არ იყო, თავისი კლასიანი თამაშით, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ერთგვარი ეშხი შესძინა. ამჟამად კი უკლუბოდაა, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს იმაში, რომ ეროვნულ ნაკრებში ბრწყინვალედ იბურთაოს. მოსამზადებელ ეტაპზე სანიკიძე ბევრი ვერაფრით გამოირჩა, მაგრამ როგორც კი საკვალიფიკაციო ეტაპი დაიწყო, აბსოლუტურად გარდაისახა. მან ლუქსემბურგს, ირლანდიასა და სლოვაკეთს ჯამში 67 ქულა ჩაუგდო და არც სხვა კომპონენტებში შეურცხვენია თავი - პირველ ორ მატჩში მოხსნების ხარჯზე ორმაგი დუბლები გაახერხა, სლოვაკებთან კი 6 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

სლოვაკეთთან მატჩის წინ, სანიკიძემ საქართველოს კალათბურთის ფედერაციას ინტერვიუ მისცა, რომელსაც მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

**- ვიქტორ, რას იტყვი განვლილ მატჩებზე?**

- საწყისი შეხვედრები უპრობლემოდ მოვიგეთ და, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. კარგად ვართ შეთამაშებულები და ამიტომაც იყო, რომ არც ერთ მატჩში არ გაგვჭირვებია.

**- ლუქსემბურგსა და ირლანდიასთან ორმაგი დუბლები გააკეთე და საუკეთესო იყავი, მოსამზადებელ ეტაპზე კი სხვები ლიდერობდნენ. რაშია საქმე?**

- ნამდვილად არ ველოდი, რომ ამდენ ქულასა და მოხსნას მოვაგროვებდი. მოსამზადებელი ეტაპის დასაწყისში, ტრავმა ახალი მორჩენილი მქონდა, ოპტიმალურ ფორმაში არ ვიყავი და საკონტროლო მატჩებში ისეთი არაფერი გამიკეთებია, რომ ხალხი გამეოცებინა. არ ვიცი, რა მოხდა ოფიციალურ მატჩებში. ალბათ უფრო მეტად დავიმუხტე, მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა და გამარჯვების დიდი წყურვილი გამიჩნდა, რამაც ჩემი შედეგიანობა განაპირობა. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოს ნაკრებში ერთსულოვნება და თანასწორობაა. ნებისმიერ კალათბურთელს შეუძლია ლიდერობის საკუთარ თავზე აღება, რაც ძალიან კარგია. გუნდურად რომ ვთამაშობთ, მეტოქემ არ იცის, თუ რომელი კალათბურთელისაგან უნდა ელოდოს ყველაზე მეტ საფრთხეს.

**- ადრე ასე არ იყო?**

- არა, აქამდე გუნდს ჰყავდა გამოკვეთილი ლიდერები, რომლებიც ნებისმიერი გუნდისთვის ძალიან სახიფათონი იყვნენ და ნაკრებს ძალიან ეხმარებოდნენ, მაგრამ მოწინააღმდეგეს ჩვენს გასაშიფრად ნაკლები ძალისხმევა სჭირდებოდა. ახლა კარდინალურად განსხვავებული ვითარებაა და ეს შედეგებშიც აისახა.

**- ირლანდიასთან 31 ქულა ჩააგდე, მაგრამ რამდენი მოხსნა გქონდა, ეს ველარ დავადგინეთ. მატჩის დასაწყისში, სამდივნო მაგიდაზე აპარატურა არეულა და...**

- დიახ, მართლაც უცნაური ამბავი მოხდა. ასეთი დონის მატჩზე რომ სტატისტიკა ვერ დაეთვალოთ, პირველად მესმის. თუმცა, ყველაფერი ხდება და იმედი მაქვს, მალე აღადგენენ ჩემს სრულ სტატისტიკას. რაც შეეხება მოხსნებს, არ დამითვლია, მაგრამ ბურთი ათზე მეტჯერ რომ მოვხსენი ფარიდან, ამაში დარწმუნებული ვარ.

**- წლეულს ოთხივე მატჩს სტუმრად მართავთ. ეს უარყოფითი მომენტი ხომ არაა?**

- რა თქმა უნდა, მიჯრით ჩატარებული ოთხი გასვლითი შეხვედრა რთულია. თუმცა, რაკილა ასე მოხდა, ახლა ამის გამო ნერვიულობა აღარ ღირს. ძალიან დამთრგუნველი იყო ომის დროს ოჯახებიდან წამოსვლა და ამდენი ხნით საზღვარგარეთ ყოფნა. თუმცა, ეს ფაქტი სპორტულ-გუნდური თვალსაზრისით, ეგებ დადებითი მომენტიც იყოს. ამდენი ხანი ერთად ყოფნა ხომ გუნდს კრავს, აერთიანებს და შეთამაშების პრობლემაც გვარდება.

**- ნაკრებში ასეთი წარმატებული თამაში, ალბათ, შენს საკლუბო კარიერაზეც დაასხამს წყალს. ახლა ხომ უგუნდოდ ხარ...**

- რამდენიმე კარგი ვარიანტი მაქვს და სანაკრებო ბატალიები რომ დასრულდება, ამ საქმეს მივხედავ. დავჯდები, კარგად ავწონ-დავწონი ყველაფერს და შემოთავაზებული ვარიანტებიდან საუკეთესოს ავარჩევ.

კობა ხატისაშვილი
ვაჟა სიმონიშვილი

**P.S.** საკლუბო კარიერის შესახებ ვიქტორმა ზოგადად ისაუბრა, მაგრამ ჩვენ უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მოვიპოვეთ. მას ფრანგული „ვიში" და გიორგი ცინცაძის ესტონური „ტარტუ როკი" ეპატიჟებიან. სანიკიძეს უფრო ესტონეთისაკენ მიუწევს გული, რაკილა იქ თანამემამულე მეგობარი ეყოლება გვერდით, სათამაშო დროც ბევრი ექნება და თანაც ესტონელებს ურიგო გუნდი არ ჰყავთ - შარშან ფიბას ევროთასის ოთხთა ფინალში ითამაშეს.

თუმცაღა, სავსებით რეალურია, რომ სანაკრებო მატჩების შემდეგ, ვიქტორს უკეთესი ვარიანტებიც გამოუჩნდეს...



სლოვაკეთთან ფაჩულია (მარცხნივ) ერთ-ერთი საუკეთესო იყო

# შვედეთი სლოვაკეთზე ძლიერია!

## თვითმხილველთა მონათხრობი

სლოვაკეთთან მატჩის წინ, გასულ შაბათს, შემოგთავაზეთ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მესვეურთა მონათხრობი ეროვნულ ნაკრებზე. ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი** და ვიცე-პრეზიდენტი **ლაშა ძიძავა** ჩვენთან შეხვედრის შემდეგ სლოვაკეთში გაფრინდნენ, შაბათის მატჩს დაესწრნენ და შვედეთთან დაპირისპირების წინ (17 სექტემბერს) ისევ საქართველოში დაბრუნდნენ. ვინაიდან არც ერთმა სლოვაკურმა არხმა ჩვენი მატჩის რეპორტაჟი არ გადასცა (შესაბამისად, ვერც ქართულმა ტელეარხებმა გვიჩვენეს), საინტერესო იქნება პრეზიდენტ-ვიცე-პრეზიდენტის მონათხრობის გაცნობა. ეს მათაც გაითვალისწინეს და გუშინ პრესკონფერენცია მოაწყვეს.

პირველი კითხვა ასეთი იყო:

**- რის ხარჯზე მოიგო საქართველოს ნაკრებმა ასეთი დიდი უპირატესობით (101:78)?**

- წარმატების პირველი მიზეზი ის იყო, რომ გუნდმა გაიაზრა სლოვაკეთთან მატჩის მნიშვნელობა. წაგების შემთხვევაში ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება, შესაბამისად ჯგუფიდან გასვლის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა. ეს ყველამ გააცნობიერა და მატჩს მაქსიმალური მობილიზებით შეხვდა. წარმატების მეორე მიზეზი კარგი ფსიქოლოგიური განწყობა იყო. მატჩზე მიმავალ ბიჭებს ავტობუსში აშკარად ეტყობოდათ, რომ გამარჯვებისთვის იყვნენ შემართულნი. ...და მესამე მიზეზი – სლოვაკეთთან მატჩის პირველივე წუთებზე ჩვენი თამაში ვიპოვეთ. იგორ კოკოშკოვმა თამაში დაცვაზე ააგო და ისეთი დაცვა, რაც საწყის 7 წუთში ვუჩვენეთ, საქართველოს ნაკრებს აქამდე არ უჩვენებია. დაცვაში კარგმა გარჯამ განაპირობა შეტევაში უნაკლო თამაში და სლოვაკეთი პირველივე მეოთხედში გავტეხეთ, - იხსენებს ბესიკ ლიპარტელიანი.

მას იქვე შევახსენეთ, რომ ბოლო წლებში საქართველოს ნაკრებმა ასეთი გადამწყვეტი მატჩებიდან ვერც ერთის მოგება ვერ მოახერხა – დავმარცხდით ფინეთში, ისლანდიაში... ბეწვის ხიდზე გავიარეთ ავსტრიაში. საინტერესოა, რა შეიცვალა მას შემდეგ.

- ამას ერთ ფაქტორს ვერ დავაბრალებ. დავიწყოთ იქიდან, რომ თავიდანვე სწორად დაიგეგმა მოსამზადებელი ეტაპი. გუნდს სათანადოდ ყველა პირობა ჰქონდა. რაც მთავარია, კალათბურთელები შეკრებაზე დროულად ჩამოვიდნენ და მწვრთნელს საშუალება მიეცა სრულყოფილად ემუშავა, რაც აქამდე იშვიათად ხდებოდა – ლიდერები ოფიციალურ მატჩებამდე 4-5 დღით ადრე ჩამოდიოდნენ. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგორ კოკოშკოვი ფუნქციებს ყველა კალათბურთელზე მეტ-ნაკლებად თანაბრად ანაწილებს და ხან ერთი ხდება სნაიპერი, ხან – მეორე, ხან – მესამე. მოკლედ, კოკოშკოვის ხელში ყველა გაიხსნა და გუნდი ერთი კონკრეტული ლიდერის გარეშე თამაშობს. ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, საქართველოს ნაკრების კარგი თამაში გასაკვირი ნამდვილად არ იყო. კონკრეტულად როგორ მოემზადა გუნდი სლოვაკეთთან მატჩისთვის, ამაზე ჩემზე უკეთ მთავარი მწვრთნელი გიპასუხებთ, - თქვა ფედერაციის პრეზიდენტმა.

ჯერჯერობით, იგორ კოკოშკოვის ნაჩვენები შედეგი მასზე აუგის თქმის უფლებას არ გვაძლევს. საინტერესოა ისიც, როგორ ააწყო მან ურთიერთობა შეგირდებთან.

- მწვრთნელი თავის სიმაღლეზეა. ასევე, გუნდში ყველა კალათბურთელს თავისი ადგილი აქვს. დისციპლინა მაღალ დონეზეა და თუ აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშობა, კოკოშკოვი ყველა საკითხზე პასუხს ამომწურავად სცემს. კალათბურთელებთან ურთიერთობაში მთავარ მწვრთნელს პრობლემები არ აქვს. ამ საკითხში მან დიდი გამოცდილება სერბეთის ნაკრებში მუშაობისას მიიღო, - ეს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ლაშა ძიძავამ გვითხრა.

ახლა, წლის მთავარ მატჩზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შვედეთში გამარჯვების შემთხვევაში, ჯგუფიდან გასვლის საკითხს კითხვის ნიშანი მოეხსნება. ლაშა ძიძავამ ყურადღება გაამახვილა ხშირ მგზავრობაზე:

- სლოვაკეთიდან ნაკრები ავსტრიაში გაფრინდა, საიდანაც დღეს (ე.ი გუშინ) შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში გადავიდა, იქიდან კი ქალაქ უმეომდე ჩასვლას 1 საათი დასჭირდა. თავად განსაჯეთ, ფსიქოლოგიურად რამდენად რთულია ასე შეუსვენებლივ მგზავრობა. ორშაბათს, პირველ საათზე (შვედეთის დროით) ქართველები შვედეთში ჩავიდნენ, საღამოს კი ვარჯიში გამართეს. სამშაბათს ცოტას დაისვენებენ, ენერგიას მოიკრებენ და 17 სექტემბერს შვედებს დაუპირისპირდებიან. ჩვენთან შედარებით მასპინძლები დასვენებულები იქნებიან. მათ 10 სექტემბრის შემდეგ აღარ უთამაშიათ. ამის მიუხედავად გვსურს, ეს წელიწადი წაუგებლად დავასრულოთ. იგორ კოკოშკოვს შვედეთის ნაკრების მატჩების არაერთი ვიდეოფირი აქვს და ვფიქრობ, იგი ამ მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ სწორ დასკვნებს გამოიტანს.

ბესიკ ლიპარტელიანმა შვედეთის ნაკრებთან ძველი დაპირისპირებები გაიხსენა:

- მათ პირველად 1997 წელს შევხვდით. შვედეთში გამართულ შეხვედრაში გამარჯვებასთან ძალიან ახლოს ვიყავით, მაგრამ საბოლოოდ 4 ქულის სხვაობით დავმარცხდით. წავაგეთ განმეორებითი მატჩიც. მესამედ მათ 2004 წელს იტალიის ქალაქ ბორმიოში ამხანაგურად გავეჯიბრეთ და დავამარცხეთ. ვეცდებით, შვედებს ოფიციალურ მატჩებშიც ვაჯობოთ, თუმცა მათ სლოვაკეთზე ძლიერი ნაკრები ჰყავთ.

ვაჟა სიმონიშვილი

სუმო

# სამი გახარება

გუშინ, სუმოს წლის მეხუთე სუპერტურნირზე, ერთბაშად სამივე ქართველმა სუმოისტმა იმარჯვა. ელიტაში ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა **ლევან ცაგურიამ (კოკაი)**. გავარდნის საფრთხემ ქართველი შეაფუცხუნა, ის აშკარად ყოჩაღად გამოიყურება დოჰიოზე. ძურიოს პირველ ნომერ **ბუშუიამასთან** ორთაბრძოლაში კოკაიმ მარჯვენათი ჰატაკიკომიზე დაიჭირა იაპონელი. დღეს კოკაის მეტოქე 27 წლის **კიმურაიამაა**, რომელიც ქართველივით ჯერ დაუმარცხებელია ბაშოზე.

1-1 გაუხდა ბალანსი 20 წლის **ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)**, ჩვენებურმა ცურიდაშის ილეთით **იოშიკაძე** დაამარცხა. იოშიკაძე შედარებით „მსუბუქი" რიკიშია, რაც ტოჩინოშინმა გამოიყენა, მეტოქე ჰაერში აიტაცა და დოჰიოს იქით „ჩამოსვა". ლევანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არსენალში მრავალფეროვან ილეთს ფლობს. დღეს მისი მეტოქე იაპონური პუბლიკის საყვარელი სუმოისტი **ტაკამისაკარი** იქნება.

მესამე დივიზიონი მაკუშიტა მოგებით დაიწყო 43-ე ნომერმა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)**, ქართველმა **იკიოი** უბრალო მიწოლით (ოშიდაში) გაიყვანა რინგიდან. შეგახსენებთ, რომ მესამე დივიზიონში ბაშო 7-დღიანია.

გუშინ ტოკიოში ყველაზე დიდი სენსაცია ევროპელ ფალავანთა ორთაბრძოლაში მოხდა – კომუსუბის რანგში დებიუტანტმა ესტონელმა **ბარუტომ** ბულგარელი ოძეკი (ჩემპიონი) **კოტოომ-შ**[illegible]ცხა. მარცხი იწვნია ორივე სეკივაკემაც (**ამა და ტოიონოშიმა**).

ნიკოლოზ ნეფარიძე

**აკი ბაშო**
**(სექტემბრის სუპერტურნირი)**
**14-28 სექტემბერი. ტოკიო (იაპონია)**

II დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი (მ 16)-ბუშუიამა (ძ 1) 1:0 (ჰატაკიკომი); ტოჩინოშინი (მ 10)-იოშიკაძე (მ 11) 1:0 (ცურიდაში); ასაშორიუ (ი)-კოტოშოგიკუ (მ 1) 1:0; ჰაკუჰო (ი)-მიაბიამა (მ 1) 1:0; ბარუტო (კ)-კოტოოშუ (ო) 1:0; კაიო (ო)-ასასეკირიუ (კ) 1:0; ჩიოტაიკაი (ო)-კისენოსატო (მ 2) 1:0; კოტომიცუკი (ო)-კიოკუტენჰო (მ 3) 1:0; ტოჩინონადა (მ 4)-ტოიონოშიმა (ს) 1:0; კაკურიუ (მ 5)-ამა (ს) 1:0; გოეიდო (მ 5)-ამინიშიკი (მ 4) 1:0.

III დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი (მ 16)-კიმურაიამა (მ 14); ტოჩინოშინი (მ 10)-ტაკამიასაკარი (მ 11); ჰაკუჰო (ი)-კოტოშოგიკუ (მ 1); ასაშორიუ (ი)-მიაბიამა (მ 1); კაიო (ო)-კისენოსატო (მ 2); ჩიოტაიკაი (ო)-ტოიონოშიმა (ს); კოტომიცუკი (ო)-ასასეკირიუ (კ); კოტოოშუ (ო)-კიოკუტენჰო (მ 3); ამა (ს)-ბარუტო (კ).

ჭიდაობა. პეკინი 2008. ჟამი ფიქრისა და განსჯისა
ინტერვიუ ზაზა თურმანიძესთან

# გოგშელიძეს მსაჯები ფეხზე წამოუდგნენ და ტაშით გააცილეს

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა პეკინის ოლიმპიადაზე ერთი ოქროს და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მიკერძოებული მსაჯობა რომ არა, ნადავლი უფრო საამაყო იქნებოდა.

გვესაუბრება ეროვნული ნაკრების მთავარი მესაჭე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ზაზა თურმანიძე:



## ზაზა თურმანიძე

დაიბადა საჩხერის რაიონის სოფელ მახათაურში 1965 წელს 1-ელ აგვისტოს. ჭიდაობა 14 წლისამ დაიწყო მიხეილ ლამბაშიძის ხელმძღვანელობით. თბილისში ჯონი ლორია ავარჯიშებდა.
საქათრველოს მრავალგზის ჩემპიონია. 1981 წელს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა მოიგო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე თითოჯერ ოქროს (1990 წ.), ვერცხლისა (1988 წ.) და ბრინჯაოს (1986 წ.) მედლები მოიპოვა. 1987 წლის ევროპის ჩემპიონმა 1994 წელს „კეთილი ნების" თამაშები მოიგო. ორჯერ (1989-1990 წ.წ.) თბილისის საერთაშორისო ტურნირებში გაიმარჯვა. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის მონაწილეა. ორჯერ (1989 და 1991 წ.წ.) მსოფლიო თასის გათამაშების მეორე პრიზიორია.
1991 წლიდან საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნულ ნაკრებს უდგას სათავეში. მისი ხელმძღვანელობით მრავალმა სახელოვანმა ფალავანმა გაიკაფა გზა კვარცხლბეკისკენ. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

- ოლიმპიადისთვის მიზანმიმართული მუშაობა, ფაქტობრივად, შარშან ბაქოს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დავიწყეთ. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის დახმარებით ნოემბერ-დეკემბერში გლდანის ოლიმპიური მზადების ცენტრში ორი ათდღიანი შეკრება მოვაწყვეთ, რამაც საშუალება მოგვცა, ნაკრების ძირითად წევრებთან ერთად რეზერვის მზადყოფნაც შეგვემოწმებინა. წლის დასაწყისში კი ცახკაძორსა და ბორჯომში ჩავატარეთ შეკრება. ყოველივე ამან დადებითი შედეგი გამოიღო, რადგან ტამპერეში ევროპის ჩემპიონატზე გიორგი გოგშელიძე და დავით მოძმანაშვილი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ, ხოლო კობა კაკალაძემ, რომელმაც ტრავმირებული ოთარ თუშიშვილის ნაცვლად იჭიდავა ფინეთში და რევაზ მინდორაშვილმა მეორე ადგილები დაიკავეს. სამწუხარო ის იყო, რომ აკრძალული პრეპარატის გამოყენების გამო მოძმანაშვილს ჩემპიონობა და პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია ჩამოართვეს.

ჩინეთის დედაქალაქში გამგზავრებამდე ერთ საკონტროლო საერთაშორისო ტურნირშიც გამოვცადეთ ძალები. ქართველ ოლიმპიელთაგან გოგშელიძემ და მინდორაშვილმა რუმინეთში პირველი ადგილები დაიკავეს, ხოლო მომჯობინებული თუშიშვილი და გელა სალირაშვილი „ბრინჯაოებით" დაკმაყოფილდნენ. ეს წანამძღვრები იმის წინა პირობა იყო, რომ ოლიმპიადაზეც სახელოვნად გამოვიდოდით. გაზეთ „ლელოსთვის" მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში აღვნიშნე კიდეც, პეკინიდან უმედლოდ არ დავბრუნდებით-მეთქი.

**- ქართველ ოლიმპიელთაგან თამაშებზე თქვენ ყველაზე გვიან გაემგზავრეთ...**

- ოლიმპიურ სოფელში ცხოვრება თავისებურია, ხმაურიანი, ამიტომ მომზადებაში ხელი რომ არ შეგვშლოდა, შინ ვარჯიში ვამჯობინეთ. სამწუხაროდ, აქ უარესს გადავეყარეთ - რუსული ბომბების წვიმაში მოვყევით. ბორჯომში ბოლო შეკრება ვადამდე შევწყვიტეთ და, რადგანაც გორზე გამოვლა სახიფათო იყო, შემოვლითი გზით თბილისში დაბრუნებას მთელი დღე მოვუნდით. მერე კიევშიც შეგვექმნა პრობლემები - კომპიუტერების გაუმართაობის გამო მთელი 4 საათი, ფაქტობრივად, ჩაკეტილი ვიყავით და პეკინის თვითმფრინავს ძლივს მივუსწარით. გზაში ბიჭებს ვუთხარი, უფალმა იმდენ განსაცდელს გამოგვატარა, ბოლო კეთილი იქნება-მეთქი. მართლაც, ასე მოხდა.

**- აკლიმატიზაციის გავლა ხომ არ გაგიჭირდათ?**

- ჩინურ ჰავას და დროს ისე შევეგუეთ, რომ ვერც შევიტყვეთ. მთავარი იყო ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა: ცუდი ინფორმაციები მოდიოდა საქართველოდან - რუსები თბილისში შემოსვლას აპირებენო. გორის დაბომბვა ხომ მაშინ დაიწყეს, ბორჯომში რომ ვიყავით ბოლო შეკრებაზე. არადა, სამი მოჭიდავე სწორედ გორიდან გვყავდა. რუსული აგრესიის მიუხედავად, ბიჭებს წამითაც არ განელებიათ ორთაბრძოლის ჟინი. ის კი არა, მინდორაშვილი თბილისიდან სულ იმას იმეორებდა - ზაზა მასწ., ყველას უნდა გადავუარო და ოლიმპიური ჩემპიონი გავხდეო.

**- ასპარეზობის პირველმა დღემ იმედები გაგიცრუათ?**

- გორელი ბესიკ გუჩაშვილი (55 კგ.) გამოცდილი მოჭიდავეა, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი, თუმცა მან ოლიმპიადის საგზური მხოლოდ სალიცენზიო ტურნირზე მოიპოვა. პეკინში ბესომ პირველ წრეში პეტრუ ტოარკასკი სძლია, მაგრამ მეოთხედფინალში თავადაც დამარცხდა მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონთან ამერიკელ ჰენრი კეჯუდოსთან. მესამე ადგილისთვის პაექრობა კი ბულგარელ მსოფლიოს ჩემპიონ რადოსლავ ველიკოვთან დათმო.

საკუთარი შესაძლებლობები, ასევე, ბოლომდე ვერ გამოავლინა თბილისელმა ევროპის პრიზიორმა გელა სალირაშვილმა (74 კგ.). მართალია, მან სტარტზე გვინეა-ბისაუს წარმომადგენელ აუგუსტო მიდანას აჯობა, მაგრამ შემდეგ ბელარუს მურად გაიდაროვთან წააგო და მედლისთვის ბრძოლას დაემშვიდობა.

ბოლო სამი წელიწადია, მსოფლიოს ჩემპიონატების კვარცხლბეკიდან არ ჩამოდის ოთარ თუშიშვილი (66 კგ.). ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორმა მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ერთხელ მეორე და ორჯერ - მესამე ადგილი დაიკავა. ოქროს მედლამდე მას ყოველთვის რაღაც აკლდებოდა. ასე იყო პეკინშიც. შარშანდელი ბაქოს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ოთარს, ფაქტობრივად, სრული დატვირთვით არ უვარჯიშია ტრავმების გამო, შედეგად წლეულს ტამპერეში ვერ წავიყვანეთ. გამოჯანმრთელების შემდეგ ცოტა დრო ჰქონდა ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებლად. ყოველივეს მიუხედავად, მისი სპორტული ჟინის, მობილიზაციის უნარისა და უშიშრობის იმედი მქონდა. ბორჯომში შეკრების ჩაშლის მერე გორს მიაშურა, რომელსაც რუსები ბომბავდნენ - მშობლები მელოდებიანო. დედა წამოიყვანა თბილისში, მამამ კი სახლ-კარი არ მიატოვა. პეკინში მყოფი მშობლებზე დარდობდა. ამის მიუხედავად, ხალიჩაზე გასვლის წინ მაინც ახერხებდა ძალების მობილიზებას. იოლად სძლია იაპონელ კაზუჰიკო იკემაცუს და მუდმივ კონკურენტს, ბულგარელ სამგზის მსოფლიოს ჩემპიონ სერაფიმ ბარზაკოვს. თურქი მსოფლიოს ჩემპიონი რამაზან შაჰინიც არ უნდა ყოფილიყო მისთვის გადაულახავი ზღუდე, მაგრამ მსაჯებმაც და ტრავმების გამო გაცდენილმა დრომ ერთდროულად დაალალატეს. მესამე ადგილისთვის პაექრობაში ქართველმა ფალავანმა უშანსოდ დატოვა კუბელი ხეანდრი გარსონი და ბაქოს ჩემპიონატზე მარცხისთვის რევანში აიღო. იმედია, იგი წარმატებებით მომავალშიც გაგვახარებს.

96 კილოგრამ წონით კატეგორიაში აშკარა ფავორიტი გახლდათ გიორგი გოგშელიძე და ამას მეტოქეებიც არ მალავდნენ. მართლაც, გორელმა მოჭიდავემ, რომელმაც ახლობლები რუსის თვითმფრინავებს გამოარიდა და შედარებით მშვიდად გრძნობდა თავს, ზედიზედ სძლია ყირგიზ ალექსანდრ კრუპნიაკოვსა და ირანელ საეიდ აბრაჰიმს. ყაზახეთის სახელით მოასპარეზე ყოფილ რუს თეიმურაზ თიგიევთან ორთაბრძოლის წინ გიორგიმ მითხრა, ამ მოჭიდავეს სხვა დროსაც დავპირისპირებივარ და ყოველთვის ცდილოდა პროვოკაციაზე ჩემს წამოგებას. ეტყობა, ასეთ რამეს არც ახლა მოერიდებაო. დარწმუნებული ვიყავი, ასეც იქნებოდა, რადგან ყაზახეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი - მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი დაულეტ ტურლიხანოვი ფილას ბიუროს წევრია და მსაჯებზე დიდი გავლენა აქვს. სამწუხაროდ, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ვვარაუდობდით. გოგშელიძემ წინა დღით ვარჯიშზე თვალი დაიზიანა. თიგიევმა ჩვენებურს სწორედ იმ თვალში ატაკა რამდენჯერმე თითი. აღშფოთება რომ ვერ დავფარეთ, არბიტრებმა ერთხელ „შენიშნეს" წესების დარღვევა და გაფრთხილება მისცეს თიგიევს, თუმცა მას შემდეგაც არ შეუწყვეტია არაკაცური საქციელი - რაუნდის ბოლომდე რამდენიმე წამით ადრე თიგიევმა ჯერ თავი დაარტყა სახეში გიორგის, მერე თითიც ატაკა თვალში, ქართველმა ფალავანმა სიმწრისგან ერთი შეჰყვირა და ისეთი ფერთხა მეტოქეს, თქვენი მოწონებული. ცხადია, მსაჯებს ეს არ გამოჰპარვიათ - უმალ გაფრთხილება მოგვცეს, რითაც რაუნდი წავაგეთ. ორთაბრძოლის შემდეგ გიორგიმ მითხრა, ჩემდა უნებურად მომივიდა, ხელის გარტყმა აზრადაც არ მომსვლიაო.

ასე იყო, თუ ისე, ის პაექრობა წავაგეთ. სანამ დარბაზს დავტოვებდით, თიგიევი მივიდა გოგშელიძესთან და პატიება სთხოვა. გადამწყვეტ ორთაბრძოლამდე 3 საათი იყო დარჩენილი და სოფელში დავბრუნდით. გიორგი უხმოდ წამოწვა საწოლზე. თვალი ისე ჰქონდა დასივებული, ვერაფერს ხედავდა. აშკარად ეტყობოდა, რომ „ბრინჯაოსთვის" ბრძოლის განწყობა სულაც არ ჰქონდა. ამან შემაშფოთა, რადგან გიორგისთან ერთად იყო ოთახში მინდორაშვილი, რომელსაც ფინალი უნდა ეჭიდავა და შემეშინდა, ეს განწყობა მასაც არ გადასდებოდა. თუმცა, რეზო ისე იყო შემართული, მისი შეჩერება, ალბათ, ჩინურ კედელსაც არ შეეძლო. მოგვიანებით დავით ხურცია, ზურაბ კახაბრიშვილი და გიორგი გალდავა შემოგვიერთდნენ. ერთიანი ძალით შევძელით ყველამ უარყოფითი განწყობისგან განმუხტვა. გიორგიმ იხუმრა კიდეც- რაღა უნდა ვიჭიდაო, ვერაფერს ვხედავ, წადით, ნახეთ, თვალი გასახდელში ხომ არ გდიაო. ასეთი განწყობით მივიდა ხალიჩამდე და, ალბათ, ყველამ ნახა, რა დღე აყარა კუბელ მიჩელ ბატისტას - სუფთად დაამარცხა იგი. მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ ტრიბუნები ქართველის გამარჯვებას. მსაჯებიც, თითქოს, დამნაშავედ გრძნობდნენ თავს - ფეხზე წამოუდგნენ გიორგის და ტაშით გააცილეს გასახდელისკენ.

ჩვენი გამოსვლის გვირგვინი იყო გურჯაანელი მინდორაშვილის ჭიდაობა. რეზომ ერთი ამოსუნთქვით დაამარცხა გერმანიის სახელით მოასპარეზე დავით ბიჩინაშვილი და სომეხი არუთინ ენუქიანი. ერთი სული ჰქონდა, როდის დაუპირისპირდებოდა გიორგი კეტოევს (ქეთიშვილს). ისინი ჯერ კიდევ შარშან ბაქოში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ არბიტრებმა აზერბაიჯანელ ტემრეზოვთან პაექრობისას აშკარად დაგვჩაგრეს – სამი-ოთხი ქულა დაგვაკლეს. პროტესტი რომ გამოვთქვი, 4 ათასი ევროთი დამაჯარიმეს. ამ ორთაბრძოლის შემდეგ მასპინძელთა კერპი ისე იყო არაქათგამოცლილი, რომ მომდევნო შეხვედრა წააგო და რეზოც კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდა.

ჩემპიონი გახდა კეტოევი, რომელიც ფილამ სრულიად სამართლიანად წლის საუკეთესო სპორტსმენად მიიჩნია.

წლეულს ტამპერეში ევროპის ჩემპიონატის ფინალში რუსმა აჯობა ჩვენებურს. პეკინის ხალიჩაზე კი ნახევარფინალში გადაიკვეთა მათი გზები. მინდორაშვილმა სუფთად მოუგო მეტოქეს. ფინალში ტაჯიკი იუსუპ აბდუსალომოვიც დაამარცხა და ოცნებაც აისრულა - კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ალალია მასზე, რადგან შრომისმოყვარე, თავმდაბალი პიროვნება და დიდი ფალავანია.

ბედნიერი ვარ, რომ სამწვრთნელო კარიერაში არ დამრჩა არც ერთი ტიტული, რომელიც ჩემს შეგირდებს არ მოეპოვებინოთ. პედაგოგისთვის ამაზე დიდი ჯილდო რა უნდა იყოს.

**- სანამ სამომავლო გეგმებზე გვიამბობდეთ, იქნებ დავით მოძმანაშვილის შესახებაც გვითხრათ რამე...**

- იგი წინდაუხედაობის მსხვერპლი გახდა. ათლეტური სპორტსმენია, უყვარს ფიზიკური მონაცემების წარმოჩენა. როგორც მითხრა, შაბათ-კვირას, თურმე, ფიტნესკლუბში დადიოდა სავარჯიშოდ. ერთ-ერთ თანამშრომელს რაღაც პრეპარატი მიუცია. არ გავნებსო, უთქვამს. დათომაც დაუჯერა, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. სპორტსმენი თავს დამნაშავედ გრძნობს, ჩვენ ვამხნევებთ მას, რადგან პერსპექტიული მოჭიდავეა და ვერ დავკარგავთ. პეკინში უპრობლემოდ შეეძლო მედლებისთვის ბრძოლა.

ჩინეთის დედაქალაქში ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს ჩვენი ბიჭების ჭიდაობას და აქტიურად ქომაგობდა. პეკინში მუშაობს გერმანელი მწვრთნელი ნიჩკე, რომელიც ოლიმპიადისთვის ჩინელ მძიმეწონოსანს ამზადებდა. სპარინგ-პარტნიორად სწორედ მოძმანაშვილი გვთხოვა. დათო, თურმე, ხალიჩაზე ისე აბურთავებდა მეტოქეს, რომ მწვრთნელები ეხვეწებოდნენ, ფრთხილად ეჭიდავე, არაფერი დამართოო. გერმანელი აღფრთოვანებული იყო ქართველი ფალავნის სიძლიერით - დიდი მოჭიდავე გახდებაო, მითხრა. ჩვენც ვიცით, რომ ასე იქნება, თუ დაგვიჯერებს.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ჯერ ოლიმპიურ ეიფორიას არ გაუვლია. ბიჭები ისვენებენ. ცოტა ხანში შევიკრიბებით და გეგმებსაც დავსახავთ ფედერაციასთან ერთად. პეკინის ოლიმპიადა უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. აქედანვე უნდა ვემზადოთ ლონდონისათვის.

**ვაჟა დანელია**

მარათონული ცურვა

# მემედ ბედიას ნაკვალევზე

დღეს თუ რომელიმე ქვეყანას მოაქვს თავი მსოფლიო სამშვიდობო მიღწევათა ორიგინალობითა და სიუხვით, მათ შორის საქართველო უდავოდ მოიხსენიება ლიდერთა შორის. ბევრი მიღწევა ხომ გინესის რეკორდების წიგნშიც შევიდა. საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურთა ხელშემწყობი კავშირი „გიორგი" და მისი ხელმძღვანელი **გვანჯი მანია** დაუღალავად ეძიებენ ახალ ტალანტებს და გაჰყავთ მსოფლიო სარბიელზე. მათ ყველა კარგად იცნობს და მკითხველს შეხსენება არ სჭირდება. და აი, კიდევ ერთი სახე- 54 წლის **ოლეგ სამხარაძე**, რომელსაც გადაუწყვეტია ულასტოდ, შეუსვენებლად, სპეცკოსტიუმის გამოუყენებლად გაცუროს ბათუმის შუქურიდან ფოთის შუქურამდე 60 კილომეტრი - გაიმეოროს ცურვის ლეგენდარული ქართველი მარათონელის მემედ ბედიას მარშრუტი და მსოფლიოს აჩვენოს ქართველი ვეტერანი სპორტსმენის შესაძლებლობები. გაცურვის სახელწოდებაა „ოქროს საწმისი - 2008".

ოლეგ სამხარაძე ბავშვობიდან ცურავდა, გამოდიოდა საქართველოს პირველობებში, დაამთავრა მწვრთნელთა სკოლა და სპორტის აკადემია. მუშაობდა ცურვის მასწავლებლად საქართველოში, რუსეთსა და თურქმენეთში. დღესაც საუკეთესო სპორტულ ფორმაშია. ექიმ-ექსპერტთა დასკვნით, იგი პრაქტიკულად ჯანმრთელია. „ოქროს საწმისი 2008" განსხვავდება ლა-მანშის, დარდანელისა თუ ბოსფორის მარათონისაგან - მოიცავს ყველა დისტანციას, რასაც ცურვის სპორტული სამყარო იცნობს (5, 10, 20, 40, 60 კმ).

ოლეგ სამხარაძის ჩანაფიქრი წარმატებით დაგვირგვინდება მხოლოდ თანამოაზრე სპონსორის თუ სპონსორების თანადგომის შემთხვევაში. საორგანიზაციო კომიტეტის ტელეფონია: 893 512 747.

ქართველი მოცურავე მზადაა სასურველ სპონსორს შეუქმნას მსოფლიო იმიჯი.

**საკუთარი ინფორმაცია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

ინტერვიუ ვლადიმერ გაბრიჩიძესთან

# რუსეთის მოქალაქეობას დავთმობ!



**ვლადიმერ გაბრიჩიძის შესახებ ჩოგბურთის მოყვარულებს ბევრი რამ სმენიათ - საბჭოთა საქართველოს ბოლო წლების და შემდეგი ათწლეულის საუკეთესო ჩოგბურთელი იყო; საბჭოთა კავშირშიც ერთ-ერთ უძლიერესად ითვლებოდა და „ურლ-ვევი" ქვეყნის ნაკრებშიც კი უთამაშია დევისის თასზე. ინდივიდუალური პრიზებიც საკმაოდ აქვს მოპოვებული - რამდენიმე ჩელენჯერის გამარჯვებულია; 100-ათასიანი ტურნირიც აქვს მოგებული და მილიონიანში საუკეთესო რვეულშია შესული. მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირში სპორტსმენს პროფესიონალიზმს უშლიდნენ და მთლიანად ქვეყნის ჩინოვნიკებზე იყვნენ დამოკიდებულნი, შესაბამისად, ასპარეზიც ნაკლები ჰქონდათ. საჩოგბურთო ბუმი შემდეგ დაიწყო, როცა15-მა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ელცინმა ჩოგბურთის განვითარებას დიდი ბიძგი მისცა და ნაყოფიც ბრწყინვალე მიიღეს რუსებმა - ამ ქვეყნის მეჩოგნეები, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის მსოფლიოში მოწინავეთა რიგებში არიან; დევისის თასი კი ზედიზედ სამჯერ მოიგეს ჩრდილოელებმა და მეოთხედაც ახლოს არიან მიზანთან... ვლადიმერმა, რომელსაც შინაურები ვოვას უწოდებენ, კარიერის დასრულების შემდეგ რუსეთში ცხოვრება არჩია და კერძო საჩოგბურთო კლუბში მოეწყო მწვრთნელად. მის გამოჩენას საქართველოში ნაკლებად ველოდით, მაგრამ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციამ მისი გამოცდილების გამოყენება გადაწყვიტა და საქართველოს ნაკრების კაპიტნად დანიშნა. ცხადია, მნიშვნელოვანი მოვლენაა და ჩვენი ინტერესიც გამოიკვეთა: ბატონ ვოვას ინტერვიუ ვთხოვეთ, რომელიც დღეს თბილისშია და უკვე ხვალ ნაკრებთან ერთად მინსკში გაემგზავრება.**

**- ბატონო ვოვა, რუსეთში თქვენი მოღვაწეობის შესახებ გვითხარით ორიოდ სიტყვა...**

- ლუჟნიკებში, კერძო საჩოგბურთო კლუბში ვმუშაობ, რომელიც წმინდა კომერციული ხასიათისაა, თუმცა სამწვრთნელო საქმიანობას მაინც ვეწევი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩოგბურთს არ ჩამოვშორებივარ. 10 წელია რუსეთში ვცხოვრობ და კარგად შევეგუე იქაურობას, მაგრამ როგორც კი საქართველოდან მიწვევა მივიღე, ერთი წამითაც არ მიყოყმანია და ჩამოვედი.

**- საქართველოს დევისის თასის კაპიტნობა დიდი პატივია, თუმცა დიდი პასუხისმგებლობაცაა; გუნდთან მუშაობაც აუცილებელია, რომ შედეგი გამოჩნდეს. ამისთვის ნაკრების წევრებთან თქვენი სისტემური კონტაქტია საჭირო. მოსკოვში ცხოვრება ასეთ საშუალებას მოგცემთ?**

- უპირველესად, ერთი რამ უნდა ალვნიშნო - საქართველოში იმისათვის ჩამოვედი, რომ ქართულ ჩოგბურთს დავეხმარო, ანუ აქ დიდ ხანს ყოფნას ვაპირებ. ერთი საკმაოდ დელიკატური საკითხიც არის მოსაგვარებელი და ამას დაუფიქრებლად, ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე გავაკეთებ: რუსეთის მოქალაქე ვარ, მაგრამ ამ პატივზე აუცილებლად უარს ვიტყვი და ჩემი სამშობლოს მოქალაქეობას მივიღებ. მართალია, ეს ერთი და ორი დღის საქმე არ არის და ჩემს აწყობილ საქმეს დიდი რისკის ქვეშ ვაყენებ, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია, - რაც რუსეთმა საქართველოს გაუკეთა, ამის შემდეგ არანაირი სურვილი არა მაქვს, აგრესორი ქვეყნის მიწაზე გავჩერდე .

**- მისასალმებელია, მაგრამ საქართველოში ყველაფერი თითქმის ნულიდან გექნებათ დასაწყები და არ გაგიჭირდებათ? თუ ჩოგბურთის ფედერაცია ისეთ პირობებს გთავაზობთ, რომ მოსკოვურ ყოფას გაუთანაბრდებით?**

- საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია კარგ პირობებს კი მთავაზობს, მაგრამ, ცხადია, ეს საკმარისი არ იქნება. მჯერა, რომ სხვა საქმითაც დავკავდები და ოჯახის რჩენა არ გამიჭირდება. მთავარი მაინც საჩოგბურთო საქმეების მაღალ დონეზე წარმართვა იქნება და აქაც იმედიანად ვარ.

**- დევისის თასზე საქართველოს ნაკრების შანსებზე რას იტყვით? არცთუ კარგ ფორმაში ვართ და საკმაოდ ძლიერ ბელარუს ჩოგბურთელებს მოვუგებთ?**

- შანსები 50|50 -ზეა. ვისკენაც იღბალი იქნება, ის გაიმარჯვებს. იღბალი ასეთ დროს აუცილებელია. დევისის თასის შეხვედრები კარდინალურად განსხვავდება სხვა ტურნირებისაგან. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მასპინძლის სტატუსს - ქომაგი რომ მხურვალედ გიჭერს მხარს, მეტი ენერგია გეძლევა. თუ ქართველმა ჩოგბურთელებმა განწყობა შეიქმნეს, გავიმარჯვებთ.

**- ნაკრების წევრებს თუ შეხვდით? როგორია დღეს მათი სათამაშო ფორმა?**

- მხოლოდ ნოდარ ითონიშვილსა და გიორგი ხრიკაძესთან ვიმუშავე. ესენი თბილისში არიან და საშუალება მქონდა დავკვირვებოდი. ძალიან კარგი ბიჭები გახლავან - ნიჭიც აქვთ, მაგრამ ჯერ მაინც ბევრი აქვთ სამუშაო, რომ გუნდი მათ დაეყრდნოს. მინსკში ძირითადად ირაკლი ლაბაძისა და ლადო ჩიხლაძის იმედად უნდა ვიყოთ. ლაბაძემ ტრავმა მოირჩინა და რამდენიმე ტურნირშიც საკმაოდ წარმატებით ითამაშა, რაც პრაქტიკის დეფიციტს გამორიცხავს. ჩიხლაძეს სათამაშო პრაქტიკა არა აქვს, მაგრამ სერიოზული ტრავმის შემდეგ შეძლო ძალების აღდგენა და მჯერა, რომ თავის სათქმელს მინსკშიც იტყვის. მართალი გითხრათ, არც ბელარუსები არიან საუკეთესო ფორმაში და შანსებს თანაბრად ამიტომაც ვაფასებ.

**- გუნდის ყველა წევრი თბილისში შეიკრიბება და შემდეგ გაემგზავრებით მინსკში?**

- ირაკლი დღეს ჩამოდის, მაგრამ ლადო ჩამოსვლას ვერ ახერხებს და მინსკში შემოგვიერთდება. გუნდი თბილისში შეიკრიბება თუ მინსკში, დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მოსამზადებლად სამი დღე გვექნება, რაც სავსებით საკმარისია.

**- მატჩის შემდეგ საქართველოში დაბრუნდებით?**

- არა მგონია. შესაძლოა, მოსკოვში გავემგზავრო. როგორც გითხარით, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მაქვს მისაღები და ამ საკითხების მოგვარებას გარკვეული დრო და მოსკოვში ყოფნა სჭირდება. როგორც კი მოვრჩები იქაურ საქმეებს, მაშინვე საქართველოში ჩამოვალ.

**ზვიად შათირიშვილი**



# ჩიხლაძემ თავიდან უნდა დაიწყოს

„დევისის თასის" მატჩის წინ ქართველ ვაჟ ჩოგბურთელთა რეიტინგში კორექტივები შეიტანეს. კლასიფიკაციაში ექვსი ქართველია, აქედან ოთხმა უკან დაიხია. **ირაკლი ლაბაძე** 533-ე ჩოგანია, მას 48 ქულა აქვს, ნაკრების ლიდერმა ერთ კვირაში 6 ადგილი დაკარგა. დღეიდან, საქართველოს მეორე ჩოგანი 17 წლის **ლაზარე კუხალაშვილია**, რომელიც ეროვნული ნაკრების მიღმა დარჩა. ლაზარეს ჯერ მხოლოდ 11 სარეიტინგო ქულა აქვს და ის 922-ე პოზიციაზეა, თუმცა პროგრესი მაინც არის, კუხალაშვილმა ბოლო კვირაში 28 საფეხურით წაიწია წინ. ბუნებრივია, ეს ახალგაზრდა ქართველის საუკეთესო მიღწევაა ჯერჯერობით. მესამე ჩოგანი **ნოდარ ითონიშვილია**, ნაკრების მესამე ნომერმა 88 ადგილი დაკარგა და ახლა 5 ქულით 1147-ეა. ალბათ, გაგიკვირდათ, რომ აქამდე **ლადო ჩიხლაძე** არ ვახსენეთ. 23 წლის ჩოგბურთელს ძვირად დაუჯდა ზამთარში მიღებული კისრის ტრავმა. მართალია, მან სასწაულებრივად მოახერხა ჩოგბურთში დაბრუნება, მაგრამ ძველებური ფორმა ვეღარ აღიდგინა და ქულათა მთელი მარაგიც გაანიავა. შარშან ამ დროს ლადო მსოფლიოს 350-ე ჩოგანი იყო, ახლა კი ის 4 ქულით 1193-ეა. ერთ კვირაში ჩვენებურმა 342 ადგილით (!) დაიხია უკან. სხვები: 1545 (+5) **ბექა ბუჩუკური** – 1 ქულა; 1624 (-74) **დემეტრე თაქთაქიშვილი** – 1. წყვილთა რეიტინგში მხოლოდ ორი ჩვენებურია: ირაკლი ლაბაძე 382-ე (+72), ნოდარ ითონიშვილი – 1384-ე.

ქალთა ახალ რეიტინგში ცვლილებები ქართველებს ნაკლებად შეეხოთ. ასე რომ, მხოლოდ მათი გაცნობით შემოვიფარგლებით: 212 (-1) **ანა ტატიშვილი** – 137 ქულა; 220 (+1) **მაკა ჩახნაშვილი** – 130; 256 (+1) **სოფიო ქვაცაბაია** – 106; 516 (+1) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 31; 543 (-53) **თინათინ ყავლაშვილი** – 28; 629 (-19) **მანანა შაფაქიძე** – 20; 650 (+4) **სალომე დევიძე** – 19; 734 (-65) **სოფიო ქვაცაბაია** – 15; 762 (-21) **ეკა გორგოძე** – 13; 954 (-3) **მაგდა ოქრუაშვილი** – 6; 961 (-4) **სოფიო მელიქიშვილი** – 6.

ვაჟები, მოგეხსენებათ, ამ კვირაში მინსკში ბელარუსის ნაკრების წინააღმდეგ „დევისის თასზე" იასპარეზებენ. ეროვნულ გუნდს მიღმა დარჩენილთაგან კი ინდივიდუალურ ტურნირზე მხოლოდ 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** თამაშობს. შეგახსენებთ, რომ ბასილაშვილმა კარგად იასპარეზა გასულ კვირაში ახალგაზრდულ ტურნირში, ახლა კი ბედს დიდებში ცდის. კოსტა მესას (აშშ) ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 15 ათასი დოლარია, ქართველი საკვალიფიკაციო წრეში ჩაება, სადაც სამი ეტაპი დაძლია, ჯერ ამერიკელ **კლეი თომპსონს** (4:6, 7:5, 6:2) და ბრაზილიელ **კარლოს ლიმას** (2:6, 6:4, 6:4) მოუგო, შემდეგ კი, მესამე წრეში მე-3 ნომრად განთესილ ამერიკელ **ნიკოლას მაისტერს** ეთამაშა და მასაც აჯობა – 6:4, 6:3. ძირითად ბადეში მოსახვედრად ბასილაშვილს კიდევ ერთი მოგება სჭირდება, მან ამერიკელი **დენიელ ენდრიუსი** უნდა დაამარცხოს.

საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გამართულ ქალ ჩოგბურთელთა ტურნირებიდან ყველაზე მსხვილი სოფიაში (ბულგარეთი) იმართება, იქ საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. სოფიო შაფათავა ძირითად ბადეში გაღწევას ლამობს, პირველი წრის მოგების შემდეგ მეორეში ის **ევა ფერნანდესს** (ესპანეთი) ხვდებოდა – 6:1, 5:7-ზე მატჩი წვიმის გამო შეწყდა.

ალბუკერკეში (აშშ) (75 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში ითამაშებს საქართველოს პირველი ჩოგანი ანა ტატიშვილი. იტალიურ მესტრეში (50 ათასი დოლარი) მაკა ჩახნაშვილი პირველ წრეში მე-5 ნომრად განთესილ ჩეხ **ლუსი ჰრადეჩკას** (128) ეთამაშება. ურთიერთშეხვედრებში მაკა 2:1 იგებს. მადრიდის საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი) ძირითად ბადემდე ცოტა უკლია სოფიო ქვაცაბაიას, რომელმაც ორი საკვალიფიკაციო წრე უკვე დაძლია – მეორეში მან ესპანელ **პაულა რინკონს** მოუგო – 6:1, 6:2. თუკი სოფიო ამერიკელ **კრისტი მილერსაც** დაამარცხებს, ძირითად ტურნირში გავა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი. ლეგიონერები

# მონპელიე ლიდერებში გაერია

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის პირველ დივიზიონში, მეოთხე ტურის შეხვედრების შემდეგ, მოულოდნელად ლიდერთა შორის ადგილი **მამუკა გორგოძის** „მონპელიემ" დაიკავა. ჩვენებურის გუნდმა ოთხიდან სამი შეხვედრა მოიგო და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე იმყოფება.



დაუმარცხებელი კი ჯერჯერობით ქვეყნის ჩემპიონი „სტად ფრანსეა", რომელმაც ზედიზედ მეოთხე გამარჯვება სტუმრად მოიპოვა **დავით ქუბრიაშვილისა** და **გია ლაბაძის** „ტულონთან" მატჩში. პარიზელებმა მეტოქე -19:13 დაამარცხეს. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

„მონპელიემ" კი საკუთარ მოედანზე **გოდერძი შველიძის** „მონტობანს" სძლია - 32:10. მასპინძლებმა პირველ ტაიმში მოწინააღმდეგეს სამი უპასუხო ლელო გაუტანეს და ფაქტობრივად მატჩის ბედიც გადაწყვიტეს. გორგოძეს მონპელიელთა რიგებში არ უთამაშია. შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 46-ე წუთზე შეცვალეს.

ფრანგული რაგბის ერთ-ერთ ბობოლასთან, „ტულუზთან" გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს". ვულკანებმა საკუთარი კედლების ფაქტორი კარგად გამოიყენეს და მეტოქე -16:6 დაამარცხეს. გადამწყვეტ უპირატესობას მასპინძლებმა მატჩის 55-ე წუთზე მიაღწიეს, როცა გატანილი ლელოთი სამქულიანი სხვაობა ათამდე გაზარდეს - 13:3. დარჩენილ დროში გუნდებმა მხოლოდ თითო საჯარიმო გაცვალეს. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 48-ე წუთზე შეცვალეს.

საკუთარ მოედანზე დამარცხდა უმცროსი ძმის, **ირაკლი გიორგაძის** „დაქსთან" **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი"-11:19. ირაკლი სტუმართა განაცხადში არ იყო. აქვსენტი კი თამაშში 75-ე წუთიდან ჩაერთო. ალსანიშნავია, რომ კასტრელებმა ოთხ შეხვედრაში მხოლოდ ერთ ფრეს გამოჰკრეს ხელი.

სტუმრად დამარცხდა ბასკურ „ბიარიცთან" **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივი" - 5:24. ქათველი მორაგბე თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო.

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

IV ტური

**ტულონი-სტად ფრანსე 13:19, პერპინიანი-ბაიონი 38:10, კასტრი-დაქსი 11:19, მონპელიე-მონტობანი 32:10, ბურგუენი-მონ დე მარსანი 18:6, კლერმონი-ტულუზი 16:6, ბიარიცი-ბრივი 24:5.**

**სატურნირო მდგომარეობა:**

**1.სტად ფრანსე-17 ქულა, 2.პერპინიანი-13, 3.მონპელიე-13, 4.ბიარიცი-12, 5.ბაიონი-12, 6.კლერმონი-10, 7.ტულუზი-10, 8.მონტობანი-10, 9.ტულონი-8. 10.ბურგუენი-7, 11.დაქსი-6, 12.მონ დე მარსანი-5, 13.ბრივი-4, 14.კასტრი-3.**

მეორე დივიზიონში ორი ტურის შემდეგ დაუმარცხებელი ორი გუნდია. მათ შორის ერთი **მალხაზ ურჯუკაშვილის, გიორგი ჟღენტისა** და **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკია". ჩვენებურთა ამ გუნდმა სტუმრად დაძაბულ ბრძოლაში, მინიმალური ანგარიშით -16:15 დაამარცხა **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბი". მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 68-ე წუთზე შეცვალეს. ძირითადში ითამაშა ჟღენტმაც და 50-ე წუთზე შეცვალეს. ურჯუკაშვილი და დათუნაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

პირველი გამარჯვება მოიპოვა დივიზიონის დებიუტანტმა, **ავთანდილ კოპალიანის** „კოლომიემ". საკუთარ მოედანზე კოლომიელებმა „ლიონს" სძლიეს - 20:6. კოპალიანი თამაშში 63-ე წუთიდან ჩაერთო.

„ლა როშელზე" ერთით მეტი საჯარიმო გაიტანა და ასევე პირველ გამარჯვებას მიაღწია საკუთარ მოედანზე **გიორგი ჩხაიძის** „მეტრო რასინგმა" - 12:9. პარიზელთა რიგებში ჩხაიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს.

სტუმრად დამარცხდა „პოსთან" **ირაკლი მაჩხანელისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენი" -15:27. მაჩხანელმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. ფეიქრიშვილი განაცხადში არ იყო.

შინ დამაჯერებლად მოუგო დივიზიონის დებიუტანტ „ბურგ ან ბრესს" **დავით აშვეთიას** „ოიონაქსმა" 38:8. აშვეთია თამაშში 44-ე წუთიდან ჩაერთო.

**II დივიზიონი**

II ტური

**ალბი-გრენობლი 26:19, ოში-ნარბონი 21:16, კოლომიე-ლიონი 20:6, პო-აჟენი 27:15, ბორდო-ბეზიე 24:12, ტარბი-ორიაკი 15:16, მეტრო რასინგი-ლა როშელი 12:9, ოიონაქსი-ბურგ ან ბრესი 38:8.**

**სატურნირო მდგომარეობა:**

**1.ბორდო-8 ქულა, 2.ორიაკი-8, 3.გრენობლი-6, 4.პო-6, 5.ლა როშელი-5, 6.ოიონაქსი-5, 7.ალბი-5, 8.აჟენი-4, 9.ლიონი-4, 10.მეტრო რასინგი-4, 11.ოში-4, 12.კოლომიე-4, 13.ტარბი-3, 14.ნარბონი-3, 15.ბეზიე-2, 16.ბურგ ან ბრესი-1.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

# სუმოს ხიბლი: კეთილი იყოს თქვენი ფეხი ბრინჯის რკალს იქით

სუმოს შესახებ სპორტის ქართველ გულშემატკივართა უმეტესობამ ტელეარხ „ევროსპორტიდან“ შეიტყო, სადაც ერთი თვის დაგვიანებით სუმოისტთა სუპერტურნირის ჩანაწერებს აჩვენებდნენ ხოლმე. თვით პირველმა ქართველმა პროფესიონალმა სუმოისტმა ლევან ცაგურიამ (იგივე კოკაი) იაპონელ ჟურნალისტებს ერთ-ერთ პირველ ინტერვიუში განუცხადა, რომ სუმო პირველად „ევროსპორტზე“ ნახა. მას შემდეგ, რაც კოკაის მაგალითს სხვა ქართველებიც მიჰყვნენ, საქართველოში სპორტის ამ სახეობისადმი ინტერესი ერთი-ორად გაიზარდა. ჩვენც შეძლებისდაგვარად ვაშუქებთ სუპერტურნირებს, სადაც ხშირად წარმატებას აღწევენ ქართველი ფალავნები. თუმცა ალბათ, უპრიანია, მკითხველს სუმოს არსის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მივაწოდოთ, აქვე დავძენთ, რომ ყველაფრის ერთ გვერდში ჩატევა მაინც შეუძლებელია. მაშ ასე, უკეთ გავიცნოთ ეს შორეული სუმო.





## სუმოს ფესვებთან

სუმო კონტაქტური სპორტის სახეობაა, რომლის ფესვებიც იაპონიაშია და რომელიც მთლიანად მხოლოდ ამ ქვეყანაშია განვითარებული. აქ არ ვგულისხმობთ სუმოს სამოყვარულო ნაირსახეობას, რომელიც ბევრ ქვეყანაშია (მათ შორის საქართველოში) ფეხმოკიდებული, თუმცა ის პეწი, კლასი არ აქვს, რაც პროფესიულ სუმოს. სამოყვარულო სუმოში ის სული დაკარგულია, რასაც სათუთად უფრთხილდებიან იაპონელები. სუმო მხოლოდ სპორტი არც არის, ის იაპონელთათვის გენდაი ბუდოა, ანუ თანამედროვე საბრძოლო ხელოვნება.

სუმოს ისტორია საუკუნეებს ითვლის, ამიტომაც ორთაბრძოლების წინ მრავალ ტრადიციულ რიტუალს ასრულებენ. მაგალითად, მარილის მოფრქვევის რიტუალი უძველესი, შინტოს რელიგიის დროიდან მოდის. რიკიშის, ანუ პროფესიონალი სუმოისტის ცხოვრება საკმაოდ მკაცრია და მას სუმოს ასოციაციის (ნიჰონ სუმო კიოკაი) წესები აკონტროლებს. პროფესიონალები ვალდებულები არიან თავიანთ კლუბებში (ე.წ. ჰეიებში) იცხოვრონ, მათი ყოველდღიური ცხოვრების ბევრი ასპექტიც წინასწარ გაწერილია და აუცილებლად უნდა შესრულდეს – ჭამის რაციონიდან დაწყებული, ჩაცმულობით დასრულებული. ეს ყველაფერი იაპონიის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს უკავშირდება. ცნობილია, რომ სუმომ შედარებით თანამედროვე სახე მეომარ **ოდა ნობუნაგას** დროს, მე-16 საუკუნეში მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ სუმო იაპონურ ფესვებზე აღმოცენდა, მსგავსი საბრძოლო ხელოვნება განვითარებული იყო მონღოლეთში (მონღოლური ჭიდაობა), ჩინეთსა (შუაი იაო) და კორეაშიც (სირეუმი).

## თუ დოჰიოზე ფეხშიშველას არ გაგივლია..

სუმოს ორთაბრძოლაში გამარჯვებულია ის ფალავანი, რომელიც შეძლებს მეტოქის გაძევებას რკალის ფორმის რინგიდან, რომელსაც იაპონელები დოჰიოს უწოდებენ. გამარჯვებულია სუმოისტი იმ შემთხვევაშიც, თუ შეძლებს მეტოქის დაგდებას დოჰიოზე. პირველი, ვინც კი დოჰიოს ტანის ნებისმიერი ნაწილით შეეხება, გარდა ფეხისა, დამარცხებულია. თუმცა ხშირად საკამათო ეპიზოდში, შეიძლება გამარჯვება იმ სუმოისტს მიანიჭონ, რომელიც პირველად შეეხო მიწას. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, თუკი მსაჯები დაადგენენ, რომ მის მეტოქეს გამარჯვების არანაირი შანსი არ ჰქონდა. ორთაბრძოლისას არ არის შეზღუდვები, ამიტომაც წესების და მიზნის სიმარტივის მიუხედავად, სუმოში ბევრ და სხვადასხვა სახის ილეთს იყენებენ. აკრძალულია მხოლოდ მუშტის დარტყმა, წელს ქვემოთ დარტყმა და თმის მოქაჩვა. ასეთ შემთხვევაში დამრღვევს მაშინვე წაგებას უთვლიან. სუმოისტის საბურველი ე.წ. მავაშია – აბრეშუმის ნაჭერი, რომელიც რამდენჯერმე დახვეულია სპორტსმენის ფეხებს შორის და ზურგთან განასკვულია. სხვათა შორის, თუკი ბრძოლისას სუმოისტი მავაშის დაკარგავს, მას წაგება ეთვლება. როდესაც გამარჯვებული გაირკვევა, მას მსაჯი (გიოჯი) სახალხოდ აცხადებს, აქვე დააკონკრეტებს იმ ილეთს (კირიმატე), რომლის წყალობითაც იმარჯვა სუმოისტმა. მაშინ, როცა ბრძოლა სულ რაღაც წამები გრძელდება, მისთვის მზადება, რიტუალის შესრულება, ბრძოლის შემდგომი რიტუალი გაცილებით მეტ დროს ითხოვს. დოჰიო 4,55 მეტრი დიამეტრის რკალია. საფარი თიხნარია, რომელზეც ქვიშაა მოყრილი. რკალი ბრინჯის სპეციალური ღეროებისგან არის შეკრული. მასზე ფეხის დაბიჯება წესებით შეიძლება.

წელიწადში ექვსი სუპერტურნირი, ანუ ბაშო იმართება: იანვარში, მარტში, მაისში, ივლისში, სექტემბერსა და ნოემბერში. აქედან ოთხი ტოკიოში, ორი კი პროვინციებში. სუპერტურნირების გარდა პროფესიონალები ვალდებულნი არიან, სუმოს ასოციაციის ეგიდით საჩვენებელ გამოსვლებშიც მიიღონ მონაწილეობა, რომლებიც სუმოს პოპულარიზაციის მიზნით იაპონიის სხვადასხვა რეგიონში იმართება. რეიტინგზე (ბანძუკე) მხოლოდ სუპერტურნირების შედეგები აისახება. ბაშო 15-დღიანია ელიტის ორ დივიზიონში (მაკუუჩი და ძურიო), ხოლო დაბალ ლიგებში - 7-დღიანი. სუმო კონტაქტური სპორტია და იქ ტრავმა ძალზე ხშირია. სპორტსმენებს ხშირად აქვთ პრობლემები ჯანმრთელობასთან ჭარბი, მაგრამ ორთაბრძოლისას აუცილებელი, წონის გამოც. სპორტსმენები სხვადასხვა კლუბის წევრები არიან. იაპონური წესის თანახმად, კლუბს მხოლოდ ერთი უცხოელის ყოლის უფლება აქვს, თუმცა ზოგიერთ კლუბში უცხოელს არაფრის დიდებით არ აიყვანენ.

სუმოისტის ცხოვრება ჰეიაში დილით, მზის პირველ სხივებთან ერთად იწყება. დილით გარკვეული რიტუალის შემდეგ, სუმოისტები ხუთსაათიან, მომქანცველ ვარჯიშს გადიან. მხოლოდ ამის შემდეგ საუზმობენ სპორტსმენები. ამ დროს ისინი დიდი რაოდენობით საკვებს იღებენ. სხვათა შორის, არ არის აკრძალული ალკოჰოლური სასმელიც. საუზმის შემდეგ სამსაათიანი ძილის დროა, შემდეგ კი – ვახშმის. თითოეული სუმოისტის წარმატებაზეა დამოკიდებული, შეუძლია თუ არა მას „ფუფუნების საგნების“ გამოყენება. მაგალითად, მობილური ტელეფონის, ინტერნეტის, ცალკე ოთახში დაძინების.. ყველა სუმოისტს აკრძალული აქვს მანქანის მართვა.

პროფესიულ სუმოში 6 დივიზიონია. უმაღლეს, მაკუუჩიში 42 სუმოისტია, მეორე ელიტურ დივიზიონ ძურიოში - 28. ამ ორ დივიზიონში მოხვედრილი სუმოისტები რანგის შესაბამისად იღებენ ანაზღაურებას, მათ ემსახურებიან ცქიფიტოები (ცუკებიტო), ახალგაზრდა დამწყები სუმოისტები. მესამე დივიზიონ მაკუშიტაში 120 სუმოისტია, შემდეგი დივიზონებია: სანდანმე, ჯონიდანი და ჯონოკუჩი. დღეისათვის პროფესიულ სუმოში 59 უცხოელია, მათ შორის სამი ქართველი: ლევან ცაგურია (კოკაი), **ლევან გორგაძე** (ტოჩინოშინი) და **თეიმურაზ ჯუღელი** (გაგამარუ). პირველი ორი ელიტაშია, გაგამარუ - მაკუშიტას დივიზიონში.

ელიტაში რიგითი სუმოისტის რანგი მაეგაშირაა, ისინი რეიტინგის მიხედვით 1-დან მე-16 (ან მე-17) ნომრამდე არიან განაწილებულნი. არსებობს აღმოსავლეთის და დასავლეთის დივიზიონი, თუმცა ეს დაყოფა პირობითია – აღმოსავლეთის დივიზიონი მხოლოდ ნახევარი საფეხურით წინ დგას დასავლეთისაზე. სპორტის ამ სახეობაში ყველაზე დიდი რანგი არის იოკოძუნა. ტერმინი წამოვიდა სიტყვებიდან ჰორიზონტი და თოკი. ახლაც იოკოძუნებს სარიტუალო ღონისძიებისას ერთგვარი თოკი აქვთ შემოხვეული, რომლის სიმძიმე ზოგჯერ 20 კილოგრამია. უმაღლესი ტიტულის მიღების წესი განსაზღვრულია ასე: ოძეკის, რომელსაც იოკოძუნობა სურს, უნდა ჰქონდეს ძალა, ოსტატობა და ხიბლი (ჰინკაკუ). ყოფილა შემთხვევა, რომ „დიდი ჩემპიონის“ ტიტული არავის უტარებია და იყო დრო, როცა ერთდროულად ოთხი იოკოძუნა იყო რეიტინგში. ფაქტობრივად კი ოძეკი იოკოძუნა ხდება, თუკი ზედიზედ ორ სუპერტურნირს მოიგებს, ან ერთს მოიგებს და ორჯერ გამარჯვებისთვის იბრძოლებს ბოლო დღემდე, ამასთან ბაშოზე არანაკლებ 12 მოგება ექნება (15-დან). იოკოძუნას ტიტულს არ ართმევენ, თუკი სუმოისტი უმაღლეს დონეზე ველარ ასპარეზობს, ის აუცილებლად უნდა წავიდეს სუმოდან. დღეს ორი იოკოძუნაა მოქმედი, ორივე მონღოლია – რიგით 68-ე იოკოძუნა **ასაშორიუ** (2003 წლიდან) და 69-ე იოკოძუნა **ჰაკუჰო** (2007 წლიდან).

იოკოძუნას შემდეგ რანგით მეორე ტიტული ოძეკია (ჩემპიონი). დღეს ოთხი ოძეკია: **ჩიოტაიკაი, კაიო, კოტოოშუ** და **კოტომიცუკი**. კოტოოშუ ბულგარელია, დანარჩენები კი – იაპონელები. მესამე რანგი სეკივაკეა, მეოთხე – კომუსუბი. ქართველი ლევან ცაგურია ორი სუპერტურნირის განმავლობაში ატარებდა კომუსუბის ტიტულს. ჯერჯერობით ეს მისი უმაღლესი მიღწევაა. სუმოისტები ყოველთვიურ ხელფასს იღებენ თავიანთი რანგის მიხედვით. იოკოძუნას ხელფასი თვეში 24,5 ათასი დოლარია. ამაში რა თქმა უნდა, არ შედის ორთაბრძოლების დროს მიღებული ჰონორარები. ოძეკი თვეში 20 ათას დოლარს იღებს, სეკივაკე და კომუსუბი - 14,8 ათას დოლარს, რიგითი მაეგაშირა – 11,3 ათას დოლარს, ხოლო ძურიოს დივიზიონის წევრი – 9 ათასს.

## შავი ზღვა ჯერ არ დამშრალა

კოკაი პირველი ევროპელია, რომელმაც კომუსუბის რანგს მიაღწია. 27 წლის ჩვენმა თანამემამულემ უკვე ძალიან ბევრი შეძლო პროფესიულ სუმოში, თუმცა ახლა მას ძნელი დროება უდგას. საბრძოლო სახელი სოხუმელ ლტოლვილს შავი ზღვის გამო შეურჩიეს, პირველად სწორედ ზღვის გამო იყო კოკაის მავაში ლაჟვარდისფერი. კოკაის პროფესიულ სუმოში დებიუტი 2001 წლის მაისში ჰქონდა. მან მაშინვე ხმაურით დაიწყო, ჯონიდანის და სანდანმეს დივიზიონები 7-0 ბალანსით მოიგო, 2003 წელს კოკაიმ ძურიოს დივიზიონი 14-1 ბალანსით მოიგო, 2004 წლის იანვარში კი ფეხი ელიტაში შედგა. 2006 წლის სექტემბრის და ნოემბრის ბაშოებზე კოკაიმ კომუსუბის რანგით იჭიდავა. კარიერის განმავლობაში კოკაის ორჯერ აქვს მებრძოლი სულის პრიზი მოპოვებული, ორჯერ კი იოკოძუნა ჰყავს დამარცხებული.

20 წლის ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე) სუმოში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ რიკიშად მიიჩნევა. მან ძალიან მალე გაიარა გრძელი გზა ექვს დივიზიონში და ახლა ელიტაშია, რეიტინგში ის უკვე კოკაის უსწრებს. ტოჩინოშინმაც შეძლო ძურიოს დივიზიონის ტიტულის მოპოვება.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## სუმოს ლექსიკონი

ბანძუკე: სუმოს რეიტინგ-ლისტი, რომელიც წინა ბაშოს შედეგების მიხედვითაა შედგენილი და ქვეყნდება მომავალი ბაშოს დაწყებამდე ორი კვირით ადრე. ბანძუკე ხელნაწერი დოკუმენტია, რომელიც სუმოისტებს ურიგდებათ.

ბაშო: სუმოს სუპერტურნირი. წელიწადში 6 ბაშოა. უფრო ზუსტი დასახელებაა ჰონბაშო.

გიოჯი: სუმოს მსაჯი

დოჰიო: არენა, სადაც მიდის ორთაბრძოლა, თიხნარზე დაყრილი ქვიშაა, რომელიც ბრინჯის მცენარის ღეროს რკალითაა შემოსაზღვრული.

დოჰიო-ირი: რინგზე გასვლის ცერემონიალი. მხოლოდ ძურიოს და მაკუუჩის დივიზიონის სუმოისტები ასრულებენ. დასავლეთის და აღმოსავლეთის სუმოისტები ცალ-ცალკე ასრულებენ რიტუალს, იოკოძუნა კი ცალკე.

იოკოძუნა: დიდი ჩემპიონი, ყველაზე მაღალი ტიტული სუმოში.

იუშო: ტურნირის მოგება ნებისმიერ დივიზიონში. უმაღლეს დივიზიონში თან ახლავს იმპერატორის თასის მოგება.

კაჩი-კოში: ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულება, რაც რეიტინგში წინსვლის გარანტიაა.

კენშო-მავაში: სარიტუალო მავაში, რომელიც ინდივიდუალური გემოვნებითაა მოხატული. ადრე კენშო მავაშით ჭიდაობდნენ.

კირიმატე: ილეთი, რომლის წყალობითაც იმარჯვებს რიკიში. კირიმატე მრავალია.

კინბოში: ოქროს ვარსკვლავი. ეძლევა მაეგაშირას რანგის სუმოისტს თუკი ის ბაშოზე იოკოძუნას დაამარცხებს. აქვს ფინანსური დატვირთვაც.

კომუსუბი: მეოთხე რანგი სუმოში.

მაეგაშირა: უმაღლესი დივიზიონის სუმოისტთა უდაბლესი რანგი. ბაშოს დროს მხოლოდ მაღალი რანგის მაეგაშირებს უწევთ ბრძოლა იოკოძუნასთან და ოძეკისთან.

მაკე-კოში: უარყოფითი ბალანსი, რეიტინგში დაქვეითების გარანტია.

მაკუუჩი: უმაღლესი დივიზიონის დასახელება.

მაკუშიტა: რანგით მესამე და ყველაზე მრავალრიცხოვანი დივიზიონი.

მავაში: სუმოისტის ქამარი-ტილო, რომელსაც ის ატარებს ვარჯიშისას და ორთაბრძოლისას. თეთრი, ბამბისა ვარჯიშისას და აბრეშუმის ფერადი – შეჯიბრებისთვის.

ნიჰონ სუმო კიოკაი: სუმოს ასოციაცია.

ოიაკატა: სუმოს მწვრთნელი, კლუბის ხელმძღვანელი

ოძეკი: ჩემპიონი, მეორე რანგი პროფესიულ სუმოში.

რიკიში: პირდაპირი თარგმანით, ძლიერი მამაკაცი. სუმოისტი.

სანდანმე: მეოთხე დივიზიონი.

სანიაკუ: იოკოძუნა, ოძეკი, სეკივაკე და კომუსუბი – ამ რანგის სუმოისტთა კრებითი სახელი.

სეკიტორი: ის სუმოისტი, რომელიც ორი ელიტური დივიზიონიდან ერთ-ერთშია.

შიკონა: საბრძოლო სახელი. შეიძლება იყოს ნამდვილი სახელის იდენტურიც.

ძურიო: მეორე დივიზიონი, ითვლება ელიტად. ამ დივიზიონში მოასპარეზე სუმოისტს აქვს ხელფასი და პრივილეგიები.

ჯონიდანი: რანგით მეორე უდაბლესი დივიზიონი სუმოში.

ჯონოკუჩი: უდაბლესი დივიზიონი. ასეც ითარგმნება იაპონურიდან – „ეს მხოლოდ დასაწყისია“.

ჰენკა: დაჯახების დროს ხერხით მეტოქის აცილება და ამ მეთოდით გამარჯვება. ხშირად ცუდ ტონად ითვლება იაპონელი პუბლიკის თვალში, განსაკუთრებით თუ ჰენკას მაღალი რანგის სუმოისტები მიმართავენ.

ჰეია: პირდაპირი მნიშვნელობით ოთახია, თუმცა იხმარება კლუბის აღსანიშნავად. ჰეია არის ადგილი, სადაც სუმოისტები ვარჯიშობენ და ცხოვრობენ.

ჰიკივაკე: ყაიმი, დღევანდელ სუმოში ძალზე იშვიათი მოვლენაა.



ილეთი ჰატაკიკომი



ილეთი ოკურიდაში



ილეთი ოშიდაში

# უცხოური სპორტი

ჰოკეი

## ახალი კონტრაქტები

ახალი სეზონისთვის მნიშვნელოვანი შენაძენი გააკეთა "კალგარი ფლეიმზმა". კანადურმა კლუბმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ **ტოდ ბერტუცისთან**, რომელიც გაისად 1.9 მილიონ დოლარს მიიღებს.

ველოსპორტი

## დი ლუკა მსოფლიოს მიღმა

იტალიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე **დანილო დი ლუკას** გარეშე გამოვა. პლანეტის პირველობას სექტემბრის ბოლოს იტალიის ქალაქ ვარაზე მასპინძლობს.

დი ლუკა ნაკრების შემადგენლობიდან მთავარმა მწვრთნელმა **ფრანკო ბალერინიმ** დაითხოვა. ამის მიზეზი გახდა ველომრბოლის ცუდი სპორტული ფორმა. შეგახსენებთ, რომ 2007 წლის "ჯირო დ'იტალიას" გამარჯვებული დოპინგის მიღებაში ამხილეს, მაგრამ შემდეგ გაამართლეს. თუმცა დი ლუკამ ოპტიმალური კონდიციების დაბრუნება ვერ მოასწრო და ახლა ნაკრებში მის ადგილს **პაოლო ბეტინი** დაიკავებს.

*"დანილოს წყენა კარგად მესმის, მაგრამ პაოლო გაცილებით კარგ ფორმაში იმყოფება. მას შეუძლია იმაზე გაცილებით კარგად გამოვიდეს, ვიდრე ეს შარშან, შტუტგარტში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გააკეთა"*, - მოჰყავს ბალერინის სიტყვები სააგენტო "როიტერს".

ძალოსნობა

## დასჯილი ბულგარეთი

ოთხწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა ცხრა ბულგარელი ძალოსანი, კიდევ ორს ორთწლიანი სასჯელი აკმარეს. გარდა ამისა, ქვეყნის ძალოსნობის ფედერაციას ჯარიმის სახით 465 დოლარი აქვს გადასახდელი - ასეთია ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ვერდიქტი.

როგორც ცნობილია, ბულგარეთის ფედერაციამ პეკინში გამოსვლაზე უარი განაცხადა. ეს იმიტომ მოხდა, რომ საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი 11 ძალოსნის დოპინგსინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა.

იმის გამო, რომ **გეორგი მარკოვი** და **ალან ცაგაევი** ადრეც იყვნენ გამოჭერილნი, ამ ორმა ძალოსანმა სამუდამო დისკვალიფიკაცია მიიღო.

მოტოსპორტი

## ჰაიდენმა გუნდი შეიცვალა

მოტოგრანპრის კლასში 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა, ამერიკელმა **ნიკი ჰაიდენმა** გუნდის შეცვლა გადაწყვიტა. 27 წლის მოტომრბოლი ტოვებს "ჰონდას", სადაც ბოლო 6 წელი გამოდიოდა და "დუკატიში" გადადის.

თავის მხრივ, "დუკატის" დატოვებს მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის **კეისი სტოუნერის** პარტნიორი **მარკო მელანდრი**. წელს იტალიელი მაღალი შედეგებით ველარ დაიკვეხნის და საგაისოდ მოკრძალებულ "კავასაკიში" გადავა.

# ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ასკოლი-ტრიესტინა | 1:1 |
| სალერნიტანა-ფროსინონე | 3:2 |
| **სერია C1/B** | |
| არეცო-იუვე სტაბია | 2:2 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ექსელსიორი-იგლზი | 3:0 |
| დენ ბოში-ფორტუნა | 1:1 |
| ომნივორლდი-კამბური | 1:0 |
| ცვოლე-ემენი | 4:0 |
| ჰელმონდი-დორდრეხტი | 1:0 |
| მაასტრიხტი-ეინდჰოვენი A | 3:1 |
| ვაალვიკი-ჰაარლემი | 1:1 |
| ტელსტარი-როსენდალი | 1:1 |
| ვეენდამი-აპელდორნი | 2:1 |
| ვენლო-ტოპ ოსი | 3:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| მიუნხენი-დუისბურგი | 2:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლანსი-მეცი | 0:1 |
| **დანია** | |
| ოდენსე-სიონდერილი | 2:0 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-ლინი | 1:2 |
| **შვედეთი** | |
| გაის-იურგორდენი | 2:1 |
| ლიუნგსკილე-ტრელებორგი | 0:0 |
| **ფინეთი** | |
| ლაჰტი-მიუპა | 4:0 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| **ჩელენჯლიგა** | |
| ლუგანო-ვინტერტური | 4:1 |
| **კვიპროსი** | |
| აეპ-აპოლონი | 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-იაბლონეცი | 2:0 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ენერგია-დინამო (ბრ) | 2:1 |
| ზვეზდა-როსტოვი | 1:5 |
| ანჟი-ნოსტა | 0:0 |
| საკ-ვიტიაზი | 1:1 |
| ალანია-ურალი | 1:0 |
| მაშუკი-სიბირი | 0:0 |
| კამაზ-დინამო (ბარ) | 7:0 |
| სკა (რ)-სალუტი | 3:0 |
| ვოლგა-მეტალი | 2:0 |
| ჩერნომორეცი-ტორპედო | 4:1 |
| ყუბანი-ბალტიკა | 2:0 |
| **ბულგარეთი** | |
| პირინი-ბელასიცა | 2:0 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **NHL. კჰლ** | |
| ავანგარდი-ტრაქტორი | 3:6 |
| ლადა-აკ ბარსი | 2:2 |
| ლოკომოტივი-ამური | 3:0 |
| სკა-მეტალურგი (ნ) | 0:1 |
| დინამო (მ)-მვდ | 3:2 |
| დინამო (მნ)-სპარტაკი | 0:2 |
| დინამო (რ)-ტორპედო | 4:1 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **WTA. გუანგჯოუ** | |
| კორიცევა-ამანმურადოვა | 6:4, 6:4 |
| ლუ-ძეჰალევიჩი | 7:6, 6:2 |
| კნაპი-ჟანგი | 7:6, 1:6, 6:1 |
| გოვორცოვა-იანი | 6:3, 6:2 |
| ოლარუ-კარპოში | 6:7, 6:4, 6:1 |
| კუდრიავცევ-პავლიუჩენა | 6:4, 4:6, 6:3 |

ცურვა

## ფელპსი ტელევარსკვლავიცაა

ამერიკული ტელეარხის NBC-ის კომედიურმა პროგრამამ - Saturday Night Live-მა არნახულ პოპულარობას მიაღწია. გადაცემას ასეთი მაღალი რეიტინგი 2002 წლის შემდეგ არ ჰქონია. წარმატების მიზეზი კი ძალიან მარტივია - პროგრამის ერთ-ერთი წამყვანი გახლავთ პეკინის თამაშების რვაგზის ჩემპიონი, ამერიკელი მოცურავე **მაიკლ ფელპსი**.

13 სექტემბერს ეთერში გასული გადაცემის რეიტინგი შარშანდელთან შედარებით, 64 პროცენტით გაიზარდა - წერს გამოცემა Media Life.

Saturday Night Live-ს გადაღებამდე, ფელპსს რამდენიმე სატელევიზიო პროექტში მონაწილეობის გამოცდილება გააჩნდა, გარდა ამისა, MTV-ის Video Music Awards-ში გადასცა ერთ-ერთი პრიზი.

სხვათა შორის, პეკინის ოლიმპიადის გმირთან ერთად, 13 სექტემბრის გადაცემაში მონაწილეობა უნდა მიელო ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატ **ბარაკ ობამას**, მაგრამ მან ტეხასში, ქარიშხალ "აიკის" გამო შეცვალა გეგმები.

**გია თვალაბეიშვილი**



ფელპსი კომედიურ შოუში

## იფანი მარცხს გადაურჩა

ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში გუშინ მეორე პარტია გათამაშდა. ამჯერად თეთრებით რუსი დიდოსტატი **ალექსანდრა კოსტენიუკი** იყო, რომელსაც პირველ პარტიაში გამარჯვება უმაგრებდა ზურგს. ცხადია, ფსიქოლოგიური უპირატესობაც მის მხარეს იყო. ჩინელი თინეიჯერი **იფან ჰოუ** მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა - თეთრებით მარცხის შემდეგ შავებით უნდა დაეცვა თავი. მას გამარჯვებაზე ფიქრიც შეეძლო, მაგრამ ამისთვის მეტოქის შეცდომებს უნდა დალოდებოდა. კოსტენიუკმა კი მეტოქეს ამგვარი სიამოვნება არ მიანიჭა. შუა თამაშში რუსმა დიდოსტატმა შესამჩნევი უპირატესობა მოიპოვა, დაწინაურდა და ლაზიერის ფრთაზე ზეწოლა გააძლიერა. იფანი თავს იცავდა, მაგრამ მეორე პაიკის დაკარგვაც ვერ აიცილა თავიდან. კოსტენიუკს რომ მოეგო, ალბათ მესამე პარტიაში ყველაფერი დასრულდებოდა, მაგრამ საჭადრაკო ქალღმერთ კაისის, როგორც ჩანს, არ სურდა რუსის ადრიანი ზეიმი და ჩინელს მცირე შანსი დაუტოვა - ჰოუმ საყაიმო რესურსის გამოძებნა შეძლო. თუკი პარტიის საბოლოო დიაგრამას შევხედავთ, მეტად უცნაური სურათის მომსწრენი გავხდებით: თეთრებს ეტლი და ოთხი პაიკი ჰყავთ - A, B, G და H პაიკები. შავებს კი ეტლი და მხოლოდ ერთი E პაიკი. თითქოს თეთრებს გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ შავების E პაიკი მეფის მხარდამჭერ დიდ ძალად გადაიქცა და თუკი თეთრები ზუსტად არ ითამაშებდნენ, ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო... კოსტენიუკმა პოზიციას ალღო კარგად აუღო და სვლების გამეორებებით ყაიმი დააფიქსირა. ცხადია, მისთვის ასეთი შედეგი სავსებით მისაღებია - 1,5:0,5 მიჰყავს ანგარიში და მესამე პარტიაში იმარჯვებს, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს დაისაკუთრებს. იფან ჰოუმ თეთრებით პირველ პარტიაში წაგება უკვე იგემა და ნაკლები შანსია კიდევ დამარცხდეს.

**ზვიად შათირიშვილი**

**ფინალური ეტაპი. მეორე მატჩი**

ალექსანდრე კოსტენიუკი (რუს. 2510) - იფან ჰოუ (ჩნ. 2557) - 0,5:0,5.

საერთო ანგარიში ორი მატჩის ჯამში: 1,5:0,5. კოსტენიუკის სასარგებლოდ.

### ვუელტა. XV ეტაპი

| კუდილერო-პონფერადა (202.0 კმ) | |
|---|---|
| 1. დავიდ გარსია დაპენა (ესპანეთი, "ზაკობეო-გალისია") | 5.02,27 |
| 2. ნიკ ნიუენსი (ბელგია, "კოფიდისი") | +0,17 |
| 3. ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, "ქუიქ სტეპი") | +0,17 |
| 4. პაოლო ტირალონგო (იტალია, "ლამპრე") | +0,33 |
| 5. მიკელ ასტარლოსა (ესპანეთი, "ეუსკალტელი") | +0,36 |
| 6. დავიდ აროიო (ესპანეთი, "კეს დ'ეპარნი") | +0.39 |
| 7. მატი ბრეშელი (დანია, CSC) | +1.38 |
| 8. ჩავიერ სანდიო (ესპანეთი, "კეს დ'ეპარნი") | +1,38 |
| 9. ფილიპ გილბერტი (ბელგია, "ფრანსეზ დე ჟო") | +1,39 |
| 10. სებასტიან მინარი (საფრანგეთი, "კოფიდისი") | +2,38 |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, "ასტანა") | 61.13,48 |
| 2. ლევი ლაიფჰაიმერი (აშშ, "ასტანა") | +1,17 |
| 3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +3,41 |
| 4. ეზეკიელ მოსკერა (ესპანეთი, "ზაკობეო-გალისია") | +4,35 |
| 5. რობერტ გესინკი (ჰოლანდია, "რაბობანკი") | +5,49 |
| 6. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, "კეს დ'ეპარნი") | +6,00 |
| 7. ხოაკინ როდრიგეს ოლივერი (ესპანეთი, "კეს დ'ეპარნი") | +6,11 |
| 8. ეგოი მარტინესი (ესპანეთი, "ეუსკალტელი") | +8.56 |
| 9. დავიდ მონკუტი (საფრანგეთი, "კოფიდისი") | +9,32 |
| 10. ოლივერ ცაუგი (შვეიცარია, "გეროლშტაინერი") | +10,01 |

# TV სპორტი

**16 სექტემბერი. შაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ასტონ ვილა.
14:05 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:05 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ჩელსი.
18:05 საფეხბურთო პროგრამა.
19:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:25 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:25 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
00:50 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ეინდჰოვენი-ატლეტიკო.
02:50 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბაზელი-შახტიორი.
04:50 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. რომა-კლუჟი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:55 სპორტკლუბი.
10:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნი-შალკე.
12:50 სპორტდოსიე. ხელბურთი.
13:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
13:50 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ნუმანსია.
15:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-რომა.
17:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ იუნ.
19:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის წინ (LIVE).
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მარსელი-ლივერპული (LIVE).
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მიმოხილვა.
02:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. პანათინაიკოსი-ინტერი.
04:20 სპორტდოსიე. ხელბურთი.
04:45 სპორტკლუბი.
05:15 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. დეპორტივო კალი-ამერიკა (LIVE).

**EUROSPORT**

10:30 კალათბურთი. პარაოლიმპიური თამაშები. ფინალი. პეკინი. ჩინეთი.
12:00 ფრენბურთი. მსოფლიოს გრანპრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. I ტური. გერმანია-იტალია. რუსეთი (LIVE).
14:00 მულტისპორტი.
14:15 ფრენბურთი. მსოფლიოს გრანპრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. I ტური. სერბეთი-ჰოლანდია. რუსეთი (LIVE).
16:15 ფრენბურთი. მსოფლიოს გრანპრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. I ტური. გერმანია-იტალია. რუსეთი.
16:30 ფრენბურთი. მსოფლიოს გრანპრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. I ტური. რუსეთი-საფრანგეთი. რუსეთი (LIVE).
18:30 ველოსპორტი. ვუელტა. XVI ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
19:30 ფრენბურთი. მსოფლიოს გრანპრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. I ტური. გერმანია-იტალია. რუსეთი.
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ფრენბურთი. მსოფლიოს გრანპრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. I ტური. გერმანია-იტალია. რუსეთი.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 მულტისპორტი.
22:15 პროფესიული კრივი. მჩატე წონა. ფ. ტირანი (ესპანეთი)-რ. ტირადო (ეკვადორი). ესპანეთი.
23:00 პროფესიული კრივი. პირველი საშუალო წონა. პ. ვოლაკი (პოლონეთი)-ი. სმიტი (აშშ). ნიუ იორკი. აშშ.
01:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
01:30 რალი. IRC-ის ახალი სერია. ესპანეთი.
02:00 ავტოსპორტი. ლე მანის სერია. რბოლა ამტანობაზე. 1000 კმ. სილვერსტოუნი. ბრიტანეთი.
02:30 ბრძოლის წესების გარეშე.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:15 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. მონცა. იტალია.
13:00 ახალი ამბები.
13:30 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა.
14:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა.
14:30 ახალი ამბები.
16:00 ველოსპორტი. პოლონეთის ტური. II ეტაპი.
16:30 ველოსპორტი. პოლონეთის ტური. III ეტაპი (LIVE).
18:30 ახალი ამბები.
19:00 ავტოსპორტი. ლე მანის სერია. რბოლა ამტანობაზე. 1000 კმ. სილვერსტოუნი. ბრიტანეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ავტოსპორტი. ახალი სარბოლო სერია - "ფორმულა სუპერლიგა". დონინგტონი. ბრიტანეთი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. აშშ-ის გრან პრი. ინდიანაპოლისი.
23:00 ფრენბურთი. მსოფლიოს გრანპრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. I ტური. სერბეთი-ჰოლანდია. რუსეთი.
00:00 ფრენბურთი. მსოფლიოს გრანპრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. I ტური. რუსეთი-საფრანგეთი. რუსეთი.
01:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# მარიამ სეზონი დაასრულა



საბოლოოდ გაირკვა, რომ **მარია შარაპოვა** წელს ვერ შეძლებს თამაშს. დღეისთვის რუსი ჩოგბურთელი მხარის ტრავმის სარეაბილიტაციო კურსს გადის. სწორედ ამ დაზიანების გამო დაასრულა მარიამ ნაადრევად 2008 წლის სეზონი. შარაპოვა ფინიქსში ფიზიოთერაპევტ **ბრეტ ფიშერის** მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალობს.

თუ სარეაბილიტაციო კურსი გეგმის მიხედვით წარიმართება, შარაპოვას დაბრუნება 2009 წლის იანვრის მეორე კვირას, ჰონგკონგშია ნავარაუდევი. ამის შემდეგ რუსი ჩოგბურთელი "დიდი სლემის" რიგით პირველ ტურნირზე, ავსტრალიის ღია პირველობაზე გამოვა.

ჩოგბურთელის დღევანდელ მდგომარეობაზე კომენტარი მარიას აგენტმა **მაქს აიზენბანდმა** გააკეთა: *"როგორც ვვარაუდობდით, ოპერაცია არ დაგვჭირდა. მარია ბედნიერია იმით, რომ ზუსტი დიაგნოზი დაისვა და აღდგენითი პროცესი დაიგეგმა. რამდენიმე თვის განმავლობაში, მხრის ტრავმა შეუმჩნეველი იყო, მაგრამ ამ სეზონში ტკივილი გაძლიერდა. დაზიანებას პირველი მოწოდებაზე არ უმოქმედია, სამაგიეროდ მეორე შესამჩნევად გაუარესდა, რაზეც ორმაგი შეცდომების სტატისტიკაც მეტყველებს".*

# ივანოვიჩი ჯანზეა

გაცილებით კარგად აქვს საქმეები სერბ **ანა ივანოვიჩს**. წლევანდელი როლან გაროსის ჩემპიონი ირწმუნება, რომ ბოლომდე მოირჩინა ტრავმა, რომელიც ბოლო პერიოდში აწუხებდა და მზად არის რეიტინგში პირველი პოზიციის დასაბრუნებლად.

ანა მსოფლიოს კლასიფიკაციაში საფრანგეთის ღია პირველობის მოგების შემდეგ გალიდერდა, მაგრამ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, რამდენიმე ტურნირს ადრეულ ეტაპზე გამოეთიშა (მათ შორის აშშ-ის ღიას მეორე წრეში) და პირველი ჩოგნის სტატუსი თანამემამულე **ელენა იანკოვიჩს** გადაულოცა. ახლა ანა რეიტინგში მესამე ადგილს იკავებს.

*"მსოფლიო რეიტინგში ლიდერობა ყოველთვის ჩემი ოცნება იყო, მაგრამ როგორც კი მიზანს მივაღწიე, ტიტული სწრაფადვე დავკარგე. რადგან ამის გაკეთება ერთხელ უკვე შევძელი, მჯერა, რომ ისევ ჩავუდგები სათავეში WTA-ის კლასიფიკაციას. ჩემთვის ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე "დიდი სლემის" რომელიმე ტურნირის მოგება. უკვე ორი კვირაა ტკივილი აღარ მაწუხებს და მჯერა, რომ სერენა უილიამსს (რეიტინგის ამჟამინდელი ლიდერი) ბრძოლაში გამოვიწვევ. რა თქმა უნდა, ის დიადი ჩოგბურთელია და ამიტომაც ბრძოლა კიდევ უფრო საინტერესო იქნება"*, - ამბობს ივანოვიჩი.

დღეს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში პირველი კატეგორიის ტურნირი - Toray Pan Pacific Open იწყება. მისი საპრიზო ფონდი 1 340 000 დოლარს უტოლდება. ივანოვიჩი უკვე იაპონიაშია ჩასული და ინტენსიურად ვარჯიშობს. სხვათა შორის, ანას იაპონურმა ფირმა Yonex-მა ახალი ჩოგანი დაუმზადა. ეს არის სპეციალური მოდელი, რომელიც წინაზე გაცილებით მჩატეა.

■ ■ ■

ტოკიოშია ჩასული სერბი **ელენა იანკოვიჩიც**. **სერენა უილიამსის** არყოფნაში, ტურნირზე პირველ ნომრად სწორედ ამერიკის ღია პირველობის ფინალისტია განთესილი. რეიტინგის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ ელენა მინიმუმ ფინალში გააღწევს, ისევ დაიბრუნებს პირველი ჩოგნის სტატუსს.

იანკოვიჩი კლასიფიკაციას ოლიმპიადის მსვლელობის დროს ერთი კვირის განმავლობაში ედგა სათავეში. ბელგიელი **ჟუსტინ ანენის** წასვლის შემდეგ, WTA-ის რეიტინგში დიდი არეულობაა - ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, პირველ ადგილს გაუსინჯეს გემო შარაპოვამ, ივანოვიჩმა, იანკოვიჩმა და სერენა უილიამსმა.



ტოკიოს ტურნირის მონაწილეები

კალათბურთი

# ლებრონი ორ კვირას დაისვენებს



"კლივლენდ კავალიერზის" ხელმძღვანელობამ საწვრთნელი პროცესისგან ორი კვირით გაათავისუფლა გუნდის ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი**.

როგორც Cleveland Plain Dealer წერს, "კლივლენდის" შეფობა გაგებით მოეკიდა კალათბურთელის თხოვნას. ოლიმპიური თამაშებზე გადატანილი ბატალიების შემდეგ ლებრონს ხეირიანად დასვენება სურს. კლუბმაც კალათბურთელს ორკვირიანი არდადეგები გამოუყო, რადგან ზედმეტი ფიზიკური ვარჯიშით თავისი საუკეთესო მოთამაშის გადაღლა არ სურს.

ამასობაში, ლებრონმა და ცნობილმა მოდელიერმა **რალფ ლორენმა** ერთობლივი საქველმოქმედო აქცია გამართეს. ლორენმა საკალათბურთო ბურთის დიზაინი შეიმუშავა, ჯეიმსმა კი ის თავისი ავტოგრაფებით მორთო და გასაყიდად გამოიტანა. ტირაჟი 300 ეგზემპლარია და თითოეული ბურთის ღირებულება ათას დოლარს შეადგენს.

■ ■ ■

სანამ ლებრონი ქველმოქმედებით ერთობა, "კლივლენდი" შემადგენლობის დაკომპლექტებას აგრძელებს. კლუბის ხელმძღვანელობამ, როგორც იქნა, მიაღწია შეთანხმებას ძირითად გამთამაშებელ **დელონტე უესტთან** (25 წლის, 191 სმ). კალათბურთელი დღემდე თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდა, ახლა კი 2+1 სისტემით გააფორმა ხელშეკრულება. გარიგების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა, თუმცა ცნობილი იყო, რომ უესტი წლიური შემოსავლის სახით, სეზონში 5 მილიონ დოლარს ითხოვდა.

"კლივლენდმა" უესტი გასული სეზონის მსვლელობისას სამ გუნდს შორის შემდგარი ტრეიდით (11 მოთამაშის გაცვლაში "ჩიკაგო ბულზიც" მონაწილეობდა) "სიეტლიდან" გადაიბირა. დელონტემ "კავალიერზის" შემადგენლობაში 26 მატჩის (ყველა სასტარტოში) ჩატარება მოასწრო და საშუალოდ 10.3 ქულა, 4.5 პასი და 3.7 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც "კლივლენდს" უკავშირდება. მუხლის ტრავმის გამო 2008-09 წლების სეზონში გუნდს ვერ დაეხმარება ვეტერანი მცველი **ერიკ სნოუ**.

"კავალიერსის" გენერალურ მენეჯერს **დენი ფერის** უჭირს კალათბურთელის ოფიციალური სტატუსის განსაზღვრა. თუ დამტკიცდება, რომ სნოუს ფიზიკურად არ შეუძლია მოედანზე გასვლა, კლუბი ახალი კალათბურთელის შესაძენად დამატებით თანხას მიიღებს.

სნოუს კონტრაქტი 2009 წლის ზაფხულში იწურება. მართალია, გაისად კალათბურთელი მოედანზე ვერ გავა, მაგრამ 7.3 მილიონს მაინც მიიღებს.

■ ■ ■

ოკლაჰომა-სიტიში საკალათბურთო ბუმია. NBA-ის დებიუტანტის, "ოკლაჰომა-სიტი თუნდერის" (ყოფილი "სიეტლ სუპერსონიქსი") საშინაო მატჩებისთვის დაბეჭდილი 13 ათასი აბონემენტი 5 დღეში გაიყიდა. ამ ინფორმაციას კლუბის პრეზიდენტი **კლეიტონ ბენეტი** ავრცელებს.

ოკლაჰომას საკალათბურთო დარბაზი 17 ათას მაყურებელს იტევს, შესაბამისად რჩება 4 ათასი ერთჯერადი ბილეთი ცალკეული თამაშებისთვის და ჯგუფური შეკვეთებისთვის.

# ევრობასკეტს პოლონეთი უმასპინძლებს



კვირას, მიუნხენში, FIBA-Europe-ის საშეჯიბრო კომისიის სხდომაზე კაცთა და ქალთა შორის ევროპის 2009 წლის ჩემპიონატების ჩატარების ადგილი დაამტკიცეს.

კაცების ევრობასკეტს პოლონეთი უმასპინძლებს. პირველი ჯგუფური ეტაპის მატჩები გდანსკში, პოზნანში, ვარშავასა და ვროცლავში გაიმართება, მეორე ეტაპს გუნდები ბიდგოშჩსა და ლოძში ჩაატარებენ, ხოლო გადამწყვეტი მატჩების მასპინძელი ქალაქი კატოვიცე იქნება.

ქალებს შორის ევროპის ჩემპიონატს 7-20 ივნისს ლატვია უმასპინძლებს. პირველი ჯგუფური ეტაპის შეხვედრები ლიეპაიასა და ვალმიერში ჩატარდება, მეორე ეტაპისა და პლეიოფის გამართვა რიგაში არის ნავარაუდევი.

■ ■ ■

ეჭვგარეშეა, რომ საგაისო ევროპის ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი პეკინის თამაშების ვიცე-ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები იქნება. თუმცა პირენეელებს ჯერ მთავარი საკითხი აქვთ გასარკვევი - ცნობილი არ არის, ითამაშებს თუ არა კონტინენტის პირველობაზე ამ გუნდის ლიდერი **პაუ გასოლი**.

*"ესპანეთის ნაკრებიდან მიწვევას ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვიღებდი, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად, პრიორიტეტების განსაზღვრა მომიწევს. უნდა დავფიქრდე, რამდენად სასარგებლოა ჩემთვის ყოველ წელს ეროვნული გუნდის მაისურით გამოსვლა.*

*ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას საკლუბო სეზონის დასრულების შემდეგ მივიღებ. ვნახოთ, იმ დროისთვის როგორ ფიზიკურ და მორალურ მდგომარეობაში ვიქნები.*

*ოლიმპიადის შემდეგ დასვენების საშუალება მომეცა. ეს პერიოდი, ძირითადად, ძილში გავატარე. მაგრამ მალე ლოს-ანჯელესში უნდა გავემგზავრო, რადგან 29 სექტემბერს ახალი სეზონისთვის მზადება იწყება"*, - ამბობს "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა